პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— პეკინში ბარბაროსულად აწამეს 20 კომუნისტი.
— გამოქვეყნდა ავსტრიის ახალი პარლამენტის შემადგენლობა.
— ამერიკაში გრძელდება სამთა-მადნო მუშათა გაფიცვა.
— ინგლისის ჰაეროპლანები განაგრძობენ [illegible] ნაწილზე.
— გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ [illegible] კონფლიქტი.
— საფრანგეთის შრომის რეფორმისტულმა კონფედერაციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ომის საშიშროების შესახებ.

კვირა, 1 მაისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 97 (1842)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
მაისისათვის
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ორშაბათს, 2 მაისს
კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე

პირველი მაისი

დღეს პირველი მაისისა,—მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაულია. ჩვენ ზეიმით და აღტაცებით ვეგებებით ყოველ პირველ მაისს. ჩვენ ამ დღეს შევხარით, როგორც ჩაგრული კაცობრიობის მოწინავე რაზმის მსოფლიო პროლეტარიატის რიგების სიმტკიცის შემოწმების და დემონსტრაციის დღეს. მაგრამ ჩვენი საბოლოო ზეიმის დღე ჯერ კიდევ წინ არის.

მხოლოდ დედამიწის ერთ მეექვსედზე ფრიალებს თავისუფლების წითელი დროშა, პირველი მაისი მხოლოდ საბჭოთა კავშირში წარმოადგენს სახელმწიფოებრივად დაკანონებულ დღესასწაულს. პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, როგორიცაა საბჭოთა რესპუბლიკები, საპირველმაისო დროშებს ერთგულ გუშაგათ უდგას ისტორიაში ჯერ არნახულ ძლევამოსილ მუშებისა და გლეხების წითელი არმია და მილიცია. ამავე დროშას საბჭოთა ქვეყნების გარეთ ყოველ პირველ მაისს კაპიტალისტების და მის შინაყმა რეფორმისტულ პარტიების კურთხევით ემუქრება იმპერიალიზმის შეიარაღებული ძალები და ფაშისტური რეაქცია.

რომ პროლეტარიატის სოლიდარობის შიში არა, ბურჟუაზია კაცობრიობას გაცილებით მეტ უბედურებას დაატეხდა თავს, ვიდრე ამას დღემდე ჰქონია ადგილი. მსოფლიო კაპიტალიზმი დღესაც განაგრძობს თავის მუხანათურ პოლიტიკას რევოლიუციისა და მშრომელი მასების წინააღმდეგ. ჯავშნოსნები, ქიმიურ მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნები, აეროპლანები და ადამიანის სიცოცხლის მოსპობ საშუალებებს ბურჟუაზია დღეს თავის შესაქცევათ არ ამზადებს. დღითი-დღე ილესება მახვილი თავისუფალი ბაზრის მოსაპოებლათ, კაპიტალისტურ მოგების გასადიდებლად. ამ ბრძოლაში იღვრება მშრომელთა მილიონების სისხლი, პარტახდება და უპატრონოთ რჩება ამ მილიონთა ოჯახები და ქვრივ-ობლები.

დღეს უკვე სწარმოებს ასეთი ომი. საერთაშორისო იმპერიალიზმი ცეცხლით და მახვილით დაპარპაშობს ჩინეთის მდიდარ ტერიტორიაზე. საერთაშორისო იმპერიალიზმი ტყვიით და ხმალით ახშობს ჩინეთის მილიონიან მშრომელ ხალხის განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

სისხლი უკვე იღვრება. მსოფლიო კაპიტალიზმი ინგლისის იმპერიალიზმის მეთაურობით ზარბაზნით და ხიშტით, სამხედრო ექსპედიციებით ელაპარაკება უცხოეთის და შინაურ მოძალადეების წინააღმდეგ ამბოხებულ ჩინეთს. იმპერიალისტების პირდაპირი დახმარებით და ხელმძღვანელობით თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთში დღემდი კიდევ ბატონობენ სხვადასხვა ჯურის დაქირავებულ ჩან-ძო-ლინის და ახლად მოღალატედ ქცეულ ჩან-კაი-შის ტიპის რეაქციონური გენერლები.

საერთაშორისო კაპიტალიზმი ამას არ ჯერდება. მისი მთავარი იერიშის მიზანს მსოფლიო რევოლიუციის კერა, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მუშებისა და გლეხების სახელმწიფო ჩააბას სისხლისმღვრელ ომში. კაპიტალიზმი ვერ ინელებს სოციალისტური სახელმწიფოს არსებობას. იგი მის წინააღმდეგ მზადებაშია და მხოლოდ მოხერხებულ დროს ელის, რომ აღმართოს ხმალი მუშებისა გლეხების ერთად-ერთ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამას ერთი წუთითაც ვერ დაივიწყებენ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები და მათი თანამებრძოლნი მსოფლიო მუშათა რაზმები.

უკანასკნელი თავდასხმები ჩვენს წარმომადგენლობებზე ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებში საბჭ. კავშირის აშკარა გამოწვევას წარმოადგენდა საომარ მოქმედებაში ჩასაბმელად. მაგრამ საბჭოთა კავშირმა სწორედ ამ იშვიათ, ჯერ არგაგონილ თავხედურ გამოსვლას, მისთვის ჩვეული სიდინჯით და მშვიდობიანობის მოყვარულობით უპასუხა. ამრიგად იმპერიალისტებს ნახტომი აქაც გაუცუდდათ.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ომის საშიშროებამ საზოგადოთ განვლო. შინაგანი წინააღმდეგობა, ინტერესთა დაუსრულებელი ჭიდილი კაპიტალიზმის თანდაყოფილ თვისებას შეადგენს.

დღეს თუ არა ხვალ შეიძლება იფეთქოს ომმა დედამიწის რომელიმე კუთხეში. ასეთი კუთხეები. ვერსალის ეგრედწოდებულ ზავმა საკმაოზედ მეტი დასტოვა. ეს ადგილებია სხვათაშორის ბალკანეთი, ზემო-სილეზია, დანციგის კორიდორი, მემელი და ვილნო, კოლონიალური ქვეყნები და მრავალი სხვა.

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რომელიმე ამ ადგილების მიზეზით უეცრივ ომის კოცონი აინთება. კაპიტალიზმი ომია—მას უომრათ ცხოვრება არ შეუძლია. ამ უბედურების ერთად ერთი საწინააღმდეგო ძალაა საერთაშორისო პროლეტარიატის ურყევი სოლიდარობა. ჩვენ ვიცით როგორ სამარცხვინოდ ამოსვარეს სხვადასხვა ქვეყნების რეფორმისტულმა პარტიებმა ეს საამაყო დროშა საერთაშორისო ომის დროს, მათი შემდეგი მოღალატური მოღვაწეობა ლოღიკური თანამიმდევრობით ვითარდებოდა და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალ სერიოზულ საომარ საფრთხის დროს, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მორიგ და უფრო საძაგელ მოღალატეობას ჩაიდენს, ვიდრე ეს მან მოიმოქმედა 1914 წელში. ამის ერთხელ კიდევ დამამტკიცებელი ცოცხალი ფაქტები ჩვენ დღესაც ხელთა გვაქვს. აიღეთ იმპერიალიზმის დღევანდელი პოლიტიკა ჩინეთში. ყველა სახელმწიფოთა რეფორმისტული პარტიები თავიანთ ყოველდღიური მოღვაწეობით მხარს უჭერენ თავიანთ მთავრობებს მათ გაშმაგებულ მტაცებლურ კოლონიალურ პოლიტიკაში.

ამნაირად სოციალ-დემოკრატია კარგა ხანია საბოლოოდ გამოეთხოვა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის იდეას, როგორც რეალურ ბრძოლის ლოზუნგს. მან ეს იდეა გაამასხარავა და ყველა ქვეყნის ჩაგრულთა სოლიდარობის ნაცვლად, მასში ყველა კლასების, მყვლეფელთა და გაყვლეფილთა, სოლიდარობის აზრი ჩადო. პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა დღეს სოციალ დემოკრატიას ესმის, როგორც ერთა ლიგას, საერთაშორისო ყაჩაღების ამ საკურთხეველის დემოკრატიზაცია.

პირველი მაისი უკვე პრაქტიკულად და ფორმალურადაც კომუნისტურ ინტერნაციონალის ზეიმია. ომი ომს, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომათ გადაქცევა, ბრძოლა მუშათა რიგების ნამდვილი განმტკიცებისათვის, თავისუფლება კაპიტალის უღელ ქვეშ მგმინავ ასეულ მილიონებიან კოლონიალურ ხალხებს, ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი—ასეთია დღეს ჩვენი საპირველმაისო მთავარიი ლოზუნგები და ასეთივე დარჩება ეს ლოზუნგები, ჩვენ საბოლოო გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის სიმტკიცეს!

ჯალათები მუშაობენ

ჩან-ძო-ლინის ჯალათები მხეცურად გაუსწორდნენ მათ ხელში ჩავარდნილ ჩინელ კომუნისტებს. ლი-ტა-ჩაო — ჩინეთის კომპარტიის ერთ - ერთი ბელადი, და 19 მისი ამხანაგი, დაპატიმრებულნი საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის დროს, დაახრჩვეს პეკინის ყაჩაღებმა. მთელი პასუხისმგებლობა ამ მხეცური ბოროტმოქმედებისათვის ეკისრებათ არა მარტო ჩინეთის სამხედრო წრეებს, არა მარტო ჩან-ძო-ლინის ყაჩაღურ ბრბოს, არამედ მთელს ე. წ. ცივილიზაციურ მსოფლიოსაც. იარაღი, რომლითაც დაახრჩვეს ლი-ტა-ჩაო, და მისი ამხანაგები, არის ქრისტიანული ცივილიზაციის ჭეშმარიტი ქმნილება,—ნაკურთხი მისიონერთა წმინდა წყალით და მირონცხებული პეკინის დიპლომატიური კორპუსის მაღალი ავტორიტეტით. ტყუილად არ იყო, რომ დასჯის მეორე დღეს პეკინის ჯალათების მთელი კომპანია, ჩან-ძო-ლინის მეთაურობით, მიწვეულ იქნა სადილზე ბელგიის ელჩთან.

ლი-ტა-ჩაო და მისი თანამებრძოლნი მარტო სამშობლო რეაქციის მსხვერპლი არ არიან. მათი მკვლელობა, — ეს არის საქმე, საერთაშორისო იმპერიალიზმის საქმე, ეს არის საქმე საერთაშორისო ფინანსიური კაპიტალის, რომელიც მზად არის ყოველგვარი საზიზღარ ბოროტმოქმედებისათვის, ოღონდ შეინარჩუნოს თავისი ზემოგება, თავისუფლება კოლონიების ძარცვა - გლეჯაზე, თავისი უფლება ჩინელ მუშებისა და გლეხების ექსპლოატაციაზე.

ჩინელ კომუნისტების უკანასკნელი, სასიკვდილო ხრიალი, — ეს საუკეთესო მუსიკაა მსოფლიო ბურჟუაზიის სმენისთვის. ჩინეთის ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდის განადგურება, — ეს არის მხოლოდ ერთი რგოლი იმ მთლიანი ჯაჭვის, რომლითაც სურთ მსოფლიო რევოლიუციის დახშობა აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

ჩან-ძო-ლინი და მისი ჯალათები ხელს ართმევენ როზა ლიუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მკვლელებს, ხელს ართმევენ სისხლისმსმელ ხორტის, იტალიის ფაშისტურ ბანდას, ჯალათური საქმის ოსტატს ბულგარელ ცანკოვს და თეთრი ტერორის ყველა დანარჩენ გმირებს.

მაგრამ რეაქციის ვერავითარი გააფთრება და ვერავითარი შურისძიება ვერ შეაჩერებს დიდ ისტორიულ მოძრაობას. ძალიან ადრე ზეიმობს ბურჟუაზია თავის გამარჯვებას ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის ავანგარდზე. მუშების დახვრეტა მოღალატე ჩან-კაი-შის მიერ და საზიზღარი მკვლელობა პეკინის ციხეებში მხოლოდ კიდევ უფრო გააფთრებენ ხალხურ მასებს და გააღვივებენ მათ სიძულვილს სამშობლო და უცხო მჩაგვრელებისადმი.

ღრმა სოციალური მიზეზებით გამოწვეული დიადი ისტორიული მოძრაობა, მიუხედავათ ყოველგვარი წინააღმდეგობისა, მაინც გაიკაფავს თავის გზას.

თუ ჩინეთის მშრომელ მასებს, თუ დაჩაგრულ, ჩამორჩენილ და უკიდურეს სიღარიბემდე მისულ ჩინეთის გლეხობას შეუძლია ისეთი ფიგურების წარმოშობა, როგორიც იყო ლი-ტა-ჩაო, მაშინ, მარტო ეს იმას ნიშნავს, რომ ვერავითარი, უაღრესად მხეცური შურისძიებაც კი ვერ შეაჩერებს რევოლიუციას. თუმცა ლი-ტა-ჩაო გლეხური წრიდან გამოვიდა, მაგრამ მან მაინც სავსებით შეითვისა თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასის თვალსაზრისი; ის იყო პროლეტარული კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, რასაც შესწირა მთელი თავისი ძალა და მთელი თავისი ცოდნა.

უცხო კაპიტალის დახმარებითა და წყალობით მოსარგებლე მილიტარისტების, მემამულეების და მევახშეების ბრბომ დაახრჩო ლი-ტა-ჩაო და მისი 19 ამხანაგი, მაგრამ ის ვერ მოახერხებს ჩინეთის მოზარდ პროლეტარიატის და მრავალმილიონიანი გლეხობის დახრჩობას. უამრავი მსხვერპლისდამიუხედავათ ჩინეთის რევოლიუცია მაინც განვითარდება და ყოველ მის ნაბიჯთან ერთად მუშათა კლასი დაწინაურდება, როგორც მთავარი ძალა, რომელიც გაზრდის თავის გავლენას გლეხობაზე და სამარეს გაუთხრის თავის მჩაგვრელებს.

თესლი, ჩაყრილი ლი-ტა-ჩაოს და მისი თანამებრძოლების მიერ, უფრო ადრე გამოიღებს ნაყოფს, ვიდრე ამას მტრები ფიქრობენ. დაე იზეიმონ საზიზღარმა მკვლელებმა, დაე იზეიმონ იმით, რომ ჯერ - ჯერობით მათ მხარეზეა ფიზიკური ძალა.

ჩვენ ვიცით, თუ რას იტყვის ისტორიული ხვალ, ვიცით, რომ ჩინეთის კომპარტია, რომლის რიგებსაც გამოაცალეს საუკეთესო მებრძოლები, გაათკეცებს თავის ძალას, ვიცით, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი ზიზღს უთვლის იმპერიალიზმის დაქირავებულთ, ვიცით რომ მიუხედავათ მრავალი მსხვერპლისა, მაინც აუცილებელია საბოლოო გამარჯვება.

ჩინეთის რევოლიუციონურმა მოძრაობამ ახალი სახელები ჩასწერა მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა სახელოვან სიაში.

დავხაროთ დროშები მათ გვამებზე!

საუკუნო ხსოვნა დაღუპულ ამხანაგებს! ზიზღი და წყევლა მკვლელებს!

მოსკოვი, 30 აპრილი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვა და წითელი არმიის მდგომარეობა

ამხ. ვოროშილოვის მოხსენება საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე

იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან

მოსკოვი, 30 აპრილი. ჩვენ შევედით ახალ დაბრკოლებების ფაზისში და განვიცდით პერიოდს, როცა ყველა მშრომელთ მართებთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა მოუმზადებელი არ შევხვდეთ მოსალოდნელ დიდ მნიშვნელოვან ამბებს.

იმპერიალისტურ გაზეთებში ჩვენ არა ერთხელ ამოგვიკითხავს, ჩვენთვის სრულებით მოულოდნელად, რომ საბჭოთა კავშირი არის წითელი იმპერიალიზმის განსახიერება, წითელი არმია ყველაზე უფრო ძლიერი არმიაა მსოფლიოში, რომ ჩვენ ვამზადებთ უსაშინელეს ქიმიურ ომს და სხვ.. აქ ბურჟუაზიის მთავარი მიზანია ამგვარი ლაყბობით და ლათაიებით ჩამოაშოროს მასების ყურადღება ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ კაპიტალისტური მსოფლიო ემზადება ახალ ომისათვის.

ერთა ლიგა, რომელიც, ბურჟუაზიის აზრით, მოწოდებულია განამტკიცოს მშვიდობიანობა, იმდენათ გაკოტრდა, რომ ჩვენი შეურიგებელი კლასიური მტრებიც კი მას ახასიათებენ, როგორც ყოვლად უსარგებლო და უძლურ დაწესებულებას.

ამჟამად ყველა დიდ და პატარა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში სწარმოებს განუწყვეტელი მუშაობა შეიარაღების გასაძლიერებლათ. ჩვენ განვიცდით პერიოდს, რომელიც ძლიერ წააგავს მსოფლიო იმპერიალისტურ ომის წინ არსებულ მდგომარეობას. ერთა ლიგის მუშაობა განიარაღების სფეროში სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა, ხოლო დიდი სახელმწიფოების მუშაობამ ყველა სახის შეიარაღებათა გასაძლიერებლად თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო.

ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და შეერთებულ შტატების სამხედრო ბიუჯეტი 1926 წელს 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 80 პროცენტით. 1913 წელს ყველა ამ სახელმწიფოებს ჰყავდა, 150 სამხედრო ჰაეროპლანი, ამჟამად კი — 3.550. ამავე სურათს ვხედავთ ჩვენ საზღვაო შეიარაღების სფეროში.

არსებულ პირობებში ვერავითარი კონფერენციები, ტრიბუნალები და გადაწყვეტილებები ვერ შესწყვეტს კაპიტალისტურ ქვეყნების გახელებულ მზადებას ომისათვის. გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ რომ არა მარტო დიდი, არამედ პატარა სახელმწიფოებიც კი გაძლიერებით ემზადებიან ომისათვის. ეს უდავო ფაქტია.

სიცრუის კამპანია

შეიარაღების აღნიშნული ზრდა ხელს არ უშლის დასავლეთ ევროპის პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებს, გამოვიდნენ სხვადასხვა განცხადებებით, რომლებითაც ისინი ცდილობენ თვალი აუხვიონ მშრომელთ და მოაშორონ მათი ყურადღება იმას, რაც ხდება მათ ქვეყნებში.

მაგალითისათვის მოვიყვან სამხედრო სამინისტროს საფინანსო მდივნის კინგის განცხადებას ინგლისის პარლამენტში. კინგმა სთქვა, რომ ჩვენ გვყავს მსოფლიოში უძლიერესი მუდმივი არმია და სარეზერვო ძალები, რომელთა რაოდენობა თითქმის 10 მილიონ კაცამდე აღწევს, ეს სისულელე შემდეგ პარლამენტში ა. წ. 15 მაისის სხდომაზე დაადასტურა ინგლისის სამხედრო მინისტრმა ვორტინგტონ ევანსმა. ამავე სხდომაზე, როგორც „ტაიმსი" იუწყება, სამხედრო მინისტრმა ვორტინგტონ ევანსმა პარლამენტის წევრის ნოქსის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ „საბჭოთა რუსეთში აქტიურად სწარმოებს ქიმიური ომის შესწავლა", აშენებენ მრავალ ქარხნებს, რომელთაც შეუძლიათ მოწამლული გაზების დამზადება დიდი მასშტაბით. ნოქსი შეკითხვაზე, — სთვლის თუ არა სამხედრო მინისტრი, რომ ამგვარი მზადება რუსეთში თავისი მასშტაბით აღემატება სათანადო მზადებას სხვა ქვეყნებში, ევანსმა უპასუხა: „ყოველივე ეჭვს გარეშე, რუსეთში ის გაცილებით უფრო დიდია, ვინემ მსოფლიოს სხვა რომელიმე ადგილას".

მე სრულიად ზედმეტად მიმაჩნია უარყოფა ამ ცილისწამების, რომელიც არავის არ სჯერა, მაგრამ რომელსაც სრულიად გარკვეული მიზნით ავრცელებს ინგლისის სახელმწიფოს ისეთი პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწე, როგორიცაა სამხედრო მინისტრი.

ვინ არის ნოქსი?

ვინ არის ნოქსი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ შეკითხვაში? ნოქსი ოცნებობს ახლო წარსულის დაბრუნებაზე. ნოქსი მეფის მთავრობის დროს იყო ინგლისის სამხედრო ატაშე რუსეთში; 1918 წელს ის ეხმარებოდა კერენსკის საკითხში გერმანელების წინააღმდეგ შეტევის შესახებ, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის სამხედრო მისიას კოლჩაკთან. ნოქსი 1919 წელს გამოდის იმ როლის წერილობითი ახსნა - განმარტებით, რომელსაც თამაშობდა სამოქალაქო ომის დროს ინგლისის მთავრობა, დახმარებას უწევდა რა თეთრგვარდიელებს ციმბირის სამხრეთ ნაწილში, ნოქსმა განაცხადა: „ჩვენი დახმარება გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ციმბირში გავგზავნეთ აუარებელი საომარი მასალა. ჩვენ ციმბირში გავგზავნეთ ასეული ათასი ვინტოვკა, ასეული მილიონი ვაზნები, ასეული ზარბაზნები, ათასობით ტყვიისმფრქვევლები, რამოდენიმე ასი ათასი კომპლექტი ტანსაცმელი და სხვ".

ჩვენი სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ნოქსი დარჩა უმუშევრათ: მიუხედავათ ამისა, ეს რუსეთის საქმეთა „სპეციალისტი" აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კომედიაში, რომელსაც თამაშობს ინგლისის სამხედრო მინისტრი, ამტკიცებს რა, რომ თითქოს ჩვენ ეხლა ვართ ომის (ისიც ქიმიური) მთავარი ინიციატორები და ვაშენებთ აუარებელ სამხედრო ქარხნებს. აქ ქარხნების მისამართს ევანსი არ აღნიშნავს; ის, სამწუხაროდ, ამას „ზედმეტად" სთვლის.

იმპერიალისტები ქიმიური ომის მომხრენი

ინგლისის ოფიციოზის „დეილი ტელეგრაფ"-ის 18 მარტის ნომერში მოთავსებულია წერილი, რომლითაც ამერიკის მთავრობა მიმართავს ერთა ლიგის სამდივნოს, ამ წერილში ნათქვამია:

„ამერიკის მთავრობა არაპრაქტიკულად და განუხორციელებლათ სთვლის წინადადებას იმის შესახებ, რომ მოწამლულ გაზებით და ბაქტერიებით სარგებლობის სწავლებას, განსაკუთრებით საჰაერო ძალების დარგში, თვითეული სახელმწიფო უნდა უყურებდეს, როგორც ბოროტმოქმედებას. მოწამლულ გაზების და ბაქტერიების გამოყენების სრულიად აკრძალვა ბოლოს მოუღებს ქიმიის და მედიცინის პროგრესს".

აი როგორია ამერიკელი „პაციფისტების" ჰუმანიური მოსაზრებები. ომის შემთხვევაში გულახდილი ამერიკელები და ინგლისის თვალთმაქცი იმპერიალისტები, რომლებიც ათასგვარ ჭორებს ქმნიან ჩვენს შესახებ, პირველ შეტაკებაშივე გამოიყენებენ გაზებს, ამგვარათ, ნამდვილში ქიმიურ ომს ამზადებენ ამერიკა და ინგლისი.

თეთრგვარდიელთა ცილისწამება

უკანასკნელ ხანებში თეთრგვარდიელთა პრესას გამოცოცხლება დაეტყო. თუ ევანსი მბოდებს იმაზე. რომ საბჭოთა კავშირი განაგძობს შეიარაღებას, თეთრგვარდიელთა პრესა პირდაპირ წერს, რომ ჩვენ თითქო ყოველ მომენტში მზად ვართ ომი გამოვაცხადოთ. „რული" იუწყება, რომ ჩვენ გააფთრებულ სამზადისში ვართ ჩინეთზე თავდასასხმელად. გამოქვეყნებულია ფანტასტიური ცნობები მობილიზაციის შესახებ, რომელიც ვითომდა ციმბირის სამხედრო ოლქში გამოცხადდა მანჯურიაზე თავდასხმის მიზნით. ეს ჭორი მოჰყავს აგრეთვე ინგლისის ოფიციოზს „დეილი ტელეგრაფს".

მოყვანილი ფაქტები ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სახელმწიფოთა გარემოცვაში, რომელნიც ყოველგვარ ზომებს იღებენ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აამხედრონ მეზობელი ქვეყნები და პროვოკაციული გზით ჩაგვაბან რაიმე კონფლიქტში და ამით მონახონ პროლეტარულ სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის გამართლება.

ოთხი პირობა

როგორი ზომებია აუცილებელი, რომ ჩვენმა ქვეყანამ ჩასთვალოს თავი უზრუნველყოფილად საგარეო თავდასხმისაგან. პირველი, მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალები კარგად უნდა იყვნენ მომზადებულნი და ყველაფრით გამაგრებულნი; პოლიტიკურად და მორალურად უნდა იყვნენ მტკიცე და იმგვარად დარაზმულნი რომ საჭირო მომენტში შესძლონ მძლავრ არმიათ გაშლა იმ შემთხვევისათვის, თუ შეიარაღებულ თავდასხმას განიზრახავენ. მეორე, ჩვენი წითელი არმია სავსებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი წითელ არმიელთა და მეთაურთა შემადგენლობის აუცილებელი რეზერვებით. მესამე, ჩვენი ქვეყნის მეურნეობა და სახელმწიფო ორგანოები მშვიდობიან პირობებში შეგუებული უნდა იყვნენ იმისათვის, რომ გეგმაშეწონილად და უმტკივნეულოდ მოხდეს მათი გადაყვანა მშვიდობიან პირობებიდან სამხედრო პირობებში. დაბოლოს, მეოთხე, მუშები და გლეხები, მთელი ჩვენი ქვეყანა ცაკიდან სასოფლო საბჭომდე, ყველა მშრომელნი ფსიქოლოგიურად უნდა იყვნენ მუდამ მზად ომისათვის.

წითელი არმია მზად არის

წითელი არმიის შემადგენლობა წარმოადგენს მებრძოლთა ისეთ მასას, რომელსაც განვლილი აქვს გარკვეული პოლიტიკური და სამხედრო-ტეხნიკური სკოლა და რომელიც სავსებით მომზადებულია მომავალი ბრძოლისათვის. ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ განვუცხადოთ საბჭოთა საკავშირო ყრილობას, რომ საჭირო მომენტში წითელი მებრძოლები, სავსებით მომზადებულნი სამხედრო და პოლიტიკური მხრით, შემჭიდროებული რიგებით გამოვლენ საბჭოთა კავშირის დასაცავად.

უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი სამხედრო მშენებლობის ერთ-ერთ უძნელეს ამოცანის გადაჭრა. წითელი არმიის რიგებში ჩვენ გვყავს მომზადებული უმცროს მეთაურთა შემადგენლობა. უმცროსი მეთაური წარმოადგენს მებრძოლი ძალის ორგანიზაციის საფუძველს. ის არის პირველი მებრძოლი და ამავე დროს შეადგენს მეთაურთა შემადგენლობის საფუძველს. წითელ არმიაში 465,000 კაცზე უმცროსი მეთაურთა შემადგენლობა მოდის თითქმის 100,000 კაცის რაოდენობით. ჩვენი უფშემადგენლობის დანარჩენი კატეგორიები წარმოადგენენ წითელი არმიის ძირითად ხერხემალს, რომელიც თავს უყრის სამოქალაქო ომის გამოცდილებას. ჩვენს უფშემადგენლობაში ძირითად მასას მუშები და გლეხები წარმოადგენენ. ის სხვა არმიების უფშემადგენლობისაგან განირჩევა მით, რომ ემსახურება თავის კლასს, ემსახურება ჩვენი სახელმწიფოს ძირითად მიზნებს და ამოცანებს. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების პოლიტიკური და მორალური მდგომარეობა ისეთია, რომ უკეთესი არ შეიძლება (ტაში). წითელი არმია ყოველ მომენტში, უყოყმანოდ, შეასრულებს იმ ამოცანას, რომელსაც მას დააკისრებს ისტორია. ჩვენ გვაქვს ყველა ძირითადი წესდებები, დებულებები და რჩევა-დარიგებანი, რომლებიც სავსებით ითვალისწინებენ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების გაკვეთილებს და გამოცდილებებს. ამ წესდებათა ნიადაგზე წითელი არმია სწავლობს ყოველგვარ იარაღების ხმარებას და მე ვერ ვიტყვი, რომ ამ სწავლის შედეგები არ არის საკმარისი.

სამხედრო სკოლები

ნორმალური სამხედრო სკოლები, შემცირებულნი რიცხვობრივად საგრძნობლად გაფართოებულია წითელი არმიის მომავალ მეთაურებისათვის სწავლის მიცემისა და მათი აღზრდის მხრივ, ყოველ წლობით გვძლევენ ათასობით ყოველ მხრივ მომზადებულ ახალგაზრდა სამხედრო სპეციალისტს. წითელი არმია თავისი მომზადებით წარმოადგენს ძლიერ, ბრძოლის უნარის მქონე ძალას.

ჯარების სამხედრო და პოლიტიკურ მომზადების საქმეში ძალიან დიდ როლს თამაშობენ ჩვენი სამხედრო აკადემიები. ჩვენ გვაქვს ექვსი აკადემია, რომლებშიაც უკანასკნელ წლების განმავლობაში მომზადებულ იქნა დაახლოვებით 200 მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკი.

ჩვენი ამიის რეზერვები

მომავალ ომის დროს დიდძალი ცოცხალი ძალა იქნება საჭირო, ჩვენ აქედანვე ყოველვე ზომები უნდა მივიღოთ, რომ რეზერვები გვყავდეს საკმაო რაოდენობით და სათანადოთ მომზადებულნი.

ჩვენ ვერ ვახერხებთ ყველა იმ კონტინგენტების მომზადებას, რომლებიც ყოველწლიურად უნდა იქნენ გაწვეული. იმ 800,000 ახალგაზრდას მაგიერ, რომელიც სამსახურში გამოდგება, ჩვენ საკადრო ტერიტორიალურ ნაწილებში ამ რაოდენობის მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტს ვაძლევთ ცოდნას მაგრამ ტერიტორიალური სისტემა მაინც იძლევა სამხედრო ცოდნის ფართოდ გავრცელების საშუალებას იმ რაიონებში, სადაც ის შემოღებულია. პირველ რიგში ჩვენ აუცილებლად ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ, რომ მოზარდმა ახალმა თაობამ მიიღოს თუნდაც პირველდაწყებითი მინიმალური სამხედრო მომზადება. ყველა სახის სპორტის, განსაკუთრებით, სროლის საქმის განვითარებას და სამხედრო ცოდნის გავრცელებას სამხედრო წრეების და კუთხეების საშუალებით ფაბრიკებში და ქარხნებში, სოფლებში და სკოლებში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა რეზერვების საკითხის გადაჭრის საქმეში. აღნიშნულ ამოცანების გადასაჭრელად საუკეთესო ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაცია—ქიმიური თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოება. ეჭვი არ შემდის, რომ ამ ორგანიზაციას ამიერიდან მიექცევა კიდევ მეტი ყურადღება, ვინემ აქამდე. მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენ შეგვეძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ომის შემთხვევაში საკმაო რაოდენობით შევავსებთ მომქმედ წითელ არმიას ისეთი მებრძოლებით, რომელთაც ხანგრძლივად მომზადება არ დასჭირდებათ და რომელნიც საშუალებას მოგვცემენ შევამციროთ მომზადების ვადა მინიმუმამდე.

ნაციონალური ნაწილები

საბჭოთა მესამე ყრილობამ მოგვცა მითითება, რომ განვგვხორციელებია ნაციონალურ-ტერიტორიალურ ნაწილების მოწყობის ხუთწლიანი პროგრამა, რითაც შესაძლებელი იყო, ნაციონალური ნაწილების პროგრამა შესრულებულიყო სავსებით ორი წლით ადრე ვადამდე. უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ჩვენ სავსებით დავამთავრეთ ნაციონალურ ნაწილების მოწყობა, რაც გათვალისწინებული იყო აღნიშნულ ხუთწლიან პროგრამაში. ნაციონალურ სამხედრო მშენებლობის საკითხში ჩვენ მიზნად ვისახავთ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ხალხების უფრო ფართოდ ჩაბმას სოციალისტურ სამშობლოს დაცვის საქმეში.

სათადარიგო მეთაურნი

ხალხისაგან ფართო რეზერვების მომზადების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკითხს სათადარიგო ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის კადრის შექმნის შესახებ.

ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში ჩვენ თანდათანობით ვაგროვებთ ძალებს იმით, რომ მეთაურთა შემადგენლობის ზოგიერთი ჯგუფები ამა თუ იმ მიზეზთა გამო მიდიან სათადარიგო ნაწილებში; მეორე, ჩვენ წარსული წლის შემოდგომიდან ჩვენს სამოქალაქო სასწავლებლებში გავატარეთ ღონისძიებანი სათადარიგო ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის მომზადებისათვის. ყველა სტუდენტები კანონით ვალდებული არიან განსაზღვრული ხნის განმავლობაში შეისწავლონ სამხედრო საქმე და უნდა გაიარონ საბანაკო შეკრება. ეს გარემოება გვაძლევს რწმენას, რომ ჩვენ შევსძლებთ მეთაურთა შემადგენლობის მნიშვნელოვანი რაოდენობის შეკრებას, რომელიც უზრუნველჰყოფს თავდაცვის მოთხოვნილებებს.

ქალთა მომზადება

მცირეოდენი შენიშვნა სპეციალურად ქალთა მომზადებაზე. საკითხი ქვეყნის თავდაცვის მომზადების საქმეში ქალების უფრო მეტად ჩაბმის შესახებ დასმულია თითქმის ყველა სახელმწიფოში და ასე თუ ისე, სწყდება ჩვენ მიერაც. მე მგონია, რომ შემდგომი მუშაობის გაფართოებაში ჩვენ სათანადო ყურადღებას მივაქცევთ ქალთა მომზადებას, როგორც სახელმწიფოს თავდაცვის აქტიური მონაწილის მომზადებას.

ბრძოლის ტეხნიკური საშუალებანი

ჩვენი არმიისათვის ბრძოლის ტეხნიკურ საშუალებათა მიწოდების მხრივ ჩვენ კვლავ ჩამორჩენილი ვართ თანამედროვე დასავლეთ ევროპის არმიებთან შედარებით. არ შეიძლება არ ვიყოთ ჩამორჩენილნი, ვინაიდან ჩვენი შეიარაღებული ძალები იზრდებიან იმ ქვეყანაში, რომელიც სამრეწველო-ტეხნიკური მხრივ ჩამორჩება მსოფლიოს სხვა დიდ სახელმწიფოებს. მაგრამ მე მაინც კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ სამხედრო ტეხნიკა იზრდება ჩვენი ქვეყნის მთელი მეურნეობის პროგრესთან ერთად, მის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად და ტეხნიკური კულტურის განვითარებასთან ერთად, იგი იზრდება დღითი-დღე და არაფრით არ ჩამორჩება ჩვენს მეურნეობის განვითარების საერთო დონეს (ტაში).

ქიმიური შეიარაღება

ჩვენი საარტილერიო შეიარაღება, კერძოდ, თავისი თვისობრივი მდგომარეობით და აგრეთვე რაოდენობით, დამაკმაყოფილებელია. ერთ-ერთი მეტად საშიში ტეხნიკური საშუალება მომავალ ომში იქნება ქიმია. ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ სამხედრო ქიმიის მხრივ ჩვენ საქმე ვერ გვაქვს რიგიანად დაყენებული. რომ მომზადებული ვიყოთ გაზებისაგან თავდაცვისათვის, ჩვენ მოგვიხდება ჩვენი ქიმიური მრეწველობის შენება და მოწყობა სამხედრო მიზნებისათვის. ყველასათვის ცნობილია საწინააღმდეგო გაზების მნიშვნელობა თანამედროვე არმიაში. ძველი გაზები უვარგისი გამოდგა ახალი, ძლიერ მომქმედი, მომწამვლელი ნივთიერების წინააღმდეგ. ჩვენმა სამეცნიერო მუშაკებმა მთელი ძალღონე უნდა მიმართონ იქითკენ, რომ აღმოაჩინონ ახალი საწინააღმდეგო გაზები, რომელნიც დაგვიცავენ ამჟამად ცნობილ ყველა მომწამვლელ ნივთიერებათაგან.

ასეთი საბჭოთა გაზი არის აღმოჩენილი, მოწყობილი და უკვე მიღებულია შეიარაღებისათვის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს საწინააღმდეგო გაზები უდიდესი რაოდენობით მოგვინდება. ეს გაზები საჭირო იქნება არა მარტო წითელი არმიისათვის, არამედ იგი უნდა ჰქონდეს ყოველ მუშას, ყოველ მშრომელს, რომელიც ამა თუიმსახით ახლო იქნება შეიარაღებულ ფრონტთან ან მის უახლოეს ზურგთან. მე ვფიქრობ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ეს, მომწამვლელ ნივთიერებათაგან დამცველი გაზები საკმაო რაოდენობით გვექნება.

სამხედრო ავიაცია

მეორე, უფრო თანამედროვე იარაღია—სამხედრო ავიაცია. ჩვენი საჰაერო ფლოტი წარმოადგენს ისეთ ძალას, რომლითაც შეუძლია იამაყოს ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოს. ჩვენ მოგვიხდა ჩვენი საჰაერო ფლოტის სრულიად ახალ ნიადაგზე მოწყობა, ვინაიდან სამხედრო ტეხნიკის ამ დარგში ჩვენ არავითარი მემკვიდრეობა არ მიგვიღია. უმნიშვნელო რაოდენობის დაძველებული თვითმფრინავების ნაცვლად ჩვენ შევქმენით ძლიერი თანამედროვე საჰაერო ფლოტი.

ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ საჰაერო ფლოტი თავის უდიდეს ნაწილში ავაშენოთ ჩვენს საკუთარ საბჭოთა ავიამრეწველობის საფუძველზე. მფრინავების მომზადებაც არა ნაკლებ სერიოზული და ძნელი ამოცანაა, ვიდრე თვით მფრინავი აპარატების შენება. ეს ორი ამოცანა თავის უმთავრეს ნაწილში ჩვენ გადავწყვიტეთ და ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი საჰაერო ფლოტი დღითი-დღე, თვიდან თვემდე გაიზრდება და გადაიქცევა ისეთ ძალათ, რომელიც შესძლებს წარმატებით ებრძოლოს ჩვენზე თავდამსხმელ მტერს.



ამხ. ვოროშილოვი

მე მოკლედ უნდა შევჩერდე მეტად მნიშვნელოვან ამოცანაზე, რომელიც საჰაერო ფლოტის აღმშენებლობასთან არის დაკავშირებული. მე მხედველობაში მაქვს სამხედრო-საკონსტრუქციო მუშაობის განვითარება ავიაციის დარგში. მე კმაყოფილებით შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენ დავაარსეთ ცენტრალური ჰაერო-ჰიდრო-დინამიური ინსტიტუტი, სამეცნიერო-საკონსტრუქციო ტიპის დაწესებულება, რომლის ბადალი არ არსებობს არა მარტო თვით ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიაც (ტაში)

საზღვაო ძალები.

რამოდენიმე სიტყვა ჩვენს საზღვაო ფლოტზე. საზღვაო ფლოტი ამჟამად მძიმე პირობებიდან გამოვიდა, იგი წარმოადგენს მძლავრ საორგანიზაციო ძალას და შესძლებს მეტად დიდი და რთული ამოცანების შესრულებას, თუ ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური მთავრობა (ტაში).

შემდეგ ამხ. ვოროშილოვი გადადის სამხედრო სათადარიგო ნაწილების მობილიზაციის საკითხზე და ამბობს:

„მშვიდობიანობის პირობებში აუცილებელია მრეწველობისა და ჩვენი ქვეყნის ყველა სამრეწველო ძალების მოწყობა ისე, რომ ისინ საჭირო მომენტში მზად იყვნენ დაამზადონ ფრონტზე მებრძოლი ძალებისა და ზურგის მინიმალური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ყველა აუცილებელი საგნები. მრეწველობის მომზადება თავდაცვისათვის უნდა იდგეს, როგორც დღევანდელი დღის აქტუალური ამოცანა; ამ ამოცანის გადაუწყვეტლად რეალობას იქნება მოკლებული ყოველგვარი ლაპარაკი ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ".

ჩვენი სამხედრო მრეწველობა იზრდება

შემდეგ ამხ. ვოროშილოვი მთელი რიგი ფაქტებით ასურათებს იმპერიალისტური სახელმწიფოების მრეწველობასა და სახელმწიფო აპარატის მომზადებას სამხედრო დროისათვის და აღნიშნავს, რომ ჩვენი დიდი უპირატესობა ასეთ მომზადებაში ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შედარებით გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა მთლიან სამეურნეო და ეკონომიურ ორგანიზმს წარმოადგენს. „სწორედ ამიტომ, ამბობს ამხ. ვოროშილოვი, ჩვენთვის გაცილებით ადვილია ყველაფრის გაერთიანება, შეთანხმება, მოგვარება და საჭირო მიმართულების მიცემა.

მე სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, განაგრძობს ამხ. ვოროშილოვი, რომ ჩვენი სამხედრო მრეწველობა, რომელიც მოკოჭლებდა უკანასკნელ დრომდე, მოიკოჭლებდა უფრო მეტად, ვიდრე ჩვენი მეურნეობის რომელიმე ნაწილი, და რომელმაც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის ქარცეცხლი გადაიტანა, ამჟამად გამოსწორდა თუ სავსებით არა მნიშვნელოვნად მაინც. იგი დგება ფეხზე და უკანასკნელ ხანებში კარგად ასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

ტრანსპორტის ამოცანები

ჩამოთვლილი ამოცანების გარდა მრეწველობის დარგში აუცილებლად უნდა შევჩერდე ტრანსპორტის წინაშე მდგომ ამოცანებზე.

ყოველი ომი და განსაკუთრებით თანამედროვე ომი მთელი თავისი სიმძიმით ემყარება ტრანსპორტს. საჭიროა სპეციალური ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჩვენი სატრანსპორტო შესაძლებლობანი გაუმჯობესდეს, რომ ჩვენი ტრანზიტი მომზადებულ იქნას თავდაცვის პირობებისათვის".

შემდეგ ამხ. ვოროშილოვი შეჩერდა სასოფლო მეურნეობის როლზე თავდაცვის დარგში და განაცხადა:

„მეცხენეობის გაძლიერებულ განვითარებას და ჩვენი გლეხობის სატრანსპორტო მეურნეობის უფრო ჩქარი ტემპით აღდგენას, მაშინ როდესაც მექანიკური წევა ვერ არის განვითარებული, მეტად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

გვახსოვდეს ლენინის ანდერძი

ყველა აღნიშნულ საკითხებთან ერთად ჩვენ სერიოზულ ყურადღება უნდა მივაქციოთ საჰაერო ქიმიურ თავდაცვის აუცილებლობას. პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია შევუდგეთ მუშაობას იმისათვის, რომ საზღვრების რაიონებში მოსახლე ფართო მშრომელ მასებს განუმარტოთ საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა. აუცილებელია, რომ ფართო მასსებმა იცოდნენ და შეიგნონ, თუ რა შეუძლია და რა არ შეუძლია საჰაერო ფლოტს, რომ არ ჰქონდეს ადგილი პანიკას და შიშიანობას, რომელიც სავსებით ბუნებრივია, თუ ადამიანს წინასწარ არ შეუძლია ღირსეულად შეაფასოს მოვლენა, რომელსაც იგი პირველად ხედავს.

აღვნიშნავ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პირობას ჩვენი თავდაცვის მომზადებისათვის. აუცილებლად უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ჩვენი ინჟენერები, ტეხნიკოსები და სამეცნიერო მუშაკები აქტიურად იქნან ჩაბმულნი სახელმწიფოს თავდაცვის მომზადებისათვის მუშაობაში.

აუცილებელია ეხლავე, ამბობს ამხ. ვოროშილოვი, შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომელიც აგვაშორებს ზედმეტ და დაუსაბუთებელ პანიკას. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყოველთვის ვართ სამხედრო თავდასხმის საფრთხის ქვეშ. ხშირად უნდა მოვიგონოთ ლენინის სიტყვები, რომელიც მან სთქვა ჯერ კიდევ 1921 წელში:

„ჩვენი პოლიტიკის პირველი ანდერძი, პირველი გაკვეთილი, რომელიც უნდა შეითვისონ ყველა მუშებმა და გლეხებმა, ეს არის ის, რომ ვიყოთ მზათ და გვახსოვდეს, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ ისეთი ხალხით, კლასებით და მთავრობებით, რომელნიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს ზიზღს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი თავდასხმისაგან ჩვენი ბედი ბეწვზე იქნება ჩამოკიდებული".

თუ ჩვენ მზად ვიქნებით, თუ ჩვენ მივსდევთ დიდი ბელადის ანდერძს, თუ განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვას, მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, მაშინ ეს ბეწვი კიდევ დიდხანს გა ეს ბეწვი კიდევ დიდხანს გასძლებს და ჩვენ ქვეყანაში ავაშენებთ სოციალიზმს და ისტორიის ნების მიხედვით შევასრულებთ მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდის როლს".

(ხანგრძლივი ტაში. ყრილობა ფეხზე ამდგარი ესალმება ამხ. ვოროშილოვს).

ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური მთავრობა მტკიცდება

საფრანგეთის რეფორმისტული პროფკავშირები სამხედრო კანონის წინააღმდეგ

როგორ აწამეს კომუნისტები

ბერლინი, 29 აპრილი. „ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება:

„დაწვრილებითი ცნობები 20 ჩინელი კომუნისტის დასჯის შესახებ აძლიერებენ ზიზღს ასეთი ბარბაროსობისადმი. კომუნისტების გასამართლება, — სწერს გაზეთის კორესპონდენტი, — გრძელდებოდა ორი საათი. ამდენივე დრო დასჭირდა მათ ჩამოხრჩობას. წინდაწინვე დამზადებული კუბოები ისე იყო დალაგებული, რომ მსჯავრდადებულთ შეეძლოთ მათი დანახვა წამების პროცესში". (ადს)

ჩინელი კომუნისტების მხეცური წამების წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 აპრილი. კომინტერნის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნების მუშებს, გლეხებს და მშრომელებს, რათა პროტესტი განაცხადონ ჩინელი კომუნისტების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომელთა შორის იყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი ამხ. ლი-ტაი-ჩაო.

„საუკეთესო ამხანაგები, ნათქვამია მოწოდებაში, ჩინეთის ახალგაზრდა გმირული პარტიის წევრნი მხეცურად იქნენ დასჯილი სიკვდილით წამების საშუალებით. ინგლისურ წყაროების ცნობით, ჩვეულებრივი თავის მოკვეთა შეცვლილ იქნა დახრჩობით, რომ ამით „თავზარი დაეცათ წითლების ყველა თანამგრძნობთათვის". გაუგონარ ბარბაროსულ წამებას წინ უსწრებდა სასამართლოს ორი საათის კომედია. სასიკვდილო განაჩენი გასამართლებამდე იყო გამოტანილი და შეთანხმებული პეკინის დიპლომატიურ კორპუსთან. მხოლოდ დიპლომატიურ კორპუსთან შეთანხმებით შეეძლოთ ჩან-ძო-ლინის აგენტებს უცხოეთის კვარტალში შეჭრა, მხოლოდ დიპლომატიური კორპუსის თანხმობით შეიძლებოდა ჩინელი კომუნისტები გადაეცათ ჯალათებისათვის და მხოლოდ დიპლომატიური კორპუსის თანხმობით შეიძლებოდა უსასტიკესი კლასიური შურის ძიების მოხდენა.

კომუნისტების დახრჩობისთვის პასუხს აგებენ ყველა იმპერიალისტური ბანდები და ბურჟუაზიულ - კაპიტალისტური მთავრობები. მთელი ქვეყნის მუშებო და გლეხებო, გააფართოვეთ საპროტესტო კამპანია იმპერიალისტური ჩამომხრჩობლების, ჩინეთის მუშათა კლასის დამარბეველების. და ახალი ომების მომმზადებლების წინააღმდეგ. დეე, დღეს კიდევ იზეიმოს სისხლიანმა დესპოტმა ჩან - ძო - ლინმა, რომელმაც პირველი მაისისათვის მსოფლიო ბურჟუაზიას მიართვა კომუნისტების მოკვეთილი თავები. იგი ვერ შესძლებს სისხლში ჩაახჩოს ჩინეთის დიდი რევოლიუციის უკვდავი საქმე. (ადს)

ინგლისელების თავხედობა

შანხაი, 29 აპრილი. მიუხედავად იმისა, რომ ბაი-ძუნ-ძის შტაბმა ორჯერ განაცხადა პროტესტი, **ინგლისის აეროპლანები კვლავ თავს დასტრიალებენ შანხაის ჩინურ ტერიტორიას.** ჰონკონგიდან შანხაიში წავიდა ინგლისის აეროპლანების სადგომი გემი. ეხლა შანხაის ნავთსადგურებში დგას ინგლისის ორი ასეთი გემი. (ადს).

დივიზიების განიარაღება

შანხაი, 29 აპრილი. ჩან-კაი-შის შტაბი ადასტურებს ცნობას, რომ **მე-6 საარმიო კორპუსის 3 დივიზია ჩენ-ენის სარდლობით განიარაღებულ იქნა.** (ადს)

ჩინეთის მეგობარი

ხანკოუ, 29 აპრილი. ნაციონალური სააგენტო იტყობინება, რომ ხანკოუში ჩავიდა გერმანიის საბარგო გემი. გზა ვუზუნიდან გემმა გაიარა 3 ნახ. დღე - ღამეში. გემზე არავითარი შეიარაღება და არც მცველები იყო. მიუხედავად ამისა ჩინელ ჯარებს გემისთვის ხელი არ უხლიათ.

ხანკოუს ნაციონალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ იმ **სახელმწიფოს, რომელიც ჩინეთში არ გზავნის ჯარებს და არ ემუქრება მათ ძალდატანებით, ჩინელები მეგობრულ ნაციად სთვლიან და ამიტომ მასთან უსიამოვნება არ მოსდით.** (ადს).

ოკუპაციას მოითხოვენ

ლონდონი, 29 აპრილი. „დეილი ტელეგრაფ" აცხადებს, რომ **ინგლისის ჯარების მიერ ინგლისის ყოფილი კონცესიის დაკავება ხანკოუში შესაძლებელია, მაგრამ ეს არ იქნებოდა საკმაო სასჯელი იმ ზარალისა და შეურაცხყოფისათვის, რომელიც ინგლისელებს მიაყენეს. გაზეთი აღნიშნავს, რომ საჭიროა ნანკინის ოკუპაციაო.** (ადს).

უცხოელების წარმოებები

ხანკოუ, 29 აპრილი. ნაციონალური სააგენტო იტყობინება, რომ 23 აპრილს გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო ამერიკელ მწარმოებლების წარმომადგენელთა დეპუტაცია.

სპეციალური შეკითხვის საპასუხოდ, მინისტრმა კატეგორიულად უარჰყო ის აზრი, თითქოს ნაციონალური მთავრობის პოლიტიკას ოდესმე მიზნად ჰქონდეს დასახული უცხოელთა ვაჭრობის ჩაშლა ჩინეთში. დანარჩენ შეკითხვების საპასუხოდ მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას დღემდე საშუალება არ ქონდა შესდგომოდა ეკონომიური საკითხის საფუძვლიანად მოგვარებას. მთავრობის ყურადღებას უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში იპყრობდა უმეტესად უაღრესად სერიოზული საკითხი პარტიულ ცხოვრებაში.

„ეხლა — სთქვა მინისტრმა — ეს საკითხი გადაჭრილია და მთავრობა და პარტია შეუდგენ ეკონომიური საკითხის დროებით მოწესრიგებას".

შემდეგ მინისტრმა ჩამოთვალა იმ პირობების მოსაწესრიგებლად მიღებული ღონისძიებები, რომელთა ნიადაგზე შეუძლიათ მუშაობა უცხოელების წარმოებებს; მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშათა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს რევოლიუციონური დისციპლინისით განახორციელონ მთავრობის ეს ღონისძიებები. (ადს)

პირველი მაისის წინ

შანხაიში

შანხაი, 29 აპრილი მუშათა და სტუდენტთა ორგანიზაციები ემზადებიან საპირველმაისო დღესასწაულისათვის, რომელიც ჩატარებული იქნება სამხედრო შტაბის პოლიტიკური განყოფილების ინიციატივით და მეთვალყურეობით. დღესასწაულის პროგრამას იმუშავებენ ხელის უფლების წარმომადგენლები. (ადს).

შვეიცარიის კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 29 აპრილი. შვეიცარიის კომპარტია 1 მაისის დღესასწაულისათვის მოუწოდებს შვეიცარიის მშრომელ მასებს გამოკიდონ ლოზუნგებით ჩაგრულ ხალხთა ბრძოლისადმი სოლიდარობის შესახებ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად, სამუშაო დღის გაგრძელების და სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ. (ადს).

„უორკერს პარტი"-ს მოწოდება

ნიუ-იორკი, 29 აპრილი. ამერიკის „უორკერს პარტი" საპირველმაისო დღესასწაულისათვის მოუწოდებს მუშათა კლასს სოლიდარობისაკენ; მოწოდება წინადადებას იძლევა, რომ მშრომელები გამოვიდნენ იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ ომი გამოიწვიონ ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან და აგრეთვე მოითხოვენ საკოს და ვანცეტის განთავისუფლებას. მოწოდებაში აუცილებლად არის ცნობილი მუშათა პარტიის შექმნა და ზომების მიღება პროფკავშირების დასაცავად კაპიტალის შემოტევისაგან (ადს).

ავსტრიის კომპარტიის ლოზუნგები

ვენა, 29 აპრილი. ავსტრიის კომპარტიის ცეკა საპირველმაისო მოწოდებაში აყენებს შემდეგ ლოზუნგებს: „პირველი მაისი უნდა იყოს მობილიზაციის დღე სამხედრო საფრთხისა და ფაშიზმის წინააღმდეგ". „მუშების შეიარაღება წარმოებებში", „ძირს ზეიპელის მთავ- [illegible] „[illegible] მთავრობას ავსტრიაში". (ადს).

ეკონომიურ კონფერენციის გარშემო

პარიჟი, 29 აპრილი. „ტან"-ი ეხება ინგლისის გაზეთების ცნობას, რომ საბჭოთა კავშირმა გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე და გაგზავნოს იქ ლიტვინოვი მეთვალყურის სახით. გაზეთი სწერს:

„უდავოა, რომ ეს გადაწყვეტილება მოწმობს ერთა ლიგისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შეცვლას. საბჭოთა კავშირის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა დავფაროთ, რომ ეს გარემოება სერიოზულ უხერხულობას ქმნის. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე — მოისურვებს საბჭოთა კავშირი მუშაობას სოლიდარობის განსამტკიცებლად, რაც საეჭვოა, თუ გამოეკიდება რევოლიუციონურ მიზნებს და შეეცდება სახელმწიფოებს შორის განხეთქილების შეტანას" (ადს)

გერმანიის მენშევიკთა შორის

ბერლინი, 29 აპრილი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკასა და პარტიის საოლქო ორგანიზაციას შორის ჰალეში დაიწყო კონფლიქტი. ცეკას სურს, რომ ჰალეში დახუროს სტამბა, სადაც იბეჭდება სოციალ - დემოკრატიული გაზეთი „ფოლკსბლატი" და გახსნას საკუთარი სტამბა ოპოზიციური წერილების დაბეჭდვის ასაკვეთად. ჰალეს საოლქო ორგანიზაცია აღშფოთებულია ცეკას ასეთი მოქმედებით. ორგანიზაციის წევრთა ნაწილი აცხადებს, რომ ამის შემდეგ „ფოლკსბლატის" მაგიერ მკითხველები უპირატესობას მისცემენ მემარცხენე სოციალ - დემოკრატიულ გაზეთს „ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგს", რომელიც ლეიპციგში გამოდის, ან და კომუნისტურ ორგანოს „კლასენკამპფს". (ადს)

ფაშისტების წინააღმდეგ

მუშების პოზიცია

ბერლინი, 29 აპრილი. ბერლინის მიწის ქვეშა საჰაერო რკინის გზის მუშების კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც წინადადებას აძლევს სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ბერლინის კომიტეტს და სხვა პროფესიონალურ კავშირებს, რომ მათ მოუწოდონ მუშებს მუშაობის შეწყვეტისაკენ წარმოებაში 7 და მაისს—ფაშისტური ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის" საზეიმო დღეებში.

რეზოლიუცია წინადადებას იძლევა, რომ მოწვეულ იქნას გაერთიანებული დემონსტრაცია გერმანიის კომპარტიის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის, პროფკავშირების, რესპუბლიკანური დროშის პარტიის, ფრონტოვიკელების წითელი კავშირის და ქალთა წითელი კავშირის მონაწილეობით.

წითელი ფრონტოვიკელების კავშირის ხელმძღვანელთა კონფედერაციამ დაადგინა 6—9 მაისამდე მზად იყოლიოს კავშირის რაზმები.

გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე" იუწყება რეიხსვერის ნაწილების თავმოყრის შესახებ ბერლინსა და მის მიდამოებში. გაზეთების ცნობით, რეინ-ვესტფალიის მძიმე ინდუსტრიის მწარმოებელთა კავშირები ყოველ მონაწილეს „ფოლადის მუზარადის" აღლუმში აძლევენ 15 მარკას, რამაც სხვადასხვა რაიონებიდან ბერლინში თავი მოუყარა 10.000 კაცს. (ადს).

კომპარტიის პასუხი

ბერლინი, 29 აპრილი. გერმანიის კომპარტიის ბერლინის საოლქო ორგანიზაცია მოუწოდებს მუშებს, რომ მათ პირველ მაისს მონაწილეობა მიიღონ ლიუსტგარტენის დემონსტრაციაში შემდეგი ლოზუნგებით:

„ბრძოლა მწარმოებლების წინააღმდეგ", „ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღისათვის", „ძირს იმპერიალისტური ომი", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს", „გაუმარჯოს ნაციონალურ მოძრაობას ჩინეთში".

„პროლეტარიატის საპირველმაისო გამოსვლა, ნათქვამია მოწოდებაში, უნდა განმეორდეს მასიური დემონსტრაციის სახით ფაშისტური ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის" საზეიმო აღლუმის დღეს". (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

საბჭოთა დელეგაცია ეკონომიურ კონფერენციაზე.

მოსკოვი, 30 აპრილი. 30 აპრილს ჟენევაში მიემგზავრება საბჭოთა დელეგაცია საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე დასასწრებლად, რომელიც 4 მაისს გაიხსნება (ადს).

ბოიკოტი შვეიცარიისადმი შეწყვეტილია.

მოსკოვი, 30 აპრილი. იმის გამო, რომ 1927 წლის 14 აპრილს ბერლინში ხელმოწერილ იქნა ოქმი იმ კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც წარმოიშვა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო ლოზანის კონფერენციის დროს, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1927 წ. 14 აპრილიდან შეწყვეტილად ჩასთვალოს ეკონომიური ბოიკოტი შვეიცარიისადმი. სახალხო კომისართა საბჭომ ეს დადგენილება დასამტკიცებლად წარუდგინა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს (ადს).

ჩან-ძო-ლინი „მუშაობს“.

ხარბინი, 30 აპრილი. ადგილობრივი გაზეთი „გუნ-ბაო“ იუწყება, რომ მუკდენში დაპატიმრებულ იქნა ჩრდილო-აღმოსავლეთის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი, რომელთაც, გაზეთის ცნობით, უპოვეს კომუნისტური ლიტერატურა და სხვადასხვა წიგნაკები. გაზეთი აცხადებს, რომ უკვე არსებობს ჩრდილო-აღმოსავლეთის უნივერსიტეტის დროებით დახურვის პროექტი, რომელსაც მიზნათ აქვს უნივერსიტეტის გაწმენდა არასანდო ელემენტებისაგან (ადს).

საგლეხო სესხის მოგების ტირაჟი.

მოსკოვი, 30 აპრილი. 2 მაისს ივანოვოვოზნესენსკში დაიწყება მეორე საგლეხო სესხის მოგების ტირაჟი. ამ ტირაჟში მონაწილეობას იღებს სესხის ყველა ათი სერია. გათამაშებულ იქნება 12.810 მოგება 1.250.000 მან. თანხით (ადს).

შრომის კომისია

ხანკოუ, 29 აპრილი. ნაციონალური სააგენტო იტყობინება, რომ შესდგა მუშათა საკითხების გამრკვევი ახალი კომიტეტი, რომელშიაც შედიან ევგენი ჩენი, ჩენ - გუნ - პო, და სიუ-შა-შენი. კომიტეტი გადასწყვეტს შრომის საკითხებს, რამდენადაც ისინი უცხოელების ინტერესებსაც შეეხებიან. (ადს)

ფაშისტების თარეში

ბერლინი, 29 აპრილი. 29 აპრილს ღამით ფაშისტებმა დაარბიეს წითელ ფრონტელების კავშირის ჰამბურგის განყოფილების შენობა. (ადს).

ავსტრიის პარლამენტში

ვენა, 29 აპრილი. ავსტრიის პარლამენტის საბოლოო შემადგენლობა ასეთია: გლეხი - სოციალისტი — 73, პანგერმანელი — 12, მემამულე — 9 და სოციალ - დემოკრატი — 71.

გაზეთ „რეიხსპოსტის“ ცნობით, მომავალ კვირას საკავშირო კანცლერი ზეიპელი დაიწყებს ოფიციალურ მოლაპარაკებას ახალი კაბინეტის შედგენის გარშემო. (ადს)

გაფიცვის წინ

ჰელსინგფორსი, 29 აპრილი. ფინეთის ქაღალდის მრეწველობის წარმომადგენლებმა უარი სთქვეს იმ შემთანხმებელ კომისიაში მონაწილეობაზე, რომელიც დაინიშნა კონფლიქტის მოსაგვარებლად ქაღალდის მრეწველობაში. ამის გამო ერნროტმა, რომელიც მთავრობამ დანიშნა შუამავლად მწარმოებლებსა და მუშებს შორის, განაცხადა. რომ მას შესაძლებლად მიაჩნია დაკისრებულ ვალდებულების შესრულება იმ გაფიცვის თავიდან აცდენის შესახებ, რომელიც ქაღალდის მრეწველობაშია მოსალოდნელი. (ადს).

მემაღაროების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 29 აპრილი. 150.000 მემაღაროეს გაფიცვას, რომელიც უკვე თვეა გრძელდება, სრულებით არ ეხება არც პრესა და არც ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი. მემაღაროეთა პროფკავშირი იტყობინება, რომ ქვანახშირის ზოგიერთ მაღაროში დადებულია შეთანხმება მწარმოებლებთან, რომლის ძალით სამუშაო ხელფასის წინანდელი დონე უცვლელი რჩება. ოფიციალური ცნობები მოწმობენ, რომ გაფიცვის გამოცხადების დღიდან ქვა-ნახშირის ამოღება 40 პროცენტით შემცირდა. (ადს).

ომის წინააღმდეგ

პარიზი, 30 აპრ. შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის მოხსენებაში, რომელშიაც იგი ანვითარებს კონფედერაციის თვალსაზრისს სამხედრო კანონ-პროექტებზე. ნათქვამია: „კონფედერაცია ახალ სამხედრო კანონებში არ ნახულობს მშრომელთა მასსების მშვიდობიანობისაკენ მისწრაფების გამოხატულობას, და აცხადებს, რომ ეს კანონები ომის აჩრდილს იწვევენ. ამიტომ კონფედერაციას არ შეუძლია მიიღოს ის დებულებანი, რომლებითაც მუშათა კლასი და მისი ორგანიზაციები მეტად უმძიმეს ხანაში სავსებით სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში ვარდებიან. კონფედერაცია ამტკიცებს, რომ მუშებს შორის არ არის ომის არც ერთი მომხრე და ყველა მუშები ეთანხმებიან იმას, რომ შეიარაღების პოლიტიკა საფრთხეს ქმნის მშვიდობიანობისათვის“. (ადს)

უმუშევართა დაზღვევის კონფერენცია

ლონდონი, 30 აპრილი. კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იყო პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს ეროვნულ გაერთიანების საბჭოს, მუშათა პარტიის აღმასკომის და მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის აღმასკომის, მიერ მოისმინა ბლენსბერგის კომისიის მოხსენება უმუშევართა დაზღვევის შესახებ. ეროვნული გაერთიანების საბჭოს მოხსენება ამ საკითხზე კონფერენციამ მიიღო 2.538.000 ხმით წინააღმდეგ 1.081.000 ხმისა. ბლენსბერგის კომისიის მოხსენების მკაცრი კრიტიკით გამოვიდენ დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წევრნი — უიტლი და ბიუკენენი და აგრეთვე კუკი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კომისიის მოხსენებით გათვალისწინებული მთავრობის ფინანსიური მონაწილეობა უმუშევართა დაზღვევაში არაა საკმაო. დამახასიათებელია, რომ ეროვნული გაერთიანების საბჭოს მოხსენება ერთი სიტყვითაც არ შეეხება იმ უკმაყოფილებას, რომელიც მთელმა რიგმა პროფკავშირებმა გამოსთქვეს მუშათა პარტიის იმ დეპუტატების მოქმედების გამო, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ბლენსბერგის კომისიაში და ხელი მოაწერეს კომისიის მოხსენებას.

სამთამადნო მუშათა ფედერაციის დელეგატები შეეცადენ საპროტესტო რეზოლიუციის შეტანას იმის წინააღმდეგ, რომ ბლენსბერგის კომისიის მოხსენებას ხელი მოაწერეს კომისიის წევრებმა (მარგარიტა ბონფილდი, ხოჯსონი და ხოლმსონი), რომელნიც ეკუთვნიან მუშათა პარტიას. მაგრამ რეზოლიუცია მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან და სრულიად არ განუხილავს კონფერენციას. (ადს)

პროფბიუროკრატები

ლონდონი, 29 აპრილი. დაიხურა პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენცია რომელიც მოწვეული იყო პროფკავშირების შესახებ შემუშავებულ კანონპროექტის საწინააღმდეგო კამპანიის გამო.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, **მოსიპმა — უმცირესობის მოძრაობის წარმომადგენლებმა — ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფკავშირთა ბიუროკრატებმა მემარცხენე ფრთის დელეგატებს არ მისცეს კონფერენციაზე აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალება.** (ადს).

მენშევიკები ლაყბობენ

ბერლინი, 29 აპრილი. გამოქვეყნდა ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილება, რომელშიაც აღმასკომი ყველა დარაზმულ მუშების ყურადღებას მიაქცევს განიარაღების კონფერენციის მომზადებელი კომისიის უკანასკნელი სესიის უარყოფით შედეგებზე.

„ინტერნაციონალის პრეზიდიუმი — ნათქვამია დადგენილებაში — აზრადაც არ სცნობს შესაძლებლად, რომ სახალხო მხურვალე ლტოლვა მშვიდობიანობისადმი ჩახშობილ იქნას ზოგიერთი მთავრობების ბოროტი ნებით. პრეზიდიუმი მოუწოდებს ინტერნაციონალში შემავალ პროფესიონალურ კავშირებს დაიწყონ ენერგიული კამპანია რეაქციონურ მილიტარისტულ ელემენტების წინააღმდეგ“. (ადს)

აღმოსავლეთში

ეგვიპტელი ნაციონალისტები და სუდანის საკითხი.

ინგლისელებმა ადმინისტრატიული მხრივ სუდანი საბოლოოთ ჩამოაშორეს ეგვიპტეს 1924 წ. ნოემბერში. ეგვიპტის ჯარები და მოხელეები ყველგან შესცვალეს ინგლისელებმა. ეგვიპტის დროშები მოხსნეს და ეგვიპტესა და სუდანს შორის შეჰქნეს ფორმალური საზღვარი. ამრიგად ინგლის-ეგვიპტის კონდომინიუმს (შეთანხმებულ მფლობელობას) სუდანში ფაქტიურად მოეღო ბოლო. ეგვიპტის მეფე ფუადმა ფორმალურად შეინარჩუნა სუდანის გუბერნატორის დანიშვნის უფლება,, მაგრამ ფაქტიურად მისი გავლენა გუბერნატორის დანიშვნის საქმეში ნულს უდრის. სუდანის ახალი გუბერნატორი მაფფი-ლოდერსი, მართალია, ამ თანამდებობაზე მეფე ფუადმა დაამტკიცა, მაგრამ ლოდერსის განცხადება მისი ლონდონიდან ქაირში გამგზავრების წინ, ამტკიცებს, რომ ეგვიპტისათვის სუდანში მინიჭებული ეს ერთად-ერთი „უფლება“ წმინდა წყლის ფიქცია არის. „სუდანი, — სთქვა მაფფი-ლოდერსმა, — გემრიელი ლუკმაა და ინგლისი შეეცდება მოინელოს ის“.

ეგვიპტის შინაური პოლიტიკის აქტუალური საკითხები დღემდე ჩრდილში აყენებდენ სუდანის საკითხს, და ეგვიპტის მთავრობამ მხოლოდ ახლა მიაქცია მას ჯეროვანი ყურადღება. ირკვევა ორი საინტერესო მომენტი: ეკონომიური აუცილებლობა მოითხოვს, რომ საბაჟო ტარიფი ეგვიპტეში და სუდანში შეთანხმებული იქნეს. სუდანის ინგლისური ადმინისტრაცია წინადადებას აძლევს ეგვიპტის მთავრობას, რომ დადებულ იქნეს საბაჟო შეთანხმება ეგვიპტე-სუდანს შორის. ეგვიპტის მთავრობას არ შეუძლია ამაზე დასთანხმდეს, რადგან ეს იქნებოდა სუდანის ჩამოშორების ოფიციალური ცნობა. ირკვევა აგრეთვე, რომ ეგვიპტე სუდანის სასარგებლოდ იხდის ფარულ ხარკს საქმე იმაშია, რომ ეგვიპტის ჯარების შესანახად სუდანში ყოველწლიურად ბიუჯეტით გადადებული უნდა ყოფილიყო 750.000 ეგვიპტური სტერლინგი.. წარსულ წელში, როცა ეგვიპტის ჯარები ფაქტიურად უკვე გაყვანილი იყო სუდანიდან, ხარჯთ-აღრიცხვის ეს მუხლი დემონსტრატიულად დასტოვა პარლამენტმა იმის დასამტკიცებლად, რომ ეგვიპტე ხელს არ იღებს სუდანის მფლობელობაზე. მაგრამ ეგვიპტის ზოგიერთი მოღვაწეები თვლიან, რომ ეს დემონსტრაცია მეტად ძვირად უჯდება სახელმწიფოს.

უცხოეთში

უნივერსიტეტი —კომუნა

მუშათა უნივერსიტეტი კატონში (შეერთებული შტატები)—რაღაც სრულიად უჩვეულო მოვლენაა ბურჟუაზიული ამერიკისათვის. ყველაფერი—დაწყებული შენობიდან და გათავებული მსმენელებით—ამ უმაღლეს სკოლაში განირჩევა შეერთებული შტატების ბურჟუაზიული უნივერსიტეტებისაგან.

უნივერსიტეტი მოთავსებულია არა ხმაურობით სავსე ნიუ-იორკში და ჩიკაგოში, არამედ სოფლად, სამი საათის სავალ ადგილზე ნიუ-იორკიდან.

სტუდენტები და სტუდენტი ქალები ცხოვრობენ უნივერსიტეტთან, პატარა შენობებში, რომლებიც ბაღშია აგებული. აქვე სცხოვრობს პედაგოგიური პერსონალი.

უნივერსიტეტის „მთავარი კორპუსიც“ სრულიად არ წააგავს ბურჟუაზიული მეცნიერების „ტაძრების“ უზარმაზარ შენობებს. მუშათა უმაღლესი სკოლების შენობა კატონში, ეს არის ლამაზი, ორსართულიანი ხის შენობა. მასში არ არის ვეებერთელა, ნახევრად ბნელი დერეფნები, არამედ სულ რამდენიმე საკმაოდ დიდი და ნათელი აუდიტორიაა.

კანტონის მუშათა სკოლაში მსმენელები არ არის ბევრი—სულ 50—60 კაცი. მათ შორის ვერ იპოვნით „გაფრანტულ“ ახალგაზრდებს, რომლებითაც სავსეა ამერიკის სხვა უნივერსიტეტები. კატონის სტუდენტები—ესენი არიან პროფკავშირებისა და მუშათა პარტიის აქტიური მუშაკები. მათი უმრავლესობა—მემარცხენე მოძრაობის წარმომადგენლებია. გუშინ ისინი მუშაობდენ ფაბრიკაში, დღეს კი ჩაქუჩი შეუცვლიათ წიგნით და ამაყობენ თავისი კლასიური შეგნებით.

მუშათა უნივერსიტეტის მასწავლებლობის უმრავლესობა სოციალისტური წრიდანაა. ბევრმა მათგანმა იგრძნო ამერიკული „კულტურის“ „ზეკლასიურობა“—მათი შეხედულებები არ მოეწონა იმათ, ვინც დღეს მართავს ატლანტის იქითა მხარის დიდ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკას და მათ წაართვეს კათედრები ბურჟუაზიულ უნივერსიტეტებში.

კატონის მუშათა უნივერსიტეტი—ეს ერთად-ერთი იშვიათი კუთხეა შეერთებულ შტატებში.

ა. ხ.

რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანება

მეფის უღლისა და კაპიტალისტურ მონობისაგან სამუდამოდ განთავისუფლებულ ქვეყანაში საბჭოთა კავშირის მშრომელნი მეათედ ეგებებიან შრომისა და ძმობის დიად დღესასწაულს. ურყევია მსოფლიოში ' პირველ საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფლება, რომელიც ვრცელდება დედამიწის ერთ მეექვსედზე. მშრომელთა მილიონიანი მასების გაორკეცებული ენერგიით ძლიერდება სოციალიზმის მშენებლობა. მაგრამ ამასთან ერთად იზრდება ომის საფრთხე მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი შრომისათვის; პროლეტარიატისა და დაჩაგრულ კოლონიალურ ერების რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის მიღწევები აღიზიანებენ იმპერიალისტების სიძულვილს ჩვენდამი და აყენებს მათ სისხლიან ავანტიურების გზაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობის ურყევი მშვიდობიანობის მოყვარულობა ხვდება კაპიტალისტურ ბრბოს წინააღმდეგობას და პროვოკაციას.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის დანიშნულებაა—საბჭოთა კავშირის დაცვა. მშვიდობიანი მეცადინეობის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ძალა.

პირველ მაისის დღეს ათი ათასობით ახალგაზრდა მებრძოლი სდებს ერთგულობის ფიცს მშრომელთა განთავისუფლების საქმისადმი. მტკიცე, ოქტომბრის მონაპოვრების ერთგული, ბრწყინვალე სამხედრო აღთქმების ერთგული წითელი არმია ყოველ მომენტში, მუშურ-გლეხურ მასებთან ერთად, მზად არის საკუთარი მკერდით დაიცვას სოციალისტური სამშობლო.

ს. ს. რ. კ. რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭო, ახალ საფრთხეების მოლოდინში ულოცავს რა პირველი მაისის დღესასწაულს წითელ არმიელებს, წითელ ფლოტელებს, კომანდირებს და პოლიტმუშაკებს, ბრძანებს: უფრო შემჭიდროებული იქნას რიგები მტრის მოსაგერიებლად.

გაუმარჯოს შრომისა და ძმობის დღესასწაულს—პირველ მაისს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის უძლიერეს თავდაცვას—მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მუშების კავშირს და ძმურ სოლიდარობას მთელი მსოფლიოს მშრომელებთან და ჩაგრულებთან.

ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულებსა, ესკადრონებსა, ბატარეებსა, კომანდირებსა, საჰაერო ფლოტის ნაწილებსა, ყველა გემებსა და საზღვაო ერთეულებში.

ს. ს. რ; კ. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე **ვოროშილოვი.**

მოსკოვი, 1 მაისი 1927 წ.

რემედასის მოწოდება

პირველი მაისისათვის

მოსკოვი, 30 აპრილი. გამოქვეყნებულია რემედასის საპირველმაისო მოწოდება ყველა ქვეყნების მშრომელთადმი.

„კაპიტალისტურ ქვეყნებში, ნათქვამია მოწოდებაში, მუშებს ართმევენ გაერთიანებისა და გაფიცვების უფლებას და ამწყვდევენ ციხეებში. ბურჟუაზია თავის ბატონობას სამხედრო და საალყო წესებით, სახრჩობელებითა და მუშების დახვრეტით იცავს. თეთრი ტერორი და ფაშიზმი სისხლიან ორგიებს მართავენ, პირველი მაისის ყველაზე უფრო ღირსეული დღესასწაული იქნება დაპატიმრებულთა და მათი ნათესავებისათვის თავდადებული აქტიური დახმარების აღმოჩენა. პირველ მაისს გამოდით კლასიური ბრძოლის მსხვერპლთა ამნისტიის, ციხის ბარბაროსული რეჟიმის გაუქმების დასაცავად, თეთრი ტერორის და ფაშიზმის წინააღმდეგ, ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის, წინააღმდეგ, იმპერიალიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ. შეაგროვეთ შემოწირულებანი რემედასის სასარგებლოდ და გაამრავლეთ რემედასის რიგები ახალი წევრებით. (ადს).

მზადება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულისათვის

მოსკოვი, 29 აპრილი. შესდგა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს სრ. საკავშირო საბჭოთა მე-4 ყრილობის კომისიების წარმომადგენლებმა.

ამხ. პოდვოისკიმ გააკეთა მოხსენება ოქტომბრის დღესასწაულის ხასიათის შესახებ. ოქტომბრის დღესასწაული, მომხსენებლის აზრით, ფართო სახალხო სკოლა უნდა გახდეს, რომელმაც მასებს თვალსაჩინოდ უნდა აუხსნას ოქტომბრის გადატრიალების არსება. 10 წლის თავის დღესასწაულში რაც შეიძლება ფართოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა მუშათა და გლეხთა მასებმა. უნდა ვერიდოთ ზეიმის შაბლონურ ფორმებს და ფართო გასაქანი მივცეთ სახალხო-მასიურ შემოქმედებას. ათი წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების გამორკვევის გარდა, საჭიროა, რომ ოქტომბრის დღესასწაული იყოს ნამდვილად სახალხო ზეიმი. ოქტომბრის იუბილე უნდა გახდეს აგრეთვე უფრო ნათელი ისტორიულ-რევოლიუციონური მომენტების მხატვრული ასახვის იმპულსი. დღესასწაულის პროგრამაში უნდა შევიდეს აგრეთვე სხვადასხვა თამაშობანი, სპორტი, ფერხული, გამოსვლები, კარნავალი, გამოფენები და სხ. საიუბილეო ზეიმის ჩატარება უნდა დაიწყოს 1 მაისიდან და გაგრძელდეს ყველა საზაფხულო უქმეების განმავლობაში 7 ნოემბრამდე. საიუბილეო დღესასწაულების წარმატებით ჩატარება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად თავის დროზე ჩაატარებენ აუცილებელ სამზადისს ოქტომბრის კომისიები და რამდენად გამოიყენებენ ფართო მასების ინიციატივას.

კამათში მოხსენების გარშემო სიტყვები წარმოსთქვეს ამიერ-კავკასიის, ურალის, უზბეკისტანის, ჩუვაშის რესპუბლიკის და სხ. წარმომადგენლებმა, რომლებმაც შეიტანეს მთელი რიგი დამატებათა ამხ. პოდვოისკის მოხსენებაში. (ადს).

საბჭოთა თბომავალი ბათომში

საბჭოთა თბომავალმა დაიჭირა გამოცდა.

ბათომი, 30 აპრილი. ნეფტესინდიკატის გემთშენების განყოფილების სპეციალურმა კომისიამ დაიწყო 28 აპრილს ჩამოსული საბჭოთა თბომავალის „გროზნეფტ“-ის მიღება და შემოწმება. „გროზნეფტი“ ისე, როგორც „აზნეფტი“, ყოფილი კრეისერია, რომელიც 1916 აშენდა ლენინგრადში და 1926 წ. გადაკეთებულ იქნა თბომავლად. მასზე იმყოფება ორი ძლიერი გადამტვირთავი საქაჩავი. გემის სისწრაფე უდრის 220 მილს დღე-ღამეში, ე. ი. 20 დღის განმავლობაში შეიძლება იქნეს შესრულებული რეისი ბათომი—ჰამბურგი. გემზე დადგმულია ორი რუსული დიზელი 750 ძალის თითო. ტვირთწევა უდრის 5.000 ტონას. 7 აპრილს „გროზნეფტი“ გამოვიდა კილიდან, სადაც იგი იძულებული გახდა შესულიყო ფინეთის ყურეს ყინულებზე ავარიის გამო (ადს).

საბჭოთა თბომავლის შესახებ.

ბათომი,, 30 აპრილი. წყალზე მომუშავეთა რაიონულ კომიტეტში ნეფტესინდიკატის, ნავთსადგურის და ტექნიკურ ძალთა წარმომადგენლ. თანდასწრებით მოსმენილ იქნა იმ კაპიტნების მოხსენებანი, რომელნიც თბომავლებით—„აზნეფტი“ და „გროზნეფტით“ ჩამოვიდენ.

ნეფტესინდიკატის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ეარკომ შესავალ სიტყვაში აღნიშნა ის ობიექტიური პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს ორი კრეისერის თბომავლებად გადაკეთება, და შეეხო იმ სიძნელეებს, რომელნიც თან სდევდა გემების აგებას საკრეისერო კორპუსების შეუგუებლობა, გამოცდილების უქონლობა, მაღალკვალიფიციურ ინჟინერების უქონლობა და სხვ. მიუხედავათ ამ სიძნელეთა, მაინც კარგად დამთავრდა ორი თბომავლის აგება, რომელიც პირველ ცდას წარმოადგენს. შემდეგ ამხ. ეარკომ აღნიშნა, რომ ნეფტესინდიკატი ნიკოლაევის გემთსაშენში შეუდგა კიდევ ორი თბომავლის აგებას (10.000 ტონა თითო) და ორ თბომავლის საფრანგეთის გემსაშენში (11.000 ტონა). ერთი თბომავალი მზად იქნება ამ წლ. დასასრულს. გარდა ამისა, მიმდინარე გემთშენების პროგრამაში შედის აგრეთვე ორი თბომავლის აგება. გემთშენების გაძლიერება გამოწვეულია უცხოეთის ფრახტის ზრდით და საბჭოთა ნავთის პროდუქტების საზღვარგარედ გატანის გაიაფების აუცილებლობით.

„აზნეფტის“ კაპიტანმა ამხ. დემკინმა თავის მოხსენებაში ვრცლად აღწერა ფინეთის ყურეს ყინულებზე გადასვლის სიძნელენი, რის გამოც მოხდა ავარია და გემი იძულებული გახდა რემონტისათვის შესულიყო კილში. გემი იმდენად დაზიანდა ყინულებში გადასვლის დროს, რომ საჭირო გახდა ზოგიერთი ნაწილების გამოცვლა. შეკეთებას თვალყურს ადევნებდა საფრანგეთიდან სპეციალურად ჩამოსული პროფესორი ფროლოვი და აგრეთვე გემის კომისია. „ნეფტესინდიკატის“ კომისიამ გამოარკვია, რომ გერმანიის გემთსაშენზე გემი არ ყოფილა შეკეთებული რიგიანად. საბოლოო სიტყვაში ამხ. ეარკომ განაცხადა, რომ ფრახტის არსებული ავიოტაჟის გამო ნეფტესინდიკატს, უეჭველად სასარგებლო იქნება თბომავლების ექსპლოატაცია, რაც ჩვენ ნავთს მისცემს საშუალებას დაიპყროს ახალი ბაზრები მსოფლიო მასშტაბით (ადს).

ამხ. ლადო ქავთარაძის გარდაცვალება

გარდაიცვალა ამხ. ლადო

გუშინ, 30 აპრილს, დღის ოთხ საათზე გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, მუშათა კლასის საქმის ერთგული, დაუღალავი მებრძოლი სოციალიზმის მშენებლობისათვის, ამხ. ლადო ქავთარაძე.

ამხ. ლადო, მოწინავე მუშა-ბოლშევიკი, მუდამ იდგა ცარიზმის, შემდეგ მოღალატე მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო უკანასკნელ დროს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისათვის მებრძოლ პროლეტარიატის პირველ რიგებში.

ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი იცნობს ამხ. ლადოს, როგორც აქტიურ და ერთგულ მუშა-ბოლშევიკს, რომელმაც თავი შესწირა მუშისა და მთელი დამონებული კლასის საბოლოო გამარჯვების საქმეს. ამხ. ლადოს წარსული ცხოვრება—ეს არის მისი რევოლიუციონური სკოლა.

ამხ. ლადო, ღარიბი გლეხის შვილი, დაიბადა 1889 წელს. დიდის გაჭირვებით ის ათავებს სოფლის პირველ დაწყებით სკოლას, რომლის შემდეგ, 1905 წელს, ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა შედის შეგირდათ რკ. გზ. მთავარ სახელოსნოებში—თბილისში. მძიმე იყო ამხ. ლადოს მუშაობა წარმოებაში მაშინ არსებულ საშინელი ექსპლოატაციისა და სასტიკი რეჟიმის გამო. მალე ის გაიმსჭვალა კლასიური ბრძოლის სულით. მაშინდელი მოწინავე მუშებთან ერთად, ახალგაზრდა ლადო ენერგიულად ებმება რევოლიუციონურ მუშაობაში, მუშაობს წრეებში და ეწაფება პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძღვრებას—მარქსიზმს.

ორი წლის შემდეგ, წარმოებაში შესვლის დღიდან, 1907 წელს, ამხ. ლადო შედის რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიაში და თავიდანვე ემხრობა ბოლშევიკურ ფრაქციას. როგორც ზეინკალი, განაგრძობს რა მუშაობას მთავარ სახელოსნოებში, ის ამავე დროს აწარმოებს არალეგალურ მუშაობას.

რეაქციის წლებში ამხ. ლადო ხდება ერთ-ერთ აქტიურ მუშად: ენერგიულად მუშაობს ამხანაგების დარაზმვის საქმეზე და მონაწილეობას იღებს ბოლშევიკური ფრაქციის ყოველგვარ მუშაობაში. ამხ. ლადო იყო ერთი საუკეთესო არალეგალური მუშა-ორგანიზატორი, გულადი მებრძოლი მეფის ჯალათების წინააღმდეგ და მენშევიზმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე. ბევრჯერ მოხვდა ამხ. ლადო მეფის აგენტების კლანჭებში, სამჯერ იქნა დათხოვილი სამუშაოდან რევოლიუციონური მუშაობის წარმოებისათვის.

მენშევიკური ბატონობის წლებში ის აქტიურად იბრძოდა გამცემელთა რეჟიმის წინააღმდეგ და რაზმავდა მუშებს ამ რეჟიმის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ამ წლებში ამხ. ლადო დაუღალავად მუშაობს თბილისსა და სხვა ადგილებში არალეგალური საოლქო კომიტეტების დირექტივებით.

1919—20 წ. წ. აქტიური მუშაობის წარმოებისათვის მენშევიზმის წინააღმდეგ, მენშევიკური აგენტები სდევნიან ამხ. ლადოს, და ის, საოლქო კომიტეტის რჩევით, გადადის ჩრდილო-კავკასიაში. რამდენიმე ხნის შემდეგ საოლქო კომიტეტის მიერ ამხ. ლადო იგზავნება მოსკოვში, სვერდლოვის უნივერსიტეტში, სადაც ის რჩება 10 თვეს. აქ მან თეორეტიული ცოდნის მიღებით, განამტკიცა თავისი რევოლიუციონური გამოცდილება.

ის აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს განთავისუფლების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ამხ. ლადო, როგორც ერთი აქტიური და მოწინავე მუშა-ბოლშევიკთაგანი, დაუღალავად მუშაობს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების საქმეზე საქართველოში, სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობით 1923 წლამდე.

1923 წ. ამხ. ლადო როგორც გამოცდილი ორგანიზატორი და პროფმუშაკი, მუშაობს ჯერ რკინისგზელთა კავშირის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ 1924 წლამდე საგზაო კომიტეტის თავმჯდომარედ. ამხ. ლადომ დიდი ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა პროფმუშაობისადმი.

1924 წლიდან დღემდე ის მუშაობდა პროლეტარულ რაიონში—პარტიის პირველ—ლენინის რაიკომში. დღითი-დღე იზრდებოდა ამხ. ლადოს პრაქტიკული მუშაობა. თავის უშუალო საქმის გარდა, ის დაუღალავი ენერგიით მუშაობდა საბჭოთა მშენებლობის ყოველ დარგში.

ლადომ არ იცოდა მოხვენება, მას დავიწყებული ჰქონდა თავისი პირადი ცხოვრება—ის პარტიის სიცოცხლით სუნთქავდა. ძირითადი მხარე, რომლითაც ის განირჩეოდა—ეს არის მისი სიმტკიცე და რწმენა პარტიის ხაზის გატარების დროს. ამხ. ლადო ყოველთვის, პარტიის განვითარების ყოველ საფეხურში, იყო მტკიცე ბოლშევიკი—ლენინელი. ის იყო ბოლშევიკური პარტიის ძირითადი ხაზის—ლენინიზმის ყოველგვარი გადამახინჯების დაუძინებელი მტერი. ბოლშევიკური პარტიის ერთიანობა, სიმტკიცე და მჭიდროობა—აი რისთვის იბრძოდა ამხ. ლადო მთელს თავის სიცოცხლეში.

ხანგრძლივმა მუშაობამ იატაკ ქვეშ, განუწყვეტელმა ბრძოლამ სოციალიზმის მშენებლობისათვის შეარყია მებრძოლის ჯანმრთელობა. უკანასკნელ წლებში ამხ. ლადო ძალიან მძიმე ავადმყოფი გახდა, მაგრამ მას არ მიუტოვებია თავისი საქმე. ის მოკვდა სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე. კიდევ ერთი მებრძოლი გამოაკლდა ძველი ბოლშევიკების რიგებს.

ფიცს ვსდებთ, ამხ. ლადო, რომ კომუნისტური პარტია საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს, რომლისთვისაც იბრძოდი შენ. შენი მუშაობა და ბრძოლა აღზრდის ახალ რევოლიუციონურ მებრძოლებს სოციალიზმისათვის.

ა. კეკელია.



ამხ. ლადო ქავთარაძე

ლენინის რაიონში

გუშინ, 30 აპრილს, დღის 4 საათზე რკ. გზის საავადმყოფოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი. ამხ. ლადო ქავთარაძე. გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ლენინის უბანს. მუშები ჯგუფ - ჯგუფათ მიეშურებიან რკ.-გზის საავადმყოფოსაკენ ამხ. ლადოს ცხედრის სანახავათ. მცირე ხნის განმავლობაში რკ. გზის საავადმყოფო გაივსო მუშებით და პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებით.

ყველას სახეზე სიმწუხარის დაღი აზის. ამხ. ლადოს გარდაცვალებით, ყველა გრძნობს დიდ დანაკლისს. ყველას უნდა მისი ნახვა და ფიცის მიცემა, რომ ისინი ერთ წუთსაც არ დაუშვებენ იმ დროშას, რომლისთვისაც ის იბრძოდა მრავალი ხნის განმავლობაში. ამხ. ლადოს გარდაცვალებით, არა მარტო ლენინის უბნის, არამედ მთელ ამიერ - კავკასიის მუშებმა დაჰკარგეს ერთ - ერთი საუკეთესო და დაუღალავი მებრძოლი ამხანაგი.

მაგრამ განსაკუთრებულ დანაკლისს გრძნობენ ის მუშები, რომლებ შორისაც აღიზარდა ამხ. ლადო რომლებსაც უძღოდა ის. ეს მუშები არიან რკ.-გზის მთავარ სახელოსნოს და საყუდის მუშები, რომლებიც მისი გარდაცვალების ამბის გაგებისთანავე გაჩნდნენ რკ. გზის საავადმყოფოში.

ამხ. ლადო რკ. გზელ მუშებისათვის არას დროს არ მოკვდება, ის ყოველთვის რკინის გზელ მუშებთან იქნება სულიერად.

რკინის გზის მუშები მედგრად დაიცავენ იმ დაფლეთილ დროშას, რომელსაც სდარაჯობდა ამხ. ლადო.

ვ. ნ.

დამკრძალავი კომისია

დღეს ნაშუადღევს ოთხ საათზე ამხ. ლადო ქავთარაძის ცხედარი გადასვენებულ იქნება რკინის გზის საავადმყოფოდან პროფსაბჭოს მცირე დარბაზში. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს. დასაფლავების დროისა და წესის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. შესდგება დამკრძალავი კომისია, რომელშიაც შედიან ამხანაგები: დოლობერიძე, ყურულაშვილი, ახრობეკოვი, გ. ქავთარაძე, კეკელია, ტერვართანოვი, სულავა, გუდავაძე, ხაცკევიჩი, გეურქოვი, ხომერიკი და მუხსი.

საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია

„იზვესტია“ მოწინავე წერილში წერს:

„ჩვენ მიერ დღეს გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაამტკიცა დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე მიემგზავრება ჟენევაში, ბოლოს უღებს ევროპის პრესის სენსაციურ მკითხაობას თემაზე: მიიღებს თუ არა საბჭოთა კავშირი მონაწილეობას ჟენევის კონფერენციაში?

საბჭოთა კავშირი ყოველთვის აცხადებდა, რომ იგი მზად არის მიიღოს მონაწილეობა ყოველგვარ საერთაშორისო მუშაობაში, რომელსაც აქვს სულ მცირეოდენი შანსი მაინც მშვიდობიანობის ნამდვილი უზრუნველყოფისა და პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის ამ მისწრაფებათა კონკრეტიულობის საუკეთესო დამამტკიცებელია გადაწყვეტილება დელეგაციის გაგზავნის შესახებ საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციაზე.

არავითარი ეჭვი არ არსებობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობის მიუღებლობა საშუალებას მისცემდა კონფერენციის მთელ რიგ ხელმძღვანელებს, რომ მისი უშედეგოდ დამთავრება გადაებრალებიათ სწორედ საბჭოთა კავშირისათვის, როგორც ამას აქვს ადგილი ეგრეწოდებულ განიარაღების საკითხში. ეხლა მათ აღარ ექნებათ ეს „არგუმენტი“. გადაწყვეტილება კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირი მასზე ამყარებს რაიმე ოპტიმისტურ იმედებს.

მეთოდები და საშუალებანი, რომლის მეოხებითაც კონფერენციის ხელმძღვანელნი იკრიბებიან თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის მტკივნეული ადგილების მოსაშუშებლად, არ აღძრავს ჩვენში რაიმე ნდობას. პირიქით, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ საშუალებათა მეოხებით მსოფლიო მეურნეობა ვერ გამოჯანსაღდება. ჩვენი შეხედულება მსოფლიო მეურნეობის კრიზისების მიზეზებსა და ხასიათზე, სრულიად სხვაგვარია. აი, რატომ ვართ სავსებით მზად, რომ შევუერთდეთ „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“-ს მიერ გამოთქმულ აზრს, რომ, „თავიდანვე შეიძლება წინასწარ მეტყველება იმის, რომ ამ კონფერენციას, რომლისთვისაც დახარჯულია ბევრი შრომა და საშუალებანი, არ ექნება ფაქტიური შედეგები“.

ამ წინასწარმეტყველების სისწორის საწინდარია კონფერენციის თვით პროგრამა, რომლიდანაც სავსებით განდევნილია მსოფლიო მეურნეობის მძიმე მდგომარეობის ნამდვილი მიზეზები.

საბჭოთა კავშირის გამოსვლა კონფერენციაზე ჟენევაში კონფერენციის მთელ რიგ მონაწილეთ აღუძრავს იმის იმედებს, რომ ვითომც საბჭოთა კავშირი, როცა იგი წარსდგება, 60 მეტი სახელმწიფოს წინაშე, იძულებული იქნება მოახდინოს დათმობანი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში.

ჩვენ წინასწარ უნდა გაუცრუოთ მათ ამ დათმობათა იმედები.

საბჭოთა კავშირი მომავალშიაც მზად არის წაიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიური კავშირის ყოველგვარი განვითარების გზაზე. ამ კავშირით დაინტერესებულია ორთავე მხარე. მაგრამ ასეთი კავშირი შეიძლება განვითარდეს და განმტკიცდეს მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, თუ შენარჩუნებულ იქნება ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემის შეურყევლობა. ეს უნდა დაიმახსოვროს ყველამ, ვინც იკვებება ისეთი ილიუზიებით, რომელიც მეტად მავნეა დადებითი მუშაობისათვის“.

მოსკოვი, 30 აპრილი.

საერთაშორისო მიმოხილვა

დღევანდელი დღე.—ლაყბობა განიარაღებაზე უშედეგოდ დამთავრდა.— საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია და საბჭოთა კავშირი.—ახალი ანტანტის შექმნის ცდა.

(კვირიდან-კვირამდე)

პირველ მაისის დღესასწაულის გადახდა მუშათა კლასს წრეულს განსაკუთრებულ პირობებში უხდება. 1914 წლის შემდეგ, როცა სარაევოში გასროლილმა ტყვიამ კაცობრიობას მსოფლიო ომის ატეხა ამცნო, არასოდეს არ ყოფილა ახალი საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის საფრთხე ისეთი მრისხანე, როგორც დღეს არის. კიდევ მეტი: ფაქტიურად ომი უკვე სწარმოებს, იმპერიალისტებს ჩინეთისათვის ალყა აქვთ შემორტყმული, მის ტერიტორიაზე ჯარები ყავთ გადასხმული და ყოველ დროს მოსალოდნელია ზარბაზნების აგრიალება თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინელ ხალხის დასამონებლად; ნანკინის ამბები ამის პრელიუდიად შეიძლება ჩაითვალოს. ბალკანეთში, რომელიც მუდამ წარმოადგენდა ასაფეთქებელ მასალით გატენილ სარდაფს, ლამის არის ამ სარდაფს ცეცხლი წაუკიდონ. იტალია - სამხრეთ - სლავიის კონფლიქტი კვლავ მოუგვარებელია, ორივე მხარე ომისათვის ემზადება. ზედმეტია ლაპარაკი, რომ თუ ამ ორ ქვეყანას შორის ომი ასტყდა, ის მალვე მსოფლიო ომად იქცევა. ინგლისი, მიუხედავად მთელ რიგ დამარცხებებისა, თავს არ ანებებს ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდას და ჩვენში შეიარაღებულ გამოლაშქრების მომზადებას. პეკინის პროვოკაცია (თავდასხმა საბჭოთა საელჩოზე) ომში საბჭოთა კავშირის ჩარევას ისახავდა მიზნად. საერთაშორისო მდგომარეობის ატმოსფერა საერთოდ დამძიმებულია, სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა უაღრესად გამწვავებულია, იმპერიალისტური ქვეყნები სულ უფრო იარაღდებიან, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ხმალი იშიშვლონ და ახალი უბედურება დატეხონ მშრომელ კაცობრიობას.

ამავე დროს კაპიტალისტები თავიანთ ქვეყნებში უმკაცრეს შეტევას აწარმოებენ მუშათა მასებზე. ინგლისში კონსერვატორებმა შეიმუშავეს კანონპროექტი ტრედიუნიონების წინააღმდეგ, რომლის გატარება ნიშნავს პროფმოძრაობის განადგურებას. გერმანიაში მემარჯვენე ბლოკის მთავრობამ გააუქმა რვა საათის სამუშაო დღე და იქ ბურჟუაზია „რაციონალიზაციის“ სახელით პროლეტარიატის უსაზღვრო ექსპლოატაციას ეწევა. ასეა ყველგან, სადაც კაპიტალი მეფობს: მუშათა მასებს სულ უფრო ავიწროვებენ ეკონომიურად და პოლიტიკურად, ყველგან მძვინვარებს ფაშისტური რეაქციის ტალღა და ბურჟუაზია უკიდურეს ზომებს მიმართავს მუშათა მოძრაობის გასატეხად.

ასეთ დროს პირველ მაისის დღესასწაულს უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება. პირველი მაისი ხომ საერთაშორისო პროლეტარიატის აქტიური სოლიდარობის, მისი ძალების მობილიზაციის და დემონსტრაციის დღეა; ის პირდაპირ მიმართულია ომის წინააღმდეგ, კაპიტალისტის ბატონობის წინააღმდეგ. თუ საერთოთ ასეთია პირველი მაისის შინაარსი და მიზანი, დღეს ომის საფრთხის ჩამოწოლის და კაპიტალის შემოტევის პირობებში, საერთაშორისო პროლეტარიატმა უნდა გაასკეცოს თავისი რევოლიუციონური ენერგია და ნებისყოფა. თავისი რიგების შესამჭიდროებლად, რომ უკუაქციოს თავაშვებული იმპერიალისტური და ფაშისტური ტალღა.

მსოფლიო მუშათა კლასი კომპარტიის მეთაურობით კიდეც ემზადება დღევანდელი დღისათვის. მაგრამ, ცხადია, არ სძინავს ბურჟუაზიასაც. ის ყოველ ღონეს ხმარობს პირველ მაისობის ჩასაშლელად. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სარრომ ცირკულიარით მიმართა ყველა პრეფექტებს, რომ არაფრის გზით ხალხს ნება არ მისცენ მოაწყონ დემონსტრაციები პარიზის ქუჩებში; დააკავონ ყველა ანტიმილიტარისტული მოწოდებები და პლაკატები; მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ფრონტელების, კომუნისტების და კომკავშირელების რევოლ. საბჭოს მოქმედებას; მიიღონ ზომები მუშებსა და მემამულეებს შორის შესაძლებელ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. საფრანგეთში, პოლონეთში და სხვაგან უკანასკნელ კვირაში ხდება კომუნისტების და საერთოთ რევოლიუციონურ ელემენტების მასიური დაპატიმრებანი, რომ ამ გზით მუშათა მოძრაობას თავი წაკვეთონ და შეუძლებელი გახადონ პროლეტარიატის საპირველმაისო დემონსტრაციები. სამხრეთ-სლავიაში მთავრობამ აკრძალა დემონსტრაციები ქუჩებში. უნგრეთში ათ მაისამდე გაუქმებულია ყოველგვარი მუშათა კრებები. აღსანიშნავია, რომ ბავარიაში (გერმანია) კომუნისტებს აეკრძალათ თავისი პლაკატებით და დროშებით მიიღონ მონაწილეობა სოც.-დემოკრატების და რეფორმისტულ პროფკავშირების მიერ მოწყობილ კრებებში. უკანასკნელთ ბურჟუაზია სამართლიანად უცხადებს თავის ნდობას. სოციალ - დემოკრატია თუ მოაწყობს საპირველმაისო დემონსტრაციებს, ის შეეცდება მათ სრულიად უწყინარი ხასიათი მისცეს და კაპიტალისტების „სულიერი მშვიდობა“ არ დაარღვიოს. ან რა მოეთხოვება იმ მენშევიკებს, რომელნიც მომავალი ფაშისტური დემონსტრაციების სადარაჯოზე დგანან, ხოლო კომუნისტების დევნაში პირველ როლს თამაშობენ ბურჟუაზიის და მის ხელისუფლების რიგებში.

სოციალ - დემოკრატია, როგორც ყოველთვის, დღესაც არღვევს მუშათა მთლიან ფრონტს. მაგრამ მიუხედავად მისი მოღალატეობისა, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ჩვენ ვფიქრობთ, კომპარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო პროლეტარიატი მოახერხებს თავის რევოლიუციონურ ნებისყოფის გამომჟღავნებას, თავისი რიგების შემჭიდროებას, როგორც ომის საფრთხის და კაპიტალის შემოტევის, ისე გამცემელ სოც - დემოკრატიის წინააღმდეგ.

⁂

და რომ მსოფლიო ომის საფრთხე მართლა სერიოზულია, ამას, სხვათა შორის, ნათლად აშკარავებს ე. წ. განიარაღების წინასწარი კონფერენცია, რომელიც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სამარცხვინოდ დაიშალა (26 აპრილს).

დიდი ხანია, რაც იმპერიალისტები განიარაღებაზე ლაყბობენ, რომ ამ გზით მიაძინონ სიფხიზლე და შეანელონ უკმაყოფილება მშრომელი მასების, რომელთაც უმთავრესად აწევთ მილიტარიზმის სიმძიმე. ნამდვილად კი თვითეული ბურჟუაზიული სახელმწიფო სულ უფრო იარაღდება, ადიდებს სამხედრო ბიუჯეტს, აძლიერებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს, იგონებს და ამზადებს გამანადგურებელ საშუალებებს. დღეს იმპერიალისტურ ქვეყნებს გაცილებით მეტი ჯარები ყავთ, მეტი სომარი მასალები მოეპოვებათ, ვინემ მსოფლიო ომის დაწყების წინ.

რა თქმა უნდა, თვითეული მათგანი ცდილობს მეორე მხარის განიარაღებას და მის დაუძლურებას, ხოლო თვითონ უნდა შეინარჩუნოს თავისი სამხედრო სიძლიერე, რომ დანარჩენ ქვეყნებზე იბატონოს. ამაში აშკარავდება კაპიტალისტურ მსოფლიოს ინტერესთა წინააღმდეგობა და მათი შეურიგებლობა, კაპიტალისტურ მსოფლიოს, რომლის არსებობა ძალადობასა და ექსპლოატაციას ემყარება, რაც უწინარეს ყოვლისა იარაღით შეიძლება განხორციელებულ იქნას.

ამ წინააღმდეგობამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ეხლანდელ განიარაღების კონფერენციაშიც. წინედ, როცა ასეთი კონფერენცია ჩაიშალა, იმპერიალისტები შეეცადენ ამის მიზეზად საბჭოთა მთავრობა გამოეყვანათ. — კონფერენციაზე საბჭოთა კავშირი მოვიწვიეთ, მაგრამ მან მონაწილეობა არ მიიღო, ის იმპერიალისტურ მიზნებს ისახავს და მის გარეშე განიარაღების საკითხი ვერ გადაიჭრება, — ასე ამბობდენ ისინი. ისე გამოდიოდა, თითქოს ჩვენ ვართ ყოველგვარ ბოროტების სათავე, ხოლო ნამდვილი იმპერიალისტები კი მშვიდობიანობის მოციქულნი. მაგრამ მაშინაც ყველასათვის ცხადი იყო იმპერიალისტების ასეთი „განმარტების“ მთელი უმწეობა და სიყალბე. კონფერენციის დანიშვნით შვეიცარიაში, რომელთანაც საბჭოთა კავშირს ურთიერთობა შეწყვეტილი ქონდა, მათ თვითონვე მოგვისპეს მასში მონაწილეობის საშუალება. ამასთან, განა მტკიცება უნდა, რომ საბჭოთა მთავრობა იმ თავიდანვე ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას და იცავს ნამდვილ განიარაღების პროგრამას.

დღეს უკვე შეუძლებელი შეიქნა ამ „გახუნებული“ საბუთით კონფერენციის ახალი დამარცხების ახსნა: იმდენად აშკარაა არის ამის მიზეზები. როგორც უწინაც, კონფერენციის ბედი გადასწყვიტა ინგლის - საფრანგეთის თვალსაზრისთა შეურიგებლობამ. ინგლისის აზრით, განიარაღების ობიექტი უნდა ყოფილიყო საფრანგეთი, რომლისაგან ის მოითხოვდა სახმელეთო არმიის შემცირებას, ამასთან ამ არმიაში ნაგულისხმევი იყო არა მარტო მოქმედი ჯარი, არამედ „ყველა ძალები, რომელთა გამოყვანა ომის შემთხვევაში შეიძლებოდა ბრძოლის ველზე“. ინგლისის პოზიცია მიმართული იყო საფრანგეთის უკანასკნელი სამხედრო რეფორმის წინააღმდეგ, რომლის ძალით მისი სამხედრო რეზერვები შეუდარებლად იზრდებიან, ვინაიდან ხსენებული რეფორმის შემდეგ მთელი საფრანგეთის მოსახლეობა და ყველა ორგანიზაციები ვალდებული ხდებიან ომში მიიღონ მონაწილეობა. საფრანგეთი ასეთ მოთხოვნაზე არ დასთანხმდა. მან სამაგიეროთ წამოაყენა ინგლისის საზღვაო ძალების შემცირების საკითხი. მაგრამ ამაზე ინგლისს გაგონებაც არ სურს. მისმა დელეგატმა სესილმა განაცხადა, რომ „ინგლისის უშიშროება და მისი საზღვაო გზების თავისუფლება ემყარება ინგლისის საზღვაო შეიარაღებას“.

ასე სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებს, ცხადია, არ შეეძლოთ რაიმე შეთანხმების მიღწევა. განიარაღების პროექტმა, გაკეთებულ ურიცხვი შენიშვნების, განცხადებების და გადაუჭრელ საკითხების გამო, როგორც პრესა იუწყებოდა, ყოველგვარი ღირებულება დაჰკარგა. თვით კონფერენციის თავმჯდომარე ლიუდონი იძულებული იყო ეთქვა, რომ ამჟამად განიარაღების საერთო კონვენციის შემუშავება შეუძლებელია. კონფერენცია სრულიად უშედეგოდ დაიშალა, ან უფრო სწორად, მას ის შედეგი მოჰყვა, რომ ერთხელ კიდევ ნათელი გახდა განიარაღების პრობლემის გადაჭრის შეუძლებლობა წინააღმდეგობებით აღსავსე თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში. აქედან, — უფრო გაძლიერდება ბურჟუაზიულ ქვეყნების საომარი მზადება, რასაც არ შეიძლება შეიარაღებული კატასტროფა არ მოჰყვეს, თუ მანამდე მსოფლიო მუშათა კლასმა სათანადო გადამჭრელი ზომები არ მიიღო.

⁂

იმპერიალისტებს კიდევ დარჩენიათ ერთი „ნუგეში“. ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობანი, რომელნიც შეუძლებელს ხდიან განიარაღების განხორციელებას, პირველ ყოვლისა ეკონომიური ხასიათის არიან და მათი მოგვარება წინ უნდა უსწრებდეს განიარაღების საკითხში შეთანხმების მიღწევას. თუ მოხერხდა ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაჯანსაღება, მაშინ შესაძლებელია განიარაღების პრობლემის გადაჭრა და საერთოთ მშვიდობიანობის განმტკიცება, — აი რას ამბობენ ისინი... ამიტომ იწვევენ მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოები საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციას, რომლის გახსნა განზრახულია ამა მაისის ოთხს, და ამ კონფერენციის შედეგებს უკავშირებენ განიარაღების კონფერენციის ბედს, რომელიც მოწვეულია შემდგომისათვის.

თავის თავად ეს თვალსაზრისი, ორივე ამ საკითხის ერთმანეთთან მიზეზობრივად დაკავშირება სწორია, მაგრამ საქმე ისაა, შესძლებენ კი კაპიტალისტები შეთანხმების მიღწევას ეკონომიურ ურთიერთობათა მოგვარების დარგში და საერთოთ როგორ ესმით მათ მსოფლიოს სამეურნეო გაჯანსაღება, რომელიც საფუძვლად დაედება ომის აცილებას და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიან თანამშრომლობის განხორციელებას.

მომავალი ეკონომიური კონფერენციის მთავარ საგანს საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები შეადგენენ. კაპიტალისტური ქვეყნები დღეს თავის სამრეწველო პროდუქციის მწვავე კრიზისს განიცდიან, ბევრგან არა ნაკლებია აგრეთვე ნედლეულის კრიზისი. მათ შინაურ ბაზარს, მასების გაღარიბების გამო, რაც გამოწვეულია მათი ექსპლოატაციით და მაღალი გადასახადებით, ახასიათებს შედარებით დაბალი სყიდვითი უნარი. აქედან—ისინი გაფაციცებით ეძებენ გარეშე ბაზრებს. მაგრამ ამ ბაზრების გამონახვა დღეს მეტად ძნელი საქმეა. და ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ წინედ ინდუსტრიალურად ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნები დაადგენ თავისი ნაციონალური მრეწველობის შექმნის გზას. მრეწველობის მხრივ მძლავრ სახელმწიფოებისაგან ეკონომიურ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და თავის საწარმოო ძალების განსავითარებლად შემოიღეს მფარველობითი სისტემა, საიმპორტო საქონელზე დააწესეს საკმაო მაღალი ტარიფები, და სხ. და აი, კაპიტალისტები ცდილობენ ეს შემაფერხებელი ზღუდეები მოსპონ, თავისუფლად შეიჭრან აგრარულ ქვეყნებში, ამ გზით ჩაჰკლან მათი ინდუსტრია და კვლავ დასტოვონ ისინი აგრარულ, კოლონიალურ მდგომარეობაში.

ეს პირმშველი იმპერიალისტური პოლიტიკაა. ამავე დროს თვით კაპიტალისტური ქვეყნები ერთმანეთისაგან იფარგლებიან მაღალი სატარიფო კედლებით, რაც საერთაშორისო ბრუნვის კრიზისის ერთი მთავარ მიზეზთაგანია.

საეჭვოა, რომ მათ მიაღწიონ შეთანხმებას თავიანთ შინაურ ბაზარზე უცხო მრეწველობის პროდუქციის შეუფერხებლად შემოზიდვის საქმეში, ან და ჩამორჩენილ ქვეყნებში გასასაღებელ თავის ნაწარმოების რაოდენობის და ფასების საკითხში. და რომ კიდევ მოახერხონ მათ საერთო ბლოკის შედგენა აგრარულ სახელმწიფოების ეკონომიურ დაპყრობისათვის, ეს, ცხადია, ოდნავადაც არ ნიშნავს მსოფლიოს ეკონომიურ გაჯანსაღებას და მშვიდობიანობის განმტკიცებას,— პირიქით, ეს იქნება ახალი ომების საფრთხე, ახალ სახელმწიფოებრივ დაჯგუფებათა სათავე — განვითარების გზაზე შემდგარ და ინდუსტრიალურად დაწინაურებულ ქვეყნებ შორის სამხედრო შეტაკების დასაწყებად.

როგორი იქნება ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის პოზიცია? პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სულ უკანასკნელ დრომდე არ იყო გამორკვეული ეკონომიურ კონფერენციაში თვით ჩვენი მონაწილეობის საკითხი. მართალია, შვეიცარია - საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარების შემდეგ მოიხსნა „გეოგრაფიული“ დაბრკოლება კონფერენციაში საბჭოთა მთავრობის მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ეს კიდევ არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ იქ ჩვენი წარმომადგენლები გაგვეგზავნა. საჭირო იყო ერთა ლიგის მხრით ჩვენი მოწვევის დადასტურება, ვინაიდან პირველი მოწვევა ნამდვილად არ ჩაითვლებოდა ასეთად, რადგანაც მაშინ ამ მოწვევის ინიციატორთ არ სურდათ კონფერენციაზე ჩვენი დასწრება, რაც ჩანდა მის დანიშვნიდან შვეიცარიაში.

დღეს ერთა ლიგის საბჭომ განაცხადა, რომ ძველი მოწვევა ძალაში რჩება. ეს ნიშნავს იმას, რომ კონფერენციის ინიციატორთა შორის არ არსებობს ერთსულოვნება მაზე დასმულ საკითხების შესახებ და ბევრი მათგანი, ალბად, ფიქრობს საბჭოთა მთავრობის მიმხრობას თავის მოწინააღმდეგების პოზიციების შესასუსტებლად. როგორიდაც არ უნდა იყოს, ჩვენი მთავრობა კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს და მან კიდევაც აირჩია დელეგაცია, თუმცა ჩვენ დრო არ გვრჩება კონფერენციისათვის მოსამზადებლად, მაშინ როცა დანარჩენი ქვეყნები ამისათვის ხანგრძლივ წინასწარ სამზადისს აწარმოებდენ.

მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ კონფერენციაში, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უარის თქმა იმპერიალისტებმა არ გამოაცხადონ მის შესაძლებელ დამარცხების მიზეზად. მეორე იმიტომ, რომ ჩვენს დელეგაციას მაინც ექნება შესაძლებლობა თავისი შეხედულებები გამოთქვას მსოფლიოს ეკონომიურ გაჯანსაღების შესახებ.

თავის თავად ცხადია, საბჭოთა მთავრობა ნებას ვერ დაუჭერს ისეთ ღონისძიებებს, რომელნიც მიმართული იქნებიან აგრარულ ქვეყნების დამონებისაკენ. ამავე დროს ის მტკიცედ დაიცავს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, რომლის წინააღმდეგ კონფერენციაზე მოსალოდნელია გალაშქრება. ჩვენ ურყევლად ვატარებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რაც არ მოსწონთ კაპიტალისტებს, რომელნიც მოინდომებენ ჩვენს წინააღმდეგ ბლოკის შედგენას, საბჭოთა კავშირის ისევ თავის აგრარულ დამატებათ დატოვების მიზნით. ჩვენი დელეგაცია ამ ცდებს ენერგიულად შეებრძოლება. ის, ამასთან, ყოველ ზომებს მიიღებს სახელმწიფოთა ეკონომიურ ურთიერთობის გაჯანსაღებისათვის, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი დღევანდელ კაპიტალიზმის პირობებში.

⁂

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებში მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანება - შეთანხმების ცდა ხდება ეკონომიურ კონფერენციის გარეშეც. ამ მხრივ, სხვათა შორის, საგულისხმოა გასულ კვირაში გამოქვეყნებული ცნობა ინგლის - საფრანგეთის „ანტანტის“ შესახებ. ბოლო დროს მრავალი სხვადასხვა პროექტი ითხზება მსოფლიოში ერთგვარი მტკიცე წონასწორობის დასამყარებლად. ჯერ იყო და ისდევს ლოკარნოს ხელშეკრულება, რომელსაც ინგლისის ჰეგემონიით ევროპაში მშვიდობიანობა უნდა განეხორციელებია. ლაპარაკობდენ ინგლის - ამერიკის ბლოკის შექმნაზე, რომელსაც თავისი ნებისყოფა უნდა მოეხვია დანარჩენ მსოფლიოსათვის. ფაქტია ინგლის-იტალიის კავშირი. შეიქმნა საფრანგეთ-გერმანიის ფოლადის ტრესტი. ინგლისის მთავრობა ცდილობდა ერთიანი ევროპიული ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნას. იგი აგრეთვე მეცადინეობდა ბალტიის მხარის სახელმწიფოთა გაერთიანებას ისევ ჩვენს წინააღმდეგ. განზრახული იყო ოთხი ქვეყნის (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია) კონფერენციის მოწვევა საგარეო პოლიტიკაში საერთო ხაზის შესამუშავებლად. ერთი სიტყვით, პროექტები და ცდები ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობების შესანელებლად და მათი პოლიტიკური დაკავშირებისათვის საკმაოდ ბევრია. ეს მოწმობს, თუ რამდენად მერყევია საერთაშორისო ძალთა განწყობილება.

ყველა აქედან დღემდე სახეირო არაფერი გამოსულა. და არ არის საფიქრებელი, რომ ახალ ანტანტის იდეამ რაიმე დადებითი ნაყოფი გამოიღოს. ეს იდეა ინგლისიდან გამომდინარეობს. ინგლისს თავის იმპერიალისტურ ზრახვების გატარების დროს მრავალი სიძნელე ეჩეხება, პირველ ყოვლისა ესაა ევროპის სახელმწიფო ინტერესების სხვადასხვაობა და აგრეთვე ამერიკის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ხშირად განსხვავდება ინგლისისაგან. ლონდონის მთავრობა მოწადინებულია რამოდენიმე ხნით მაინც შესძლოს შინაევროპიული წინააღმდეგობათა შენელება და ამერიკასთან საერთო ენის გამონახვა, რომ ამ გზით შესაძლებლობა მიეცეს გაატაროს თავისი პოლიტიკა კერძოდ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მიმართ.

მაგრამ როგორ მოხდება ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება? პირველმა მხარე უნდა დაუჭიროს მეორეს გერმანიისადმი მის პრეტენზიების დაკმაყოფილებაში, იტალიის მიერ ბალკანური ანტიფრანგულ პოლიტიკაზე ხელის აღებაში, სამაგიეროთ საფრანგეთმა გზა უნდა გაუხსნას იტალიის იმპერიალიზმს მცირე აზიაში. ამერიკასთან შეთანხმებას ცდილობენ განიარაღების საკითხში საფრანგეთის მხრით დათმობის და ინგლისის მიერ ჩინეთის საკითხში ამერიკის თვალსაზრისის გაზიარების გზით. ასეთია ამ პროექტის ზოგიერთი მომენტები. აშკარაა მისი სრული უნიადაგობა. ჯერ ერთი, იტალია, უარს არ იტყვის თავის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ბალკანეთში, სადაც მან უკვე მაგრად მოიკიდა ფეხი. მეორე, არსებითი მნიშვნელობა აქვს ხსენებულ ანტანტის არსებობისათვის გერმანიის პოზიციას. გერმანია ვერ მიემხრობა მას, მის ნეიტრალიზაციასაც ვერ მიაღწევენ, თუ მას არ დაუბრუნდა, ერთი მხრით, საფრანგეთის მიერ დაკავებული ტერიტორიები, მეორე მხრით პოლონეთზე მიკუთვნებული ადგილები. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ამერიკისადმი ევროპის ვალების საკითხის მოუგვარებლობის და ამერიკის იმპერიალიზმის ახალი მსოფლიო ბაზრების, კოლონიების ხელში ჩაგდების გარეშე, რომელი ბაზრები და კოლონიები პირველ ყოვლისა ინგლისს უკავია,— შეუძლებელია ამერიკასთან შეთანხმება. კერძოდ ჩინეთის საკითხშიც ძნელია ამერიკა - ინგლისის შერიგება, ვინაიდან ამერიკა მოწადინებულია ეკონომიურად თვითონ დაეუფლოს ჩინეთს და აქ ინგლისს წაართვას მისი პოზიციები.

ძველი ანტანტა დაშალა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობამ, რასაც ასაზრდოვებს ორივეს მისწრაფება თავის ბატონობის დამკვიდრებისაკენ დასავლეთ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში. ეს წინააღმდეგობანი ბოლო წლებში უფრო გაღრმავდენ, რაც საეჭვოდ ხდის მათ შორის რეალურ კავშირის განხორციელებას. ყოველ შემთხვევაში საბჭოთა დიპლომატია ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სხვადასხვა დაჯგუფებების ცდებს და ამას უპირდაპირებს თავის სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს, ყველა ქვეყნებთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას.

ბ. კ—ლი.

გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციონურ სოლიდარობას

პირველი მაისი

მომეცით
ჭოლმად ქარიშხალი და მელნად სისხლი!
თვალის გარშემო ათასობით შემოირკალეთ!—
რომ თქვენი გული
თეთრ ფურცლებათ იყოს გაშლილი,
და ვსთქვა თამამად დღევანდელი დღის ხიავკარგე

ქალაქს ამშვენებს
ყვავილებით ტანის შემოსვა,
შრომის ზეიმი.—და დროშების ალში ჩაძირვა!
მეც მსურს უმღერო
ფაზაფხულის ხელახალ მოსვლას,
მაისის მზით და სიხარულით თვალებ გავსილმა.

—:—

1. პირვანდელი
ნაძალადევი.—
დაფერდილი ქედი,—ელამი.
მკერდ გახსნილ ველზე მზის სხივების ცეკვა ხანჯლებით!
ხუჭუჭ მინდორზე
გადაღვრილი მწვანე, მელანი.—
და როგორც სუნთქვა,—აორთქლებულ ნისლში ლანდები:—
ქალაქის გარეთ
შეკრებილან განმარტოებით,—
რომ ველარ დასწვდეს მათ საუბარს ჯაშუშის თვალი.
მაღლა აწვდილან
ბრძოლისფერი ბაირაღები,
როგორც გრძნობების ელვარება და ცეცხლის ალი!
ღიმილ გახსნილი
მაისობა შეჰგებებიან—
და არის მათი სიხარული გზნება ტკივილის.,
ეხლა,—ხმამაღლა
დამონებულ ბედს მთქმელია
ყოველი სიტყვა გულისწყრომით გადმოხეთქილი!
თავისუფლებას
მონატრული მზეს უგალობენ,—
და პირველ მაისს გაუშალეს სუფრა მინდორზე..
სცლიან მშრომელთა გამარჯვების სადღეგრძელოებს
და ცას დანისლულს შეჰგუგუნებს მარსელიოზა!

—:—

2. ოც და ორ აპრილს
ადგია თბილისს
თეთრ ღრუბლებით მოქარგული ცა,
თვითონ კი მთებში ჩაგუდული სდგას მწუხარებით.—
და თბილ სისხლივით
კვლავ გადმოსდის მტკვარი გულიდან.—
ტანამღვრეული კლდე-ნაპირებს რომ ხრავს ტალღებით..
ყოველ კუთხიდან
მტკვარს ქუჩები შემოხევიან,
და ვიღაც უნდო ქალაქს ზვერავს თვალდასისხლული.
კვნესის თბილისი.—
თვითმპყრობელის უბადამძვრალ ჩექმით
გათელილია უპატრონო მისი სხეული..
და ეს ტკივილი
შეგუბული როდემდის დარჩეს?:—
უეცრად მოსკდა, ხალხის რისხვა მოედო ქალაქს!
მუშებმა ბრძოლის
საზეიმოთ დროშა ამართეს,—
მაგრამ ეს ცეცხლი მტარვალების ტყვიებით ჩამქრა.
გმირული სისხლი
განწირულთა,—ქუჩამ ასრუტა,
მაგრამ ვერ ჩაჰკლა ხალხის გულში ბრძოლის ხალისი,
და ისტორიის ფურცლებს წითლად გადაებეჭდა,
ეს სისხლიანი პროცესია „სისხლის მაისი".

—:—

3. საპირველმაისო ზეიმი
ქალაქის მკერდზე
მზის ღიმილი გადაიღვარა,—
და დაიფერფლა ნისლის ფერი ღამის სინაზე,
ტუჩებზე ღიმი
საოცნებოთ გადაიფარა.—
შეირხა ტანი,—ყვავილებით, ვარდებით სავსე!
დროშებს—ალისფერს
შენობები იბნევენ გულზე.
ქუჩებს ამძიმებს პროცესიის უწყვეტი ზოლი..:
ენთება ყველგან
მოგონება ბრძოლის წარსულზე,—
აფეთქდა სიტყვა!—ტრიბუნიდან გადმონასროლი.

—მო ამხანაგო!—
გადავკოცნოთ,—მომეცი ხელი!
დღეს ჩვენი დღეა,—სანეტარო „მუშის მაისი"
და თუ ის ჩუმად
გვამღერებდა მრავალი წელი—
დღეს ზეიმია!—გაასკეცდა ბრძოლის ხალისი.
ავსწიოთ მაღლა!—
დასისხლული ჩვენი დროშები,—
ეს სიხარული მტრებს ხმლებივით შემოესევა..
ქალაქი ჰფეთქავს.. აზვირთებულ ქუჩებს მოდენის,
ქალაქს ვარდებით, ყვავილებით უხვ ევსება.

—:—

ასე გვახარებს
ყოველ წლობით—შენი სტუმრობა,
საგაზაფხულო საჩუქარი რომ ხარ თბილისის!—
ბრძოლის წყურვილი
ჟამმა კუნთებს თუ დაუტოვა,
აგვივსე გული აელვებულ მზის თბილი სისხლით!

ცაო სამაისო
სიმღერები შეჰგუგუნებდეს,
გვინდა ზეიმი,—და დროშების ალში ჩაძირვა!..
ეს მე ვარ ეხლა.—
შენი შვილი,—შენი მგოსანი!—
გიმღერე ქება სიხარული თვალებ გავსილმა.

კარლო კალაძე.

ზეიმი

საპირველმაისო

დღეს მზე ციდან სხივებს დაღვრის,
დღეს ქუჩებში ღელვაა ზღვის,
დღეს ვზეიმობთ პირველ მაისს,
დღეს დღე არის მშრომელ ხალხის.
დღეს ჩვენ შორით ძმებს ხმებს ვაწვდით:
დღეს აქ, ძმებო, ცრემლს აღარ ვღრით
დღეს არ ვიკლავთ იმედს დარდით,
დღეს ვკაჟდები ახალ აზრით.

დღეს პირველი მაისია,
დღეს ჩვენ სულში აისია
დღეს ვინც არ გვძმობს ულირსია,
დღეს ვინც შორს სდგას ის სხვისია.
დღეს ქუჩებში ღელვაა ზღვის,
დღეს შორს ჩვენგან მტერი ძმა ძმის,
დღეს დღე არის მშრომელ ხალხის,
დღეს ვზეიმობთ პირველ მაისს!

სანდრო ეული.

პირველი მაისი ამიერ-კავკასიაში

38 წლის წინათ, 1889 წელს, საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო პროლეტარიატის დღესასწაულს—პირველ მაისობას. ამ დროიდან მთელი დედამიწის პროლეტარიატი იხდის თავის მუშურ დღესასწაულს, რომელიც არის ყველა ქვეყნების პროლეტარების სოლიდარობის სიმბოლო; ამ დღეს იგი სინჯავს თავის რიგებს და ამოწმებს საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაციების ზრდას.

ამ დღეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატი ლეგალურად და არალეგალურად პროტესტით გამოდის ბურჟუაზიის ექსპლოატატორების, კაპიტალისტების, ბანკირების, მემამულე - ფეოდალების, აღმოსავლეთის კოლონიალურ ქვეყნების,—ჩინეთის, ინდოეთის, მაროკოს, მექსიკის, სირიის და სხვათა მჩაგვრელების წინააღმდეგ, ამ დღეს იგი მოითხოვს რვა საათის სამუშაო დღის დაწესებას, თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას და პოლიტიკურ თავისუფლებას.

პირველი მაისის დღესასწაული ნამდვილად გახდა პროლეტარულ ბრძოლის დღეთ საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

მქონებელთა კლასი — ბურჟუაზია მთელი ქვეყნისა ამ დღეს შეშფოთებულია თავისი დაღუპვის მოახლოვებით. იგი აძლიერებს რეპრესიულ ზომებს, რომ არ ჩატარდეს პირველი მაისის დღესასწაული, მაგრამ პროლეტარიატი დაბრკოლებეთა დაძლევით, მსხვერპლის წინაშე უკან დაუხევლად ითვლის მებრძოლ პროლეტარებს, მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და მშრომელებს კაპიტალის ძალადობის და ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

ა.-კ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოების, მუშებმა თბილისში პირველად თავის ინიციატივით არალეგალურად იდღესასწაულეს პირველ მაისობა 1899 წელს. დაესწრო 75 კაცი. მეორეთ იდღესასწაულეს 1900 წელს, დაესწრო 600 კაცი. 1901 წელს 21 აპრილს უკვე აშკარად ქალაქის ცენტრში ფრიალებდა წითელი დროშა, რომელიც მოუწოდებდა პროლეტარიატს თვითმპყრობელობის და კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაქოს პროლეტარიატმა 1-ლი მაისობა არალეგალურად პირველად იდღესასწაულა 1901 წელს სტენკა რაზინის მთაზე. დაესწრო 80 კაცი. მეორეთ ეს დღესასწაული ჩატარდა აშკარათ ბაქოს ცენტრში—პარაპეტზე. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 1.500-მდე მუშამ.

შემდეგში სამაისო დემონსტრაციების გამართვა ბაქოს პროლეტარიატმა ჩვეულებად შემოიღო.

დღეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, მთელი კავშირის მუშები და მშრომელნი დღესასწაულობენ საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულს —პირველ მაისობას მეათეჯერ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მეფის ყოფილი იმპერია, რომელსაც საერთაშორისო ჟანდარმს უწოდებდენ, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გახდა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის აკვანი, მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის საერთაშორისო ცენტრი.

ამ დღეს ჩვენ ვუთვლით ძმურ სალამს ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეებში გამომწყვდეულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ამხანაგებს. სალამს ვუთვლით ჩინეთის მუშებსა და გლეხებს, რომელნიც იბრძვიან დასავლეთ ევროპის იმპერიალისტ მოძალადეებისაგან განსათავისუფლებლად.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ დღეს—1-ლ მაისს!

გაუმარჯოს საერთაშორისო შტაბს სოციალისტური რევოლიუციის მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს ლენინის პარტიას ს. კ. პ. (ბ)!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირს!

ვ. სტურუა.

მაისი რკინის-გზაზე

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს წარმოდგენილი აქვს ის ჯოჯოხეთური პირობები, რომელშიაც დღეს უხდება დღესასწაულის ჩატარება მუშათა რიგებს ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და აღმოსავლეთის ქვეყნებში. რუსეთისა და კერძოდ ამიერ - კავკასიის მშრომელთა კლასმა მედგრად გაიარა ეს მძიმე გზა. მან საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ოქტომბრის დიადი რევოლიუციით, მიუხედავათ მატყუარა მენშევიკ - ესერების და სხვა ჯურის უკადრავად პასუხია — სოციალისტების სწორედ ისეთივე ღალატისა, როგორსაც ამჟამად ეწევა აღმოსავლეთში ჩინეთის ხალხის სისხლით მოვაჭრე გენერალი ჩან-კაი-ში თავის ამქრებით და დასავლეთში ყვითელი მეორე ინტერნაციონალი თავიანთი მოღალატური პოლიტიკით. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში როგორც დასავლეთის, ისე ჩინეთის მშრომელი ხალხი ისევე გამოვა გამარჯვებული, როგორც რუსეთის მუშათა კლასი გამოვიდა გამარჯვებული ძველი ქვეყნის მოციქულებთან ბრძოლაში. ამიტომ ჩვენ უნდა გამოუცხადოთ მას უდიდესი და ძმური თანაგრძნობა, როგორც მებრძოლ ჩინეთის მშრომელ ხალხს, ისე ევროპის კაპიტალის ტყვეობაში მყოფ რევოლიუციონერ მებრძოლ მუშებს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბრძოლა სამაგალითო და მისაბაძი გაკვეთილია ყველა ქვეყნის მშრომელთათვის. ამასთან ერთად იგი საუკეთესო მისაბაძი მაგალითია შრომის კაპიტალის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისა, ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისა, კულტურული აყვავებისა, ეროვნული ჩაგვრის მოსპობისა და ერთა - სოლიდარობის დამყარებისა, რაც უდიდესი ლოზუნგია საერთაშორისო მუშათა დღის პირველი მაისისა.

კერძოთ, რკინისგზის პროლეტარიატი ერთ-ერთი მოწინავე რაზმთაგანი იყო ამ საერთო ბრძოლისა და აღორძინებაში. მან სხვებთან ერთად თავის კისერზე გამოსცადა რეაქციის სუსხი; მან გაიღო რევოლიუციისათვის უდიდესი მსხვერპლი საუკეთესო მებრძოლთა სახით, რომელთა სახელები ჩვენთვის მარად დაუვიწყარი დარჩება. ამჟამად რკინისგზის პროლეტარიატი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების საქმეში. დღევანდელი მდგომარეობა რკინისგზის ტრანსპორტის მეურნეობისა აჭარბებს ომამდე არსებულ ხანას და ამ რიგათ მისი მომავალი უზრუნველყოფილია. იმპერიალისტურ ომის შემდეგ არსად ისე არ მოშლილა ტრანსპორტის მექანიზმი, როგორც რუსეთში და ამიერ - კავკასიაში. მაგრამ არსად ისე სწრაფად არ აღდგენილა ის, როგორც ჩვენში. ეს მხოლოდ შესაძლებელი გახდა საბჭოთა სინამდვილეში. ,

ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების დღიდანვე ამიერ-კავკასიაში არის მენშევიკ - მუსავატ - დაშნაკელების მიერ დაქსასული მუშათა კლასის სხეულის განმრთელება და ამიერ -კავკასიაში მოსახლე ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცება. ამას ვერ უარყოფს ვერავინ, ვერ უარყოფენ მას ჩვენი მტრებიც. თუ მოვიგონებთ მენშევიკ-მუსავატ - დაშნაკელების ბატონობის ხანას, როცა ამიერ - კავკასია გადაქცეული იყო მოძმე მშრომელ ერთა შორის სისხლის ღვრის ასპარეზად, ჩვენთვის ნათელი გახდება ჩვენი უდიდესი გამარჯვება ამ ფრონტზე. ამას თან ერთვის ეროვნული შუღლის მოსპობაც, რომელიც უხვად დასთესეს ზემოხსენებულმა საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიებმა. ჩვენში რკინისგზის პროფმოძრაობის გაერთიანება პირველი მერცხალი გახდა ამიერ - კავკასიის მშრომელი ხალხთა თავისუფალი ფედერაციისა.

როგორი მემკვიდრეობა დაგვრჩა ჩვენ მენშევიკ - მუსავატ - დაშნაკელებისაგან. კლასთა ბრძოლის ნაცვლად ეროვნული შუღლი, დაქუცმაცებული პროფმოძრაობა და მოძმეთა შორის სისხლის ღვრა. ამ გარემოებამ თავისი გავლენა იქონია ტრანსპორტის მდგომარეობაზე, რომლის მექანიზმი მათი ბატონობის ხანაში სავსებით მოიშალა. ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ რკინისგზა გადაიქცა იმპერიალისტურ ძალების ხათარეშო იარაღათ, რომლითაც აქრობდენ რევოლიუციონერ მოძრაობას დასავლეთის იმპერიალისტები ამიერ - კავკასიის სხვადასხვა საწარმოო და სამრეწველო ცენტრებში.

ასეთ პირობებში უხდებოდათ რკინისგზის მუშებს პირველი მაისის შეხვედრა 1918—21 წლებში.

რაც შეეხება მუშების ეკონომიურ მდგომარეობას აღნიშნულ პერიოდში, მისი შედარებაც კი შეუძლებელია თანამედროვე მდგომარეობასთან.

დღეს დანარჩენ დარგის მუშებთან ერთად ამიერ - კავკასიის რკინისგზის პროლეტარიატი გაუწოდებს მუშურ ხელს ევროპის ჩაგრულ მუშებს, რომლებიც დღეს ათასობით იტანჯებიან ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოების ქვის საკნებში.

გაუმარჯოს იმპერიალისტურ ჯალათების წინააღმდეგ მებრძოლ ჩინეთის მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთო ფრონტს ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის დღეს—პირველ მაისს!

პარმენ საბაშვილი.

როგორ ატარებდა ლენინი 1 მაისის დღეს

(მოგონება)

ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა პირველ მაისს. არასოდეს, არცერთი ჩვენი რევოლიუციონური დღესასწაულის (გარდა ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისა) არცერთ დღეს არ იყო ის ისე ხალისიანი, მხიარული, როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის ამ საზეიმო დღეს.

საზღვარგარეთაც და რუსეთშიაც იგი მონაწილეობას იღებდა ამ დღესასწაულში, მუშათა ამ დემონსტრაციაში. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ პირველ მაისის დემონსტრაციების მომზადება გვიხდებოდა მეფის მთავრობის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ, როცა საიდუმლო და არასაიდუმლო პოლიცია შავრაზმელებთან ერთად მიმართავდენ ყოველგვარ ზომებს პირველი მაისის დემონსტრანტების წინააღმდეგ საბრძოლველად, როცა ყველა მუშები, ჩვენი, იმ დროს ჯერ კიდევ არალეგალურ პარტიის ყველა წევრები ამ დღეს ქუჩაში გამოსვლის დროს უნდა გამოთხოვებოდენ თავის მახლობლებს,ვინაიდან არავინ არ იცოდა, დაბრუნდებოდა იგი უკან სახლში, თუ ქუჩიდან და მოედნიდან პირდაპირ ციხეში გაიგზავნებოდა,—ამ დღეს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სახელოვანი და გმირული ბრძოლის დღეს ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის ცხოველ მონაწილეობას იღებდა პირველი მაისის დემონსტრაციების მომზადებაში. იგი სწერდა ენტუზიაზმით აღსავსე მოწოდებებს, წერილებს, პროკლამაციებს, ყველას მოუწოდებდა დემონსტრაციისაკენ, და როცა იგი იყო ემიგრანტი, და ამიტომ მოკლებული საშუალებას უშუალო მონაწილეობა მიეღო პროლეტარიატის გამოსვლებში, თვით რუსეთში, მოუთმენლად ელოდა ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა პირველი მაისი და მისი რედაქტორობით გამოსულ გაზეთების,(იქნებოდა ეს „ისკრა" ან „ვპერიოდი", ან „პროლეტარი",) უახლოეს ნომრებს უძღვნიდა პირველი მაისის გამოსვლების ვრცელ აღწერას.

1917 წელში, როცა ვლადიმერ ილიჩი შვეიცარიიდან დაბრუნდა რევოლუციონურ რუსეთში, მეტად ცხოველ მონაწილეობას იღებდა პირველი მაისის დემონსტრაციაში. ეს პირველი მაისი მეფის ჩაგვრიდან და მონობიდან განთავისუფლებულ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ენტუზიაზმით ჩატარდა. პეტროგრადში მან განსაკუთრებით გრანდიოზული ხასიათი მიიღო. მე არასოდეს არ მინახავს ასეთი უდიდესი დემონსტრაცია, აღფრთოვანებული და სრული სიმტკიცით აღჭურვილი. ეს მართლაც ყველა მებრძოლი ძალების შემოწმება იყო. ილიჩი ყოველთვის ქუჩებში იყო და ავტომობილით დადიოდა მუშათა უბნებში და ქალაქის ცენტრში. ორი საათისათვის იგი მოვიდა მარსის ველზე, სადაც ყოველი მხრიდან შეგროვდენ დემონსტრანტების გრანდიოზული კოლონები. ყველგან ფრიალებდა წითელი დროშები ისეთი აურაცხელი რაოდენობით, რამდენიც არას დროს და არსად არ დამინახავს არცერთ დემონსტრაციაზე ქვეყნად. დროშების შორის ყველგან მოსჩანდა პლაკატები, ნახატები, სიმბოლიური სურათები; ბელადების პორტრეტები.

უდიდესი მიდამო ავსილი იყო ხალხით. ორატორები ტრიბუნებიდან ლაპარაკობენ. ხალხი ხარბად ისმენდა ყოველ სიტყვას და განსაცვიფრებელ სიჩუმეს იცავდა.

ჩვენ მოულოდნელად მოვედით. ლენინი გამოვიდა ავტომობილიდან და აუჩქარებლად გაემართა ხალხისაკენ. იგი მაშინვე იცნეს და სიჩუმე უცებ შესცვალა აღფრთოვანებული ხმების ქუხილმა. ორატორები შეჩერდენ. ყველა მიბრუნდა ილიჩისაკენ, მიესალმენ მას ქუდების ქნევით, ძახილით, ტაშით, ცხვირსახოცების ქნევით; გაისმა „ვაშა", ორკესტრმა დაუკრა მარსელიოზა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ პოპულიარული იყო, დროშები დაიხარა, დროშები ფრიალებდა ჰაერში, ყოველივე მოიცვა რაღაც ნერვიულმა აღგზნებამ, მხურვალე ზეიმმა და მძლავრმა აღფრთოვანებამ დიადი რევოლიუციის უდიდეს ბელადის მიმართ.

ვლადიმერ ილიჩი მშვიდად, თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ სახალხო ზეიმს, ავიდა ტრიბუნაზე, მოიხადა ქუდი, ხელით გააკეთა ჩვეული ჟესტი რომლითაც მოუწოდებდა სიწყნარისა და წესრიგისაკენ, და ალბად, ლაპარაკის დაწყება უნდოდა. მაგრამ სად დააცალეს! მისმა გამოჩენამ ტრიბუნაზე კიდევ და კიდევ უფრო ძლიერი გრძნობით აღანთო მუშათა მასები და ყველაფერი შეირყა, გაისმა კიდევ უფრო მეტი მძლავრი ტაშის გრგვინვა.

და ეს იყო 1917 წლის 1 მაისს, როცა ბოლშევიკების სოციალ-დემოკრატიული პარტია ის იყო იწყებდა მომაგრებას, ზრდას მუშათა მასების სიღრმიდან თებერვლის რევოლიუციის ქარცეცხლში და ქუხილში. მას ახლად გადატანილი ჰქონდა აპრილის გამოსვლების პირველი ქარიშხალი, სადაც მან დაამტკიცა, რომ იგი არის ხალხთა ფართო მასების უფლებათა ნამდვილი დამცველი მენშევიკების, ესერების და სხვა პარტიების შემთანხმებელი პოლიტიკისაგან, ე. ი. იმ პარტიების პოლიტიკისაგან, რომელნიც ყოველთვის ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ხალხის სახელით.

ტაშის გრიალი და ხმაურობა შესწყდა. ილიჩმა წარმოსთქვა ერთ-ერთი თავისი მოკლე მხურვალე სიტყვა, რომლის თქმა მას ესპრომტად შეეძლო განსაკუთრებული ოსტატობით. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი შემთანხმებელთა მოღალატურ როლს, მან მოუწოდა პროლეტარიატს, რომ იგი გაერთიანებულიყო ჭეშმარიტ პროლეტარულ პლატფორმაზე. და გაათავა ლოზუნგით: „ძირს ომი! გაუმარჯოს ზავს და ბრძოლას სოციალისტურ რევოლიუციისთვის!"

მისი სიტყვა მაშინდელი დროისათვის მეტად სარისკო იყო. შოვინისტური ბურუსით იყო მოცული მთელი არე-მარე. მუშათა, განსაკუთრებით ჯარისკაცთა წრეში, ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი ცრუ-პატრიოტული მოწოდებანი. ლოზუნგი „ომი გამარჯვებამდე" ჯერ კიდევ გაისმოდა მიტინგებზე და მასიურ გამოსვლებზე. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, მენშევიკების გავლენის ქვეშ მოქცეული, კვლავ განაგრძობდა შეთანხმებული პოლიტიკის წარმოებას,—და აი, უცებ, ჰოი, საშინელებავ!—ყველას წინააღმდეგ ათასობით რეზოლიუციების წინააღმდეგ, როგორც ელვა-ჭექა მოწმენდილ ციდან, გაისმა ეს ახალი მოწოდება, ახალი სიტყვები, რომელნიც აღვიძებდა იდუმალ, ღრმა გრძნობებს, იჭრებოდა სულის სიღრმეში, ხვდებოდა გულის მტკივან ადგილებს და იწვევდა სულიერ ტანჯვას, რომელიც ღრმად იყო დაფარული ყოველი მუშის, ყოველი გლეხის, ყოველი ჯარისკაცის გონებაში.

სულგანაბული ხალხი არ აწყვეტინებდა მას სიტყვას ტაშისცემით და გარინდებული, ანთებული თვალებით უსმენდა მის ჯადოსნურ სიტყვას.

მან სიტყვა დაამთავრა მძლავრი ჟესტით, მოწოდებით წინ, ბრძოლისაკენ.

და უცებ გაისმა მძლავრი ხმა-ქუხილი. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ოვაცია, რომ ეს იყო ტაში, რომ ეს იყო შეძახილი, არა, ეს იყო რაღაც მეტი, ეს ადამიანთა ხმების ქუხილისებური გრგვინვა, რაღაც აღფრთოვანება, ასიათასობით მასის მთლიანი ნებისყოფა, ერთი ყველაფერში და ყველაფერი ერთში, უსაზღვრო, ხანგრძლივი, დაუსრულებელი ზეიმი და გრგვინვა დედამიწისა... არასოდეს, არსად, მე ვფიქრობ, კაცობრიობის უძველეს ხანიდან, არ ჰქონია ადგილი ხალხთა ასეთ სტიქიას, ასეთ აღფრთოვანებას და ხალხის ნებისყოფის გამომჟღავნებას. ხალხი ყველაფრით სცდილობდა თავის გრძნობების გამოხატვას. ქუდების დაუსრულებელი გროვა თითქოს ჰაერში იყო ჩამოკიდებული,—ხალხს ამით უნდოდა, რომ ძახილთან ერთად გამოეთქვა თავისი სოლიდარობა, იმის მიმართ, ვინც, როგორც წინასწარმეტყველი, როგორც ბელადი, მოვიდა და თავის მძლავრ ხელში აიღო უხილავი და უცნობი საჭე დიდ ქვეყნის მმართველობისა.

ვლადიმერ ილიჩი ჩამოვიდა ტრიბუნიდან წყნარად დაფიქრებული მოდიოდა ამ თვალუწვდენელ ზღვა ხალხს შორის, რომელიც თავის ტალღებს აპობდა იმის წინაშე, ვინც მან, ყველას წინააღმდეგ, უკვე იცნო თავის ბელადათ და მისი სახით კი იცნო ბელადად ის პარტია, რომლის სახელითაც მან ეს იყო წარმოსთქვა თავისი ჯადოსნური სიტყვა.

— წავიდეთ სახლისაკენ!—წყნარად სთქვა ილიჩმა, და ჩვენ მივედით ავტომობილთან და დემონსტრანტების განუწყვეტელი ძახილით სწრაფად გავსცდით მარსის ველს.

ყველა სდუმდა. გრძნობა უდიდესი განცდებით იყო აღსავსე. ვლადიმერ ილიჩი იყო ძალიან დაფიქრებული და ცოტაოდნად სევდიანიც.

* * *

1918 წლის 1 მაისს ვლადიმერ ილიჩი უკვე მოსკოვშია. ამ თავბრუდამხვევლი წლის განმავლობაში მოხდა ისე სხვილი დიდი ამბები, რომ პირველი მაისის დემონსტრაცია მართლაც სრულიად ახალ პირობებში მოხდა. რევოლიუციონური რუსეთის მუშათა კლასს პირველათ ეპყრა საკუთარ ხელში ძალაუფლება.არასოდეს არსად მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა პირველი მაისის დღესასწაული ასეთ მოულოდნელ პირობებში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ეს იყო პირველი მორიგი დემონსტრაცია საერთაშორისო სოლიდარობის ნიშნად. ყველა რაიონები ფეხზე იდგა, და უდიდესი ნაკადით მიიმართებოდა ადამიანთა სტიქია წითელი მოედნისაკენ, ძველი კრემლის კედლებთან, სადაც ეხლა გაშლილი იყო რევოლიუციის მებრძოლთა ძმათა სასაფლაოების დიდი ფრონტი, იმ მებრძოლთა, რომელნიც დაიღუპენ ოქტომბრის რევოლიუციის პირველ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მოსკოვში შეიარაღებულ აჯანყების დროს, ჩვენი სამოქალაქო ომის პირველი ბრძოლების დროს.

მე ჩავიარე იმ ტრიბუნის გვერდით, სადაც მთავრობის მიერ დანიშნული ამხანაგები ლ. დ. ტროცკის და ი.მ. სვერდლოვის მეთაურობით იღებდენ დემონსტრაციას, გამოვშორდი დემონსტრანტების რიგებს და შეუერთდა ტრიბუნაზე შეკრებილ მთავრობის რიგებს. მე მინდოდა შთაბეჭდილებათა გაზიარება ვლადიმერ ილიჩისათვის და ვიცოდი, რომ იგი ეხლა იქნებოდა კრემლის კედელთან, საიდანაც მას უნდოდა მთელი დემონსტრაციის დანახვა. მისი გამოსვლა მოედანზე ცოტა გვიან უნდა მომხდარიყო, როცა დემონსტრანტები დაიჭერდენ მოედანს.

მე შევედი კრემლში და ავედი კედელზე.

ვლადიმერ ილიჩი მხიარული დადიოდა კედლის ფართო გასავალზე, ხშირად ჩერდებოდა და უყურებდა მოედანზე შეგროვილ ზღვა ხალხს.

მე მივედი მასთან:

—— თქვენ მიდიოდით დემონსტრანტებთან ერთად! მე დაგინახეთ—მომეგება მე მხიარულად ვლადიმერ ილიჩი და გაბრწყინვებული თვალებით შემომცქეროდა.

— მაშ როგორ?—უპასუხე მე,—პირველ მაისს ყველანი იქ უნდა ვიყოთ.

— ეს კარგია, ეს მართალია...—დამემოწმა ის,—არ უნდა მოვსწყდეთ მასებს, მიუხედავად დიდი მოუცლელობისა. ყველაზე უმთავრესია ის, რომ მუდმივი კავშირი არ დავკარგოთ მასებთან. უნდა ვგრძნობდეთ მასების ცხოვრებას.

მან გამომკითხა, თუ რას ამბობენ ერთმანეთში დემონსტრანტები, როგორი განწყობილებაა მასებში მოედანზე, „კაზიონურად" ხომ არ ეკიდებიან დემონსტრაციას, იძულებით ხომ არ გამოდიან, ისეთი გრძნობა ხომ არ აქვთ, რომ თითქოს ბრძანებას ასრულებენ. მე დაწვრილებით უამბე ვლადიმერ ილიჩს რაც ვიცოდი; ის ხშირად მაჩერებდა ყოველ ცოტა-ოდნად მნიშვნელოვან მომენტზე.—ყოველივე ეს აუცილებელია დაიწეროს,—მეუბნებოდა იგი. მომავალი ისტორიისათვის სასიხარულო იქნება ასეთი ნაწერები. მასების განწყობილების დახასიათება მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი.,

წითელი მოედანი უფრო და უფრო ივსებოდა ხალხით და, ბოლოს დადგა დრო, როცა ვლადიმერ ილიჩი უნდა წასულიყო მოედანზე და იქიდან შემდეგ ჯარისკაცთა აღლუმზე ხოდინის ველზე.

ვლადიმერ ილიჩმა აქ მეტად მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, მისი სიტყვა მხოლოდ მისალმებით განისაზღვრებოდა.

* * *

ხუთი საათისათვის ჩვენ წავედით ხოდინის ველზე, საითკენაც მიიმართებოდა აურაცხელი ხალხი და ჯარები.

თითქმის პარადის დაწყების წინ, ლატიშების ერთ-ერთმა პოლკმა მოილაპარაკა,—მაშინ საქმეებს სწყვეტდენ პოლკის კომიტეტები, პარადის უფროსის პროტესტების მიუხედავად, თავის ნებით დასტოვა პარადი და წავიდა ხოდინის ველიდან. ჩვენ ხალხში ვიმყოფებოდით და დავსეირნობდით. ვლადიმერ ილიჩი მოთმინებით ელოდა აღლუმის დაწყებას, მაგრამ სამხედრო უფროსები აგვიანებდენ. როცა ჩვენ დავინახეთ თავის ნებით მიმავალი პოლკი, ვლადიმერ ილიჩმა გაიცინა და სთქვა:

— არ შეიძლება ითქვას, რომ დისციპლინა ჩვენ წითელ არმიაში არის სამაგალითო! ასეთი წესრიგით ჩვენ შორს ვერ წავალთ, თუ შეიძლებოდეს, — მომმართა მე მან, — დაუყოვნებლივ დანიშნეთ გამოძიება იმის შესახებ, რომ ამ ნაწილმა დაარღვია ძირითადი სამხედრო დისციპლინა და მაცნობეთ მე, თუ ვინ არის იქ კომისარი, ვინ არის სამხედრო უფროსი და საერთოდ ყველაფერი.. (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს იყო 1918 წელში).

შემოღებული წესის მიხედვით, მე მაშინვე, იქვე, დავწერე ბარათი და შიკრიკის ხელით გავაგზავნე ბრძანება, რომ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით დანიშნულიყო გამოძიება სამხედრო დისციპლინის დამრღვეველ ლატიშების პოლკის მოქმედების შესახებ. ბრძანება კომისარის პოლკის ბინაზე იქნა მიტანილი უფრო ადრე, ვიდრე იგი დაბრუნდებოდა სახლში. შეშფოთებული უფროსები, რომლებმაც ალბად არ იცოდენ ვლადიმერ ილიჩის ყოფნა ხოდინის ველზე, ორი საათის შემდეგ გამოცხადდენ სახალხო კომისართა საბჭოს სამმართველოში და წარმოადგინეს ახსნა-განმარტება.

აღლუმი დაიწყო. მაშინდელ დროს ჩვენ ჯარს არ ჰქონდა საკმაო დისციპლინა, სიმტკიცე, მაგრამ ეს მაინც იყო ახლად მოწყობილი არმიის დათვალიერება. ილიჩი მოხარული იყო პირველი ნაბიჯისა და ყველას ეუბნებოდა, რომ არმიისათვის ჩვენ ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

მე აქვე გადავეცი ტროცკის ილიჩის განკარგულება, და მაშინვე დაიწყო „უსასტიკესი გამოძიება", რომლის განკარგულება გასცა თავის მხრივ ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლ. სამხ. კომისარმა, ეს გამოძიება იყო მაგალითი და ჭკუის სასწავლებელი ყველა დანარჩენი ნაწილებისათვის, ვლადიმერ ილიჩი ყურადღებით ადევნებდა თვალს გამოძიებას და ძალიან გაკიცხა სამხედრო უფროსები დაგვიანებისათვის. პარადის თავის დროზე დაუწყებლობისათვის, და იმის გამო, თუ რატომ იყო „ხალხი დაღლილი" და რატომ მოხდა დარღვევა ყველასათვის სავალდებულო სამხედრო დისციპლინისა.

ყოველთვის და ყველგან ასე ერთგული იყო ვლადიმერ ილიჩი საუკეთესო რევოლიუციონურ კომუნისტურ ტრადიციებისა, ყველასაგან ყოველგვარ პირობებში მოითხოვდა იმ საზოგადოებრივი მოვალეობის სავსებით შესრულებას, რომელსაც პარტია, ან საბჭოთა ხელისუფლება აკისრებდა.

ვ. ბ.

ჩვენი მუშკორები პირველი მაისის შესახებ

სამაისო

დღეს დიდი დღეა, მშრომელი ხალხი
ზეიმობს დიად გამარჯვებასა,
ემორჩილება მას ბედის ჩარხი,
სურვილისამებრ აცურებს ნავსა.
თვითვეა თავის ბედის მოსაჭე,
თავის მარჯვენით — სჭედს თავის ბედსა,
ლეწს დაბრკოლებას ცხოვრების გზაზე
და ეურჩება მტერს თავხედს, ყბედსა.
გამარჯვებული წინ-წინ მიილტვის,
თან ენატრება ძალებს-ძალები,
მძინარე მშრომელთ ყველგან აღვიძებს,
ჟამნი იქმნიან სანეტარები...
ბრძოლაში ნაწრთობნი, სისხლში შეღებილ
დროშათ ფრიალი მძლეთ მონარნარობს,
ხელში უპყრიათ მარჯვეთ შრომის შვილთ
მაშვრალთ ბანაკი ზეიმობს, ხარობს.
და ამ ზეიმში მეც მონაწილეს
გული მიხარის, და სმენა სტკბება,
რომ ბრძოლის ჰანგზე მომღერალ გმირებს
აქვთ გამბედავი, ურყევი ნება.
ნარევა, შენება, ერთმანეთს მისდევს,
ვით თანამგზავრი დაუდევარი,
შრომის ზეიმი გრძნობას აღტყინებს,
მტარვალთათვის რეკს გლოვისა ზარი.
ეს მაისობა სულ სხვა ფერია,
აწოცამციმდა მზე დიადებით;
ჩვენი ქვეყანა დაქსელილია
ურყევ უძლევი გულზვიადებით.
და ამიტომაც უხვ სხვოსანი
ჩვენ გვესალმება, ჩვენც ვესალმებით,
შრომის დიდებას ვუმღერ მგოსანი,
გულით ვზეიადობ ამ ნეტარებით...

შაქრო ნავთლუღელი.

დღეს მზე კაშკაშებს

დღეს მზე კაშკაშებს... ჩაჰესის სხივი
მშრომელთა უბნებს სიამით სწვდება,
დღეს ქუჩებს სტვირთავს მშრომელთა მწკრივი
ქვა იზნიქება—ასფალტი ტყდება.

დღეს საზეიმოდ ფეხზე ამდგარა,
დიდი პატარა და პიონერი,
ქუჩებში მტვერის ბუღი დამდგარა
ზეიმით თვრება მშრალი ჰაერიც.

შავი წარსული ვისაც უნახავს
და მათრახებიც უგემებია,
შუა ბაზარში რომ აღუმართავს
დროშა, და დღემდე უტარებია,

დღეს მოქანცული მრავალ წლის შრომით
წელში მოხრილი ხალხს დასტრიალებს...
სისხლიან დღეებს იგონებს წყრომით
და ტრიბუნიდან ხმას აწკრიალებს.

იგონებს წარსულ დუხჭირ ცხოვრებას,
იგონებს მტარვალთ მხეცურ სურათებს...
რამდენი შვილი მოუკლეს დედას,—
მათი სახელი დღეს გზას გვინათებს.

მწარე წარსულის მოგონებაზე,
ზღვა ხალხის თავი დაბლა იხრება,
ჩინეთის ამბის მოგონებაზე
ბრაზი და ბოღმა ხალხში იზრდება.

მაგრამ... მომავლის გრძნობა-იმედი
მშრომელი ხალხის სულს აკრიალებს,
ახლოა ის დრო, როცა მსოფლიო
ერთ წითელ დროშასააფრიალებს.

ვ. ჩხიკვაძე.

ძღვნად პირველ მაისს

ბევრჯერ მიძღვნია მე შენთვის ლექსი,
წითელ ფრთებ შესხმულ პირველ მაისო,
მაგრამ ამდენი ჩემს სიცოცხლეში
არა ჰქონია გულს სახალისო.

შენ ჩემთვის იყავ მარად უკვდავი,
შენ გიგალობდა მუშური გული,
ბევრჯერ გამაძვრენ მათრახით ტყავი,
სულს მიხუთავდა ცა მოღრუბლული.

ეს უწინ იყო დრო გულის მკვლელი,
ბედის აკვანი მწარედ გვარწევდა,
გარს გვეხვეოდა წყეული გველი
შრომისა შვილებს შხამსა გვასმევდა.

მახსოვს მუშები, ძველ ქარხანაში,
მონებათ ქმნილი, ცრემლებს აფრქვევდენ ..
გლეხები გლოვდენ:—სხვისა ყანაში
თავის ნაოფლარს ბატონს აძლევდენ.

ჩემი კალამიც, პირველ მაისო,
მწარე ცრემლებით სწერდა შენს ლექსსა.
როდესაც გული ლხენით აივსო,
მეც ფრთებ შესხმული ვიცინი დღესა.

შვიდი წელია ამ ჩემს კალამსა
არ უხმარია ცრემლის მელანი,
თავზარი დავსცი ძველ ჭირვარამსა,
წინ მიჰქრის მედგრად ჩემი მერანი.

შვიდი წელია ჩვენი ქვეყანა,
გადაიქარგა წითელი ვარდით,
შავს ტალღას მისცა ახალმა ხანამ
რაც გულზე გვაწვა სევდა და დარდათ.

დღეს მახალისებს ათასი რამე
გამაჯანსაღა თავისუფლებამ,
დღეთა გვიქცია ბნელეთი ღამე
ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ

გაშალე უცხო ქვეყნებში ფრთები,
უსამართლობა გაანადგურე,
დაასამარე იქ ჯალათები,
თავისუფლება დაასადგურე.

ვ. სულაქველიძე.

ჩვენი დღესასწაული

პირველი მაისი ეს მშრომელი ხალხის დღეა. ამ დღეს მთელი ქვეყნის მუშები წითელი დროშით ხელში გამოდიან ქუჩებში, ათვალიერებენ თავიანთ რიგებს და ახდენენ თავის ძალების დემონსტრაციას.

არც მშრომელი ხალხის მტრებს სძინავთ—ამ დღეს და ცხელი ტყვიით უმასპინძლდებიან ქუჩებში გამოსულ მუშებს. ვინ იცის რამდენი მუშის გული გაგმირულა პირველ მაისს მხოლოდ იმისთვის, რომ ის საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილე იყო.

ასე იყო მეფის რუსეთში, ასე არის დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მაგრამ დღეს დედამიწის მეექვსედ ნაწილზე, იქ, სადაც ოდესღაც მძიმე უღელი ედგა მშრომელ ხალხს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატმა დაამხო მეფის და ბურჟუაზიის ბატონობა და მშრომელთა ხელისუფლება განამტკიცა.

შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველა ჩაგრული მოიხსნის ბურჟუაზიის მონურ უღელს, ფეხქვეშ გასთელავს მშრომელი ხალხის მყვლეფელებს და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მსგავსად თავისუფლად იზეიმებს საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო დღეს!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

ის. გოგიბერიძე.

მშრომელთა ზეიმი

მეფის მთავრობამ კარგად იცოდა რა მნიშვნელობა ჰქონდა პირველ მაისს და რა შედეგი მოყვებოდა მის საწინააღმდეგო სამაისო დემონსტრაციას. ამიტომ მეფის მთავრობა პოლიციას ბრძანებას აძლევდა, რათა პირველ დემონსტრაციაზე არ გამოსულიყვენ და მუშების წინააღმდეგ მკაცრი ზომები მიეღოთ.

ასეთ სასტიკ ზომებს მშრომელი ხალხი მაინც არ უშინდებოდა და ზეიმობდენ პროლეტარიატის საერთაშორისო დღეს.

პოლიციელები ატუსაღებდენ აუარებელ მუშებს, სცემდენ, აწამებდენ და გზავნიდენ ციხეებში. ზოგჯერ ასახლებდენ კიდეც. ხლა ბურჟუაზიულ ქვეყნის მუშები გმინავენ კაპიტალის უღლის ქვეშ. იქაც ის ხდება, რაც ხდებოდა ჩვენში ნიკოლოზის დროს.

დღეს მსოფლიო პროლეტარიატი ზეიმობს პირველ მაისს. მაგრამ არა ისე, როგორც საბჭოთა ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის მშრომელნი განთავისუფლებული არიან ძლევამოსილ ოქტომბრის რევოლიუციით, რის გამო 1 მაისს აშკარად და მასიურად დღესასწაულობენ.

ევროპის პროლეტარიატიც გამოვა დღეს ქუჩებში და მოითხოვს პირველ მაისის აღთქმის შესრულებას—8 საათის სამუშაო დღეს, მაგრამ დღეს იქ კიდევ დაიღვრება მუშების სისხლი. შორს არ არის ის დრო, როდესაც დაჰკრავს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის განთავისუფლების ზარი.

ჩვენს დაჩაგრულ ძმებს, რომლებიც კაპიტალიზმის უღლის ქვეშ გმინავენ, ჩვენ შევსძახებთ დღეს: ძმებო, ჩვენ თქვენთან ვართ, მიიღეთ ჩვენი ძმური სალამი!

თამამად წინ!

გაუმარჯოს პირველ მაისს!

მუშა პავლე მირზაშვილი.

ლენინის საპირველმაისო მოწოდება 1895 წელს

დროა, რომ რუსის მუშებმა მონობის ბორკილები დალეწონ

ამხანაგებო, ყურადღებით განვიხილოთ ჩვენი მდგომარეობა: გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელშიც ვცხოვრობთ, რას ვხედავთ? ჩვენ ბევრს ვმუშაობთ, უამრავ სიმდიდრეს ვქმნით, ოქროსა და ქსოვილებს, ატლასსა და ხავერდს, მიწის წიაღიდან რკინა და ქვა-ნახშირი ამოგვაქვს, მანქანებს ვაშენებთ. მთელი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ხელებით არის შექმნილი, ჩვენი ოფლითა და სისხლით არის გაჟღენთილი. მაგრამ რა სანაზღაუროს ვღებულობთ ჩვენი საკატორღო შრომისათვის? სამართლით ჩვენ საუკეთესო ბინებში უნდა გვეცხოვრა, საუკეთესო ტანისამოსი უნდა გვცმოდა, ყოველ შემთხვევაში, დღიური პური არ უნდა დაგვკლებოდა. მაგრამ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჩვენი ხელფასი ბეჩავი ცხოვრებისათვისაც არ კმარა. ჩვენი ბატონები ამცირებენ სამუშაო ქირას, გვაიძულებენ ზედმეტი საათები ვიმუშაოთ, უსამართლოთ გვაჯარიმებენ, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ გვჩაგრავენ და თუ უკმაყოფილება განვაცხადეთ, მოურიდებლად გარეთ გვაგდებენ.

ხშირათ დავინახეთ, რომ ყველანი, ვისაც მფარველობისათვის მივმართეთ, ბატონების ლაქიები და მოქაშეები ყოფილან. ჩვენ მუშებს, სიბნელეში გვამყოფებენ, განათლებას გვიკრძალავენ, რათა იმედი არ ვიქონიოთ, რომ ბრძოლით ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას შევსძლებთ. შებოჭილნი ვართ, სამუშაოდან გვერეკებიან, გვიჭერენ და გვაძევებენ ყველას, ვინც ჩაგვრას ვეწინააღმდეგებით, ბრძოლის საშუალებას გვისპობენ. სიბნელე და მონობა, აი ის საშუალებანი, რომლითაც კაპიტალისტები და მათი მფარველი მთავრობა გვბორკავს.

მაგრამ რა საშუალება გვაქვს, რომ ჩვენი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ, სამუშაო ქირა ავსწიოთ, სამუშაო დღე შევამციროთ, შეურაცყოფა ავიცილოთ, გონიერი წიგნები ვიკითხოთ? ყველანი ჩვენს წინააღმდეგ არიან: როგორც ბატონები, რომელნიც მით უკეთ ცხოვრობენ, რამდენადაც ჩვენ უარეს მდგომარეობაში ვიმყოფებით, ისე ყველა მათი ლაქიები, რომელნიც კაპიტალისტების ნამცეცებით ცხოვრობენ და ჩვენ უმეცრებაში და მონობაში გვამყოფებენ. ჩვენ არავისგან არ უნდა ველოდეთ შველას, მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დავეყრდნოთ, ჩვენი ძალა ერთობაშია, ჩვენი იარაღია მტკიცე, ერთსულოვანი და შეუდრეკელი წინააღმდეგობა ბატონების წინააღმდეგ. თვით მათ კარგა ხანია გაიგეს, რაში მდგომარეობს ჩვენი ძალა და ყოველი ძალღონით სცდილობენ გაგვთიშონ და საქმე ისე მოაწყონ, რომ ჩვენ ვერ გავიგოთ, რომ მუშებს საერთო ინტერესები აქვთ. ისინი გვიმცირებენ ხელფასს, მაგრამ ყველას ერთად კი არა, არამედ ცალ-ცალკე. მათ შემოაქვთ ნაწრობილივი ხელფასი და თვითნებურად ამცირებენ განაკვეთს, ამასთანავე ეშმაკურად იცინიან, როცა ხედავენ, როგორ ეცლება არაქათი რომელიმე ჩვენგანს მუშაობის დროს.

მაგრამ მოთმინებას დასასრული აქვს. გასულ წელს რუსის მუშებმა თავიანთ ბატონებს უჩვენეს, რომ მონური სიმდაბლე მათში ადგილს უთმობს ადამიანურ ვაჟკაცობას, რომელსაც არ უნდა თავი შეუწრონ ხარბი კაპიტალისტების თავხედ და ურცხვ გაუმაძღრობას. სხვადასხვა ქალაქებში გაფიცვები მოხდა: იაროსლავსა, ივანოვო-ვოზნესენსკსა, ბელოსტოკსა, ვილნოსა, მინსკსა; კიევსა; მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. ამ გაფიცვების უმრავლესობა მუშებისთვის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ თვით უშედეგო გაფიცვებიც მხოლოდ ერთი შეხედვით არის უშედეგო, მართლაც ეს გაფიცვები ბატონებს საშინლად აშფოთებენ, დიდ ზარალს აყენებენ და აიძულებენ ახალი გაფიცვების შიშით დათმობის გზას დაადგენ.

საქარხნო ინსპექტორებიც საქმიანობას იწყებენ და უკვე დვირეს ამჩნევენ მექარხნეების თვალებში. ისინი ჩვეულებრივ ბრმები არიან, სანამ მუშები, გაფიცვას შემჩევიან, თვალებს არ აუხელენ. როგორ შეუძლიათ საქარხნო ინსპექტორებს უწესობა შეამჩნიონ ისეთ გავლენიანი ადამიანების ფაბრიკაში, როგორიცაა ბატონ ტორტონი ან პუტილოვის წარმოების აქციონერები. ჩვენც ამ ვაჟბატონებს საქმე გავურთულეთ პეტერბურგში. ფეიქრების გაფიცვამ ტორტონის ქარხანაში, მეპაპიროსე ქალების გაფიცვამ ლაფერმის ფაბრიკაში, მუშების მღელვარებამ ლებედევის, მექანიკური ფეხსაცმელების, კონიგის, ვორონინის წარმოებაში და ნავთსადგურში დაამტკიცა, რომ ჩვენ უსიტყვოთ მონები აღარ ვართ, რომ ჩვენ ბრძოლის ეცხლში გადავვარდით.

როგორც ცნობილია მრავალ ქარხანასა და ფაბრიკაში მუშებმა დაარსეს „ბრძოლის კავშირი მუშათა კლასის განთავისუფლებლად", რათა ყოველი ბოროტება გამოააშკარაონ, უწესობა ამოფხვრან, ჩვენი უსინდისო ექსპლოატატორების ურცხვ ძალმომრეობას შეებრძოლონ და მათი ბატონობა სავსებით მოიცილონ. კავშირი ავრცელებს პროკლამაციებს, რომლის დანახვაზე ბატონებისა და მათი ლაქიების გული იკუმშება. მათთვის საშიშია არა პროკლამაციები, არამედ ჩვენი ორგანიზაციული წინააღმდეგობის შესაძლებლობა, ჩვენი უძლეველი ძალღონის გამოაშკარავება, რაიცა მათთვის არა ერთხელ გაიჩვენებია.

ჩვენ, პეტერბურგის მუშები და კავშირის წევრები ყველა დანარჩენ ამხანაგებს მოვუწოდებთ მიემხრონ ჩვენს კავშირს და ხელი შეუწყონ მუშათა კლასის გაერთიანებას თავიანთი ინტერესებისათვის საბრძოლველად. დროა, რომ ჩვენც რუს. მუშებმა დავლეწოთ ბორკილები,რომლითაც კაპიტალისტებმა და მთავრობამ შეგვბორკეს, რათა მორჩილებაში გვიყოლიონ, დროა, რომ ჩვენც ჩვენი ძმების ბრძოლას მივემხროთ, სხვა სახელმწიფოების მუშებს, რომ ჩვენც იმ საერთო დროშას გავყვეთ, რომელსაც აწერია: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საფრანგეთსა, ინგლისსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში სადაც მუშებმა უკვე ძლიერი კავშირები შეჰკრეს და მრავალი უფლება მოიპოვეს, ისინი 19 აპრილს (ეს არის პირველი მაისი უცხოეთში) შრომის საყოველთაო უქმეს დღესასწაულობენ.

ისინი ჯგუფად მყრალი ქარხნებიდან, მჭიდროთ ირაზმებიან და მუსიკითა და დროშებით მთავარ ქუჩებში დადიან; ამრიგად, ბატონებს თავიანთი ძლიერების ზრდას აჩვენებენ; მრავალ რიცხოვან კრებებს მართავენ, სიტყვებს ლაპარაკობენ, რომელშიც წარსული წლის გამარჯვებებს ხატავენ და მომავალი ბრძოლის გეგმებს სჭედენ.

გაფიცვის შიშით არც ერთი მრეწველი არ დააჯარიმებს იმ მუშებს, რომელნიც ამ დღეს სამუშაოდ არ გამოცხადდებიან. ამ დღეს მუშები ბატონებს თავიანთ მთავარ მოთხოვნილებას გაახსენებენ: ესაა, 8 საათის მუშაობა, 8 საათის ძილი, 8 საათის დასვენება, ესაა; რასაც სხვა სახელმწიფოების მუშები მოითხოვენ. იყო დრო, ის არც ისე შორს არის, როცა არც მათ ჰქონდათ თავიანთი მოთხოვნილების განცხადების უფლება, როცა ისინიც ისე დაჩაგრულნი და გათიშულნი იყვნენ, როგორც ჩვენ, მაგრამ ჯიუტი ბრძოლითა და მძიმე მსხვერპლით მათ უფლება მოიპოვეს, მუშათა საქმე საერთო ძალღონით გამოიკვლიეს.

ვუსურვებთ ჩვენს უცხოელ ძმებს, რომ მათი ბრძოლა ჩქარა დამთავრდეს სასურველი გამარჯვებით, როცა არც ბატონები იქნებიან და არც მონები, არც კაპიტალისტები, და არც მუშები, როცა ყველანი ერთნაირად იმუშავებენ და ერთნაირად დატკბებიან გონიერი ცხოვრებით.

ამხანაგებო, თუ ჩვენ დარაზმულად და ერთსულოვნად ვიმოქმედებთ, ის დრო შორს აღარ იქნება, როცა ჩვენც მჭიდრო შეკავშირებით და აშკარად გვერდში ამოუდგებით სხვა ქვეყნების მუშებს, რომელნიც რწმენისა და რასის გაურჩევლად საერთო ბრძოლას აწარმოებენ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების წინააღმდეგ.

და ჩვენი ძარღვიანი ხელები აღიმართებიან და მონობის სამარცხვინო ბორკილები დაიმსხვრევიან; რუსეთის მიწა-წყალზე მუშათა ხალხი აღსდგება, ხოლო კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის დანარჩენი მტრების გული შეშფოთდება.

ნ. ლენინი.

როგორ იყო

1900 წელი

22 აპრილი არის ძველი სტილით. ასის თავებს და ათის თავებს საიდუმლოდ გადმოცემული აქვთ, რომ 22 აპრილს პირველ მაისის დღესასწაულს ვატარებთ კუკიის ტბაზე. მაშინ მეც ათის თავი ვიყავი და დავალებული მქონდა ათი კაცის წაყვანა. ქალაქიდან ისე უნდა გავსულიყავით, რომ არავის გაეგო. რა აღფრთოვანებული და გახარებული ვიყავი იმ პატარა დავალებით, რომელსაც პირველად მაძლევდენ უფროსი ამხანაგები! დაუნიშნე ბინა იმ ამხანაგებს, რომელნიც მე უნდა წამეყვანა. დილის სამ საათზე წავედით ლოტკის ქუჩით ტბისაკენ. ბნელაში ამხანაგების ლანდები გვხვდებოდა, პაროლით ვიგებდით თუ ვისთან გვქონდა საქმე.

მთელი ღამე წვიმდა და მინდვრის მაღალ, სველ ბალახებში გვიხდებოდა სიარული. თითქმის მთლად დასველებულმა მივაღწიეთ დანიშნულ ადგილას. დიდ ფუსფუსში არიან ჩვენი ძველი ამხანაგები: ვანო სტურუა, შაქრო ჩოდრიშვილი, გიორგი ჩხეიძე, მაჭარაძე, ვანო ავსაჯანოვი და სხვ. აგერ არაქელაც მოვიდა თავისი დიდი ძაღლით. თითქმის ყველანი ვართ, ვინც უნდა მოვსულიყავით.

ვაკეთებთ რგვალ წრეს. იშლება წითელი დროშა. ამბობენ ამხანაგები აღფრთოვანებულ სიტყვებს. აგერ ლაპარაკობს დაბალი ტანის ყარაჯაევი. დიდხანს ლაპარაკობს ის და ბოლოს მოგვიწოდებს მომავალ მაისისათვის თითეულმა ჩვენთაგანმა სამი მებრძოლი შევმატოთ ჩვენს პარტიას. ჩვენც ფიცსა ვდებთ, რომ შევასრულებთ ამ წინადადებას. საერთო მხიარულებამ და აღფრთოვანებამ მოიცვა ყველა. იმ დროს ყველანი ერთი მიზნით, ერთი რწმენით ვიყავით გადაჯაჭვულნი./ მთელი თბილისის პოლიცია რომ დაგვესხმოდა თავზე, მე დარწმუნებული ვარ, არც ერთი ჩვენთაგანი არ უჩვენებდა ზურგს.

ზეიმი მორჩა. დროშა შაქროს უჭირავს. მსვლელობას ვიწყებთ ტბის გასწვრივ. „მარსელიოზა", „ვარშავიანკა" და მაისის სიმღერები ერთმანეთში ირევა. რა ტკბილი და ხალისიანი იყო ეს პირველი ჩემი მაისობა! ლამდება. მივდივართ სიმღერით ნაძალადევისაკენ. სადაცაა ლოტკის გორაზე უნდა გადმოვიხედოთ. ზოგიერთებს დროშით უნდა შესვლა ქალაქში, მაგრამ უფრო შორს მჭვრეტელი ამხანაგები არ სთანხმდებიან. გიორგიმ (ჩხეიძემ) დროშის ტარი გაუტეხა შაქროს და ამრიგათ აიძულა დაეკეცა დროშა. ოთხას სამოცი კაცი ჩამოვეფინეთ ნაძალადევის გორებს, მხოლოდ მაშინ გაიგო მთავრობამ მაისობა რომ იყო და ასეული ყაზახები აფრინა იქით, საიდანაც ჩვენ ჩამოვედით.

1908 წელი

ახლოვდება პირველი მაისი. დიდს მზადებაში ვართ. რუსთაველის პროსპექტზე გვინდა დემონსტრაციის მოწყობა, არ ვიცით კი როგორ ჩავატარებთ. ღამეა, ჩემს ოთახში თათბირი გვაქვს. შემოდის ძია ჩიქოვანი. შემოაქვს შეკვრა წითელი ჩითი. ამ ჩითიდან უნდა გვემზადებია პატარ-პატარა დროშები სხვადასხვა ლოზუნგებით. დავტრიალდით მაშ კოლა მაჭარაძე ვეკეთებს ტრაფარე „სტეპკოს" ოთახში ვდგამთ ფეხს. მთელი რა დღე და ღამე ხურს ფეხი და ჩვენც გა ბულ მუშაობაში ვართ. გარედან კარები ტილი აქვთ ოთახში მყოფ სტეპკოს, ზაკ კინს და ზალატარიევს (უკვე გარდაიცვალა მუშაობენ. მე კი მათ გარედან შეშას და მელს უზიდავ. სანდო ამხანაგებს ვავა რაც შეიძლება მეტი „გაიკები" გამოზიდონ სახელოსნოდან.

პირველი მაისის წინა ღამეს რამოდენიმე ასეული „გაიკებ" წაბმული პატარა დროშები მზად არის. გვყავს დარაზმული მაშინდელი „კომსომოლები", რომელთაც დავალებული აქვთ ღამით მოფინონ მთელი ქალაქი წითელი დროშებით.

მთელი ღამე ცხარებული მუშაობაა ჩვენს სახლში. ამხანაგები რიგ - რიგად მოდიან და მოაქვთ დამზადებული დროშები სხვადასხვა უბნებში. დროშების დაკიდება ხდება შემდეგნაირად: ტელეფონის მავთულებზე ისვრიან დაკეცილ დროშას, „გაიკა" გადაეხვევა მავთულს და დროშა ჩამოეკიდება ძირს. პირველ მაისს მთელი ქალაქი მორთული იყო წითელი დროშებით. გულგახეთქილი პოლიცია ფეხზე სდგას, მაგრამ დროშების მავთულიდან ჩამოღება უძნელდება. მოაშველეს მესანგრე ჯარები და მაღალი კაუჭებით, ერთი ვაივაგლახით ჩამოხსნეს დროშები შუადღისას.

საღამოთი ჩვენს მფრინავ რაზმს ცამეტი კაცი აკლდა. ის ცამეტი ამხანაგი დროშების დაკიდების დროს დაეტუსაღებიათ.

ასე ვატარებდით თვითმპყრობელობის დროს პირველ მაისს.

ეხლა, ახალგაზრდა ამხანაგებო, როცა მტერი დამარცხებულია და მუშათა სისხლში ამოვლებული წითელი დროშები თავისუფლად ტრიალებენ ჩვენს კავშირში, მაგრათ ჩასჭიდეთ ხელი წითელ დროშას და ხმა მაღლა შესძახეთ მსოფლიო ბურჟუაზიას:

— ძირს თქვენი ბატონობა მუქთახორებო!

გაუმარჯოს მუშათა კლასის განთავისუფლებას კაპიტალიზმის კლანჭებისაგან!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას!

მუშა იაგორ ტორიკაშვილი,

მაისობა ნაძალადევში

(მოგონება)

—ადე, ადე, ნიკო, რა დროს ძილია; ადექი—გამოიღვიძა გათენებისას ჩემმა ამხანაგმა პლატონ ხუციაშვილმა.

— ძალიან კაი დროა, კვირა დღეა და მეც ვასვენებს სხეულს, ჩვეულებრივ რომ ვდგები ადრე, ისიც მეყოფა,—მივუგე ნამძინარევმა და მეორე გვერდზე გადავბრუნდი.

— ადე, შე სულელო, დღეს პირველი მაისია, კვლავ დამჩხავლა პლატონმა.

პირველ მაისის ხსენებაზე თვალები დავჭყიტე.

— კაცო, რამ გაგაგიჟა, რა დროს პირველი მაისია!

— ჩვენებურად დღეს თვრამეტი აპრილია, მაგრამ ახალი სტილით პირველი მაისია და საზღვარგარეთ დღეს დღესასწაულობენ პირველ მაისობას...

— საზღვარგარეთ, შენმა თავმა გახეთქამ, შენც გუშინ დაბრუნდი ათ, საზღვარგარეთიდან.

—მივუგე მე, ფეხზე წამოვდექი და ჩაცმა დავიწყე.

— სოლომონი ბალკონში გველის,—მითხრა პლატონმა.

მე გავიხედე ფანჯრიდან და ვნახე სოლომონ ვადაჭკორია, რომელიც ბალკონის მოაჯირს დაყრდნობოდა და შორს სივრცეს გასცქეროდა.

— ბიჭო სოლომონა, შემოდი აქ, შარვალი ჩამაცვი, და კარგად ჩამაცვი, გადაბრუნებული არ იყოს.—გავძახე.

— მასხრობის დრო არ არის, ჩაიცვი მალე და წავიდეთ.—მომიგო სოლომონმა.

— გიჟი ხომ არა ხარ, ამ გათენებისას სად უნდა წავიდეთ, ჯერ ერთი ვისაუზმოთ, ყანყრატო დავისველოთ და მერე წავიდეთ...

— იქ ვისაუზმებთ, იქ ყველაფერია, შენ ოღონდ მალე ჩაიცვი,—მითხრა სოლომონმა.

— ახლა, რომ მშვიდობა იყოს, არ მეტყვით, თუ სად უნდა წავიდეთ?—ვკითხე მე.

— ნაძალადევში.—მომიგო სოლომონმა:—ჩვენი ამხანაგები—ნესტორი (ცერცვაძე), ვლასა (მგელაძე) ერასტი (ჩანტლაძე), ვასო (ურუშაძე) და სხვანი, ყველანი იქ არიან.

— ოჰო, ჩემს გარდა, ყველა იქ ყოფილა.—წამოვიძახე და პირის დასაბანად გავედი.

2.

მცირე ხანს შემდეგ ჩვენ შევუდექით კუკიის ალმართს, საიდანაც ჩუმად მივიპარებოდით ნაძალადევის ტბისკენ. ზომები იყო მიღებული, რომ დანიშნულ ადგილას მიმავალი მუშები არ შეენიშნა ჯაშუშებს, რომელნიც მაშინ შაღლებივით დაწანწალებდენ ყოველ ნაბიჯზე.

მაშ ნაძალადევია ის ადგილი, სადაც საფუძველი ეყრება იმ დიდ საქმეს, რომელსაც ეწოდება მუშათა განთავისუფლება. გავიფიქრე მე და გავხედე ნაძალადევის ქოხებს.

არ ვიცი, რადა, და ეს ქოხები მეჩვენა, არწივის ბუდეებათ, მათში მცხოვრებნი კი არწივებად...

აქ, ნაძალადევში ინთებოდა პირველად ის კოცონი, რომელსაც რევოლიუცია ჰქვიან.

აქ აფრიალდება პირველად რევოლიუციის წითელი დროშა. და უცებ ვიგრძენ, რომ მიყვარს ნაძალადევი თავისი არწივის ბუდეებით...

მიყვარს...

და ბოლოს აღმოჩნდა რომ არ მოვტყუებულვარ, მართლა უნდა მყვარებოდა იგი თავისი ქოხმახებით...

მივედით ნაძალადევს იქით, დაბლობში.

მიწაში დარჭობილ გრძელ ტარზე მინდვრის ნიავი წყნარად არხევს წითელ დროშას ოქროს ასოებით წარწერილ ლოზუნგებით. გარშემო ალყად ისხდენ მუშები, რევოლიუციის პირველი მერცხლები.

გაისმის მქუხარე სიტყვები.

— ამხანაგებო! დავიფიცოთ, რომ მერმის ამ დროს წითელ დროშას ავაფრიალებთ შუა ქალაქში,—იძახის ერთი მუშა.

ყველამ დაიფიცა...

საღამო ხანზე დავიშალენით და მხიარულათ წამოვედით ნაძალადევისაკენ. მოვდივართ არწივის ბუდეთა შორის...

ეს იყო 1900 წელს. 1901 წელს კი ასრულდა აღთქმული. წითელი დროშა.აფრიალდა შუა ქალაქში, ალექსანდრეს ბაღთან...

მაგრამ ჯალათები უკვე მზად იყვენ—ეცნენ დროშას.

შეიქნა ბრძოლა.

დამარცხდა წითელი დროშა.

დამარცხებულ არწივებს პოლიციისკენ მიერეკებიან „გამარჯვებული" მეფის ჯალათები.

მიერეკებიან ცემა-ტყეპით, ლანძღვა-გინებით.

მირეკეს პოლიციაში.

პოლიციიდან ციხეში

ციხიდან რკინის-გზის სადგურში.

სადგურიდან კი...

ჩვენს თავდადებულ ხამხობლო ქალაქიდან მატარებელმა კივილ-გრიალით და ქშენა-ქშინით გააქანა შორეულ ციმბირისაკენ.

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.

მშრომელთა სოლიდარობის დღე

პირველი მაისი აღიარებულია პროლეტარიატის სოლიდარობის საერთაშორისო დღეთ. დიდი აღფრთოვანებით ხვდება მას მთელი მსოფლიოს და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, განსაკუთრებით, თავისუფლად ზეიმობს პირველ მაისს, იმიტომ, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ დაანგრია ძველი - დახავსებული სამყარო და მის ნანგრევებზე ააშენა ახალი, ისტორიაში ჯერ არ ვაგონილი ქვეყანა.

დასავლეთ ევროპის მუშები კაპიტალიზმის სალტეებით შებოჭილნი, მოკლებულნი არიან საშუალებას პირველი მაისი თავისუფლად იდღესასწაულონ, მაგრამ შორს არ არის ის დროც, როდესაც დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმს სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს მუშათა კლასი.

აი მაშინ, ჩვენ და ევროპის მუშები უფრო მეტი აღტაცებით ვიზეიმებთ პირველ მაისს.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღეს—პირველ მაისს!

ვანო მთვრალიშვილი.

მშრომელ კაცობრიობის უდიდესი დღესასწაული

პროლეტარულ დღესასწაულთა შორის პირველ მაისს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პირველ მაისს ზეიმობენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშები. ეს ზეიმი აერთიანებს მთელი მსოფლიოს მუშებს კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ. პირველი მაისის მიზანი იყო და არის დაამხოს და დაანგრიოს ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც დამყარებულია მწარმოებელთა ბატონობასა და პროლეტარიატის მონობაზე. ამ დიად დღესასწაულის უპირველესი მიზანია დაამყაროს საქვეყნოთ კომუნიზმი, მოსპოს საზოგადოების კლასებად დაყოფა და თვით მშრომელი კლასი გახადოს თავის თავის ბატონ - პატრონი.

ამ მიზნის მისაღწევად მუშათა კლასმა უნდა გაამხნევოს რევოლიუციონური შეგნება, უნდა შთაბეროს შურისძიების ცეცხლი მშრომელებს მჩაგვრელების წინააღმდეგ და გაუქარწყლოს მტერს გამარჯვების იმედი.

როგორც მაისში ყვავის ყველაფერი, ისე უნდა აყვავდეს პროლეტარიატის ჯანსაღობა, შრომა და მიღწევები.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტარების სოლიდარობას!

გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციას მთელს მსოფლიოში!

მუშკორი ლევ. გუნია.

მოღალატე „კორკია"

ზანტად მიდიოდა აპრილის დღეები..

ახლოვდებოდა მაისი...

პირველი მაისი...

ამ დღის მოგონებაზე, ბევრ სულშეხუთულს და სუნთქვა - შეგუბებულს ნეტარების სიო დაჰბერავდა და სახე - გაბრწყინებული, მედგრად განაგრძობდა მძიმესა და ილაჯ - გამწყვეტ შრომას,.

სახელოსნოებსა და სტამბებში უჩვეულო ფაცი - ფუცი იყო...

უცხო თვალიც კი დაეჭვდებოდა, რომ აქ რაღაც სამზადისი უნდა იყოსო.

საკინძ-გაღეღილი ასოთ - ამწყობები შხამიანი ღიმილით მიაცილებდენ გამვლელ „ხაზეინებს" და მოპარულ ცქერას გადაისროლიდენ არალეგალურად აწყობილ ფურცლებსა და პროკლამაციებსაკენ, ერთი თუ ორი დღის შემდეგ უნდა გამომზეურებულიყო ეს ლიტერატურა.

ახლოვდებოდა ჟამი ბრძოლის, ხანა ქარტეხილების; დასაწყისისა..

ტანჯვა - წამებას შეზრდილი მშრომელები უსაზღვრო გატაცებით ელოდა თავის მესსიას...

— მესსია იყო თვით ხალხი და ხალხის გულიდან აღმოსკდარი გმინვა და რისხვა ყველა მჩაგვრელისა და სულთამხუთავის წინააღმდეგ მიმართული.

ხალხი ელოდა პირველ მაისობას..

პირველი მაისი კი—ელოდა ხალხს საომრად გამზადებულს...

ბრძოლის არენა ხომ ქარხნებში და სახელოსნოები იყო..,

—:—

შუაღამეზე გადასული იქნებოდა, როცა მეფის ნაცვლის სტამბის ასოთ - ამწყობ გიორგის მოულოდნელად კარებზე მოუკაკუნეს...

გაისმა ხმა ფრთხილი და მოკრძალებული:

— „გიორგი შინა ხარ?"

— ჰა! ვინა ხარ? იყო პასუხი შიგნიდან.

— მე ვარ სარდიონი, გაიღე, — კვლავ გაისმა ხმა და გიორგის ოთახის კარებთან ვიღაცამ ხრინწიანი ხმით ჩაახველა. ეტყობოდა ჰლექიანი იყო.

გაიღო კარები. სტუმარი სუფთად მორთულ ვიწრო ოთახში შევიდა, რომელიც ღამის სანათურით მკრთალად იყო განათებული.

ვარდებიანი ჩითის ფარდები ეკიდა ოთახის ორთვალა ფანჯრებზე...

სინათლე მკრთალი იყო და უბრალო ჩარჩოებში მორთული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სურათები ძლივს მოჩანდენ კედლებზე.

ახლად გამოღვიძებულ გიორგის თვალები ძილისაგან დაგუდული ჰქონდა და სანათის სუსტ სინათლეზე ძლივს იხედებოდა.

— რა ამბავია სარდიონ? სარდიონის სახლში შესვლისთანავე იკითხა გიორგიმ.

— არაფერი. ხვალ ჩვენი სტამბა აღარ იმუშავებს...

რას იტყვი შენ გიორგი? უპასუხა სარდიონმა და გიორგის თვალებში მიაშტერდა.

— აღარ იმუშავებს?!. რომ დაგვითხოვენ?..

— ვერ დაგვითხოვენ... — მოკლედ მოუჭრა გიორგის სარდიონმა და თან დაუმატა — ერთი და ორი ხომ არ ვიუქმებთ, ხვალინდელ დღესასწაულს, რომ დაგვითხოვონ, მთელი სტამბა არ იმუშავებს ხვალ... მაშინ ხომ..

— რომ გვიჯაშუშონ?

— ვერვინ გაბედავს.

— ეგრე გგონია?! გაიკვირვა გიორგიმ და მძიმედ ამოისუნთქა.

— მაშ ვინ ეშმაკმა უნდა გაგვცეს, როცა შესაკრები ადგილის შესახებ დღეს დაღამებამდე არავინ არაფერი იცოდა...

ვინ რას მოგვნახავს იმ სიშორეზე.— ხომ იცი სად უნდა მოვგროვდეთ წელს სამაისოდ?

— არ უნდა ვიცოდე მაგრამ საუბედუროთ ვიცი...

— როგორ? საიდან? ვინ გადმოგცა?

— არავინ. მაგრამ ყური მოვასწარ...

— ვის? გაკვირვებით წამოიძახა სარდიონმა

— ვისა? აი უბედურებაც იმაშია, თუ ვის მოვასწარ.. და როგორ ადგილას.. მაშინ როცა

პირველი თავისუფალი მაისი

(ძველი გაზეთებიდან)

1917 წელში პირველ ლეგალურ მაისობის ადგილათ დანიშნული იყო ნაძალადევის უბნის მოედანი. აქ უნდა შეკრებულიყვნენ თბილისის ყველა პუნქტებიდან.

სულ თბილისში დანიშნული იყო რვა შესაკრები პუნქტი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სხდომაზე გადასწყდა, რომ პირველი მაისის დემონსტრაციებში მონაწილეობა მიეღო ჯარის ნაწილების წარმომადგენლებსაც.

[illegible] დილით წამოვიდა კოკისპირული [illegible]რის გამოც დანიშნულ ადგილას, [illegible]სძლო შეკრება თბილისის მუშათა ორგანიზაციებმა.

[illegible] მაისს, დილას (ძვ. სტილით), თბილისის ქალაქის მაშინდელ სამმართველოს შენობაში შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების კრება.

აღნიშნულ კრებამ დაადგინა დემონსტრაციები, ნაძალადევის მოედნის მაგიერ, გამართული ყოფილიყო რუსთაველის პროსპექტზე.

დილის 9 საათიდან რუსთაველის პროსპექტზე აღიმართა რვა ტრიბუნა. სასახლიდან ვერის (დღეს ელბაქიძის) დაღმართამდე მთელი პროსპექტი გაჭედილი იყო ხალხით. ტრიბუნებზე გამოდიოდნენ ყველა პოლიტიკურ მიმართულებათა წარმომადგენელნი.

მიუხედავათ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დადგენილებისა ნაძალადევში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 12 ათასი კაცი. შუადღის 12 საათიდან ნაძალადევის დემონსტრაცია გაეშურა რუსთაველის პროსპექტისაკენ, სადაც შეკრებილი იყო თბილისის მუშათა ორგანიზაციები.

რუსთაველის პროსპექტზე სიტყვების წარმოთქმისა და ზეიმის დამთავრების შემდეგ, დემონსტრაცია ძველი ბოლშევიკი მუშების მეთაურობით გაემართა „სალდათის ბაზარზე". ძველი მუშების ინიციატივით გაიმართა დიდი მიტინგი. იმ ადგილას, სადაც 1901 წელს პირველად და აშკარად გაიშალა წითელი დროშა თბილისის პროლეტარიატისა. იყო მოგონება წარსულ სახელოვან მებრძოლთა და იმ ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების გმირულ თავგადასავალთან. აქვე იყო პირველი მედროშე კატორღიდან ახლად დაბრუნებული ბოლშევიკი-მუშა, არაქელ ოქუაშვილი.

მიტინგი დაიშალა სამ საათზე და გაემართა რკინის-გზის სადგურისაკენ, საიდანაც მიტინგის მონაწილენი წავიდწამოვიდნენ თავიანთ სახლებისაკენ.

ასე ჩატარდა პირველად პირველი მაისის დღესასწაული თვითმპყრობელობიდან განთავისუფლებულ თბილისში. მას ბუნებამაც (წვიმდა) ვერ შეუშალა ხელი.

დ.



მიტინგი რუსთაველის თეატრთან, 1 მაისი 1917 წ.

ზეიმის ჩატარების წესი

პირველმაისობის ჩამტარებელი კომისიის დადგენილება

ყველა ქვემოაღნიშნულ პუნქტებზე მიმაგრებულ იქნან ხელმძღვანელები, რომლებსაც დაეკისროთ სრული პასუხისმგებლობა მათ რაიონში მყოფ კავშირებისა და წითელი არმიის ნაწილების სწორ წყობაზე, დემონსტრაციის თავის დროული და წესიერ მოძრაობაზე, თანახმად წესის, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: „ზარია ვოსტოკა"— № 1460, „რაბოჩაია პრავდა" — № 92, (1238), „კომუნისტი" — № 92 (1847), „მუშა" — № 1329 და „მარტაკოჩი"— № 93 (1253) და, აგრეთვე, დემონსტრაციის უკეთესად ჩატარებაზე. აღნიშნულ ხელმძღვანელთა განკარგულება — მითითებანი სავალდებულოა ყველა დემონსტრანტებისათვის და ცალკე ჯგუფებისა და კავშირების რწმუნებულთათვის. ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ წითელი სახელო ნიშნები.

1-ლ კალონაში

1) „ზარია ვოსტოკას" ახალი შენობა (რუსთაველის გამზირი) — ფანცულაია, ვოლოდინი, დუბოვიცკი; 2) ლენინის ძეგლი — ს. ორჯონიკიძე, ვ. მგალობლიშვილი; 3) აფთიაქი (ყოფ. ზემელის) — ფიროშვილი, მოზერი; 4) ბელინსკისა და წყნეთის ქუჩები— ჭიალაშვილი. გრიგოლია; 5) წყნეთის ქუჩა — გრიშენკოვი, ბარამიძე; 6) მოსწავლეებს (ტეხნიკუმ. და სხ. სასწ. მე-8 და მე-9 ჯგ.) აგროვებენ და მიჰყავთ დანიშნულ ადგილზე— მეძმარიაშვილი, ბერძენიშვილი და აზარაშვილი; 7) თავისუფლების მოედანი— მესხი.

მე-2 კალონაში

1) ქალ. კომენდატის სამმართველო— გვარამაძე, მარკმანი და კლემენტიევი; 2) კომუნარების ბაღი მადათოვის კუნძულის მხრიდან — თავდგირიძე, პოველჩიკი, ერზოვი; 3) გლეხის სასახლე—თოხაძე, ლარიონოვი; 4) კარლ მარქსის მოედანი — მამულოვი, ზაირამოვი და ლიცინოვი; 5) მესანგრეთა ქუჩა, ბარიატინსკიდან — ფუნტიკოვი, ზახაროვი, სლავინი, 6) მოსწავლეებს (ტეხნიკ. და სხ. სასწავლ. მე-8—9 ჯგუფ.). აგროვებენ და მიჰყავთ დანიშნულ ადგილზე— კ. ქაცარავა, გძელიშვილი და კერესელიძე.

ორივე კალონის პიონერებს და ფიზკულტურელებს აგროვებენ და მიჰყავთ დანიშნულ პუნქტებზე: (პიონერები) ბუჯიაშვილს და ფარსეგოვს, (ფიზკულტურელები) კიკნაძეს, კვინიხიძეს, პროკოფიევს და ვერულაშვილს.

პირველ მაისობის დღესასწაულობის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე **ი. ჭელიძე.**

კომისიის მდივანი — **მ. მარკმანი.**

თქვენ დარწმუნებული ხართ ერთი მეორის გულწრფელობასა და სისპეტაკეში, მაშინ როცა ისეთებს როგორც მე ვარ საქმეს უმალავთ, [illegible]რკვევა, რომ „ციხე შიგნიდან გატყდება" თურმე... ხომ მართალია სარდიონ?!

აი ჩემთვის, აქამდე ხომ არაფერი გიცნობებიათ, ხომ არაფერს მიმხელდით საქმის ვითარებაზე, მაგრამ სრულიად შემთხვევით დღეს პოლიციის უბანში ყური მოვასწარ, რომ ხვალ დროშა ქალაქ გარედ აიმართება და რომ სახელოსნოსა და სტამბის მუშები იქ მოგროვდებიან. აი ხომ უყურებ?:

— ვის? როგორ. კილვა წამოიძახა განცვიფრებულმა სარდიონმა და საქმის ისეთი მდგომარეობით შეწუხებულმა გამშრალი ტუჩები რამდენიმეჯერ მოილოკა..

— ვისა და გულაანთ ქორიას... ის ხომ თქვენს ვიწრო წრეშია! ფრთხილად.. ფრთხილად სარდიონ!

— როგორ, განა უკვე გაცემული ვართ?

— ეგ არ ვიცი.. მხოლოდ ვამბობ, რომ საფრთხე მოველით...

— თურმე რას არ უნდა ელოდეს ადამიანი!..

— დროშის აწევა ხომ გიე სერგუას მიანდეთ?!.

— ესეც იციან?..

— იციან მაშ!..

— ეხლა როგორ მოვიქცეთ გიორგი? რას იტყვი შენ?!

— როგორ უნდა მოვიქცეთ? წავიდეთ, ვეცადოთ შეგროვება და თუ ვინიცობაა თავს დაგვესხმიან თავს ვუშველოთ.

ადგილის გამოცვლის დრო აღარ არის, საქმის გადადება ხომ სულ შეუძლებელია. მაშ რა დაგვრჩენია... ვეცადოთ შეგროვება და დროშის აწევა თუ გინდ მსხვერპლიც მოგვივიდეს, თუ გინდ სისხლიც დაიღვაროს.. .

სხვა გზა არ დაგვრჩენია... წამხდარ საქმეს მეტი არაფერი აღარ ეშველება. და „იმათთან" ანგარიშის გასწორებას ხომ შემდეგშიც მოვესწრებით!

— მაშ, შენ აღარ ხუმრობ გიორგი! დანამდვილებით იციან არა?

— რა დროს ხუმრობაა არ მესმის?..

— მაშ მაინც შევიკრიბოთ თუ გინდ მსხვერპლიც გავიღოთ არა?

— შევიკრიბოთ!..

— მოიტა ხელი გიორგი! თუ გინდ დარწმუნებულიც ვიყო იმაში, რომ ხვალინდელ დღეს მსხვერპლად შევეწირები, ვიცოდე აშკარად, რომ ჩემი ცოლშვილი ულუკმაპუროდ დამრჩება, მე მაინც სიხარულით მიუშვერ გულმკერდს მტრის გამოსროლილ ტყვიას, როცა ვხედავ, რომ ვისიც იმედი არ გვქონია დღემდის ის ჩვენ თან არის, ისეთი რწმენით, რომელიც ყველა მებრძოლს უნდა ახასიათებდეს. მაშ მივდივართ გიორგი არა?

— მივდივართ.. სთქვა გიორგიმ და ასანთი ჩააქრო, კარები გამოიკეტა და სარდიონთან ერთად გარედ გამოვიდა...

ბნელოდა...

გაზაფხულის წყნარი სიო ეკვრებოდა მთაწმინდის მიდამოებს. და მტკვრის განაპირას ბნელად მოსჩანდა გველივით გაწოლილი ნისლის ფლატები, რომელიც სარტყელივით შემოკვროდა წელზე მიძინებულ თბილისის მიდამოებს. შორს ორთქლმავალი ქშინავდა და სტვენით უფრთხობდა ძილს გზის პირად მცხოვრებთ.

გიორგი და სარდიონი სწრაფად დაეშვენ დაბლა ქალაქისაკენ და რამდენიმე წუთის შემდეგ ქუჩების ხვეულებში მიიმალენ.

ირაჟრაჟა...

ფრინველთ ჟრიამულმა ახმაურა მიძინებული მინდორ - ველი.

გაზაფხულის ბრწყინვალე მზის სხივებმა შთანთქა ღამის წყვდიადი...

უკვე გათენდა...

გიორგი და სარდიონი მიუახლოვდნენ დანიშნულ ადგილას...

ყოველი მხრიდან გროვდებიან მუშები ხელოსნები.

მოსულთა რიცხვმა მოლოდინს გადააჭარბა.

შუადღე იქნებოდა, როცა მუშათა კომიტეტის სახელით სადღესასწაულო მიტინგი გახსნილად გამოაცხადა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ. ჰაერში შრომის წითელი დროშა გაიშალა.

იგრიალა ტაშმა. გაისმა მარსელიოზა.

დროშა ეჭირა „გიე სერგუას", სარდიონი და გიორგი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდენ განაპირა კუთხეებს..

იქ იყო გიგლანთ ქორიაც...

თითქმის ყველამ დაწვრილებით იცოდა ყვავლაფერი ქორიას „საქმიანობის" შესახებ და ვინიცობაა რაიმე მომხდარიყო, ყველა მზად იყო, რათა ყაზახებს ხელში არ ჩავარდნოდენ.

არაფერს არ გრძნობდა ამის შესახებ თვითონ ქორია, რომელიც ნაძალადევათ გაბრწყინებული სახით დასტრიალებდა გარშემო ჰაერში ნაზად მობიბინე წითელ დროშას..

წარმოსთქვეს სიტყვები...

სამხრობამ მოატანა..

თვალის დახამხამება... და ქალაქის განაპირა კუთხეებიდან მოისმა ცხენების თქარა-თქური. კრების ადგილას სარტყელივით შემოერტყა ყაზახების გაშლილი ალყა...

— აღსრულდა... თითქმის ერთხმად წამოიძახა გიორგიმ და სარდიონმა...

თითქმის იგივე გაიმეორა ზღვა ხალხმა ერთხმად—ზოგმა გულში და ზოგმაც ხმამაღლა.

ქორიას ფერი ეცვალა...

სახელდახელოდ ნასესხები ყალბი ღიმილი უცბად შეაშრა პირის ბაგეზე...

ქორია არ დაიბნა... ნელნელა შეძვრა სწორედ იმ ჯგუფში, რომელთაც დროშის მოვლა-შენახვა ქონდა მინდობილი.

აქ არიან გიორგი და სარდიონიც...

იჭყივლეს ყაზახებმა.. და დაერიენ მშრომელთა რიგებს...

ხალხი გაიქცა..

ზოგი ყაზახების ცხენის ქუსლების მსხვერპლი შეიქნა, ზოგი დაიჭრა და დაშავდა მძიმედ.

„ჰკა", მაგას ამოსქდა დროშის დამცველ რაზმს ერთხმად გულიდან და იგრიალა რევოლვერმა.

ქორია უსულოდ დაეცა..

რამდენიმე წუთი და სისხლით დაიცალა ვეებერთელა მინდორი.

დარჩა რამდენიმე დაჭრილ დახოცილთა გვამები...

— ააჰ! გაისმა მწარე კვნესა დაჭრილთა შორის.

არავინა ხართ.. მიშველეთ...

მაგრამ მშველელი არავინ სჩანდა.

დაბინდდა...

წყვდიადმა მოიცვა მთლად არე-მარე.

მუშებმა ჩუმად მიაკითხეს დაჭრილ დახოცილ ამხანაგებს გამოსაყვანად...

მწუხრის ზეწარი გადაეფარა არე-მიდამოს და ბუ-ჭოტთა ჩხავილს შეუერთდა უწყალოდ დაჭრილთა მკვნესარე ხმა.

ვ. ჩ—ძე.



გაუმარჯოს — პირველ მაისს!

მაისობა თბილისში

(მოგონებანი).

25 წელზე მეტმა განვლო მას აქეთ, რაც თბილისში, შუა ბაზარში, ალექსანდროვის ბაღის გვერდით, გაიმართა მასიური დემონსტრაცია-მაისობა.

სწორედ ოცდაექვსი წელიწადია მას შემდეგ, რაც თბილისის მუშებმა ახდილად, ყველას გასაგონათ დაადასტურეს და ისტორიულად აღნიშნეს მუშათა საერთაშორისო დღესასწაულის პირველი მაისობის მიზანი და მნიშვნელობა.

საერთოდ პირველი მაისობის აღნიშვნა ჩვენში ცოტა ადრე იწყება. ის თან სდევს პირველ პოლიტიკურ გამოსვლებს, პირველ გაფიცვებს.

პირველი გაფიცვა თბილისში რკინისგზის მთავარ სახელოსნოში მოხდა 1886 წელს. ხოლო ეს გაფიცვა მოხდა უორგანიზაციოდ, სტიქიურად და გაგრძელდა სამი დღე. 1886 წელი თბილისისათვის ისტორიულია.

ამ წელში სემინარიის მოწაფე ლადიაშვილმა მოჰკლა სემინარიისავე რექტორი ჩუდეცკი. ამ მკვლელობის გამო მაშინდელმა ეგზარხოსმა დასწყევლა „ბუნტარი" ხალხი. ამ წელშივე მაშინდელმა საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ყიფიანმა ხმა აღიმაღლა ეგზარხოსის მოქმედების წინააღმდეგ. ამისათვის მოხუცი გადაასახლეს სტავროპოლის გუბერნიაში და იქ ერთ დილით თავგატეხილი იპოვეს თავის ოთახში.

1890 წლებიდან თბილისში არსდება მუშათა ორგანიზაციები.

პირველ მუშათა ორგანიზაციების პირველ წევრებათ ითვლებოდენ: ძმები ჩოდრიშვილები, არაბიაშვილი, ბოჭორიშვილი, ოქუაშვილი, კეცხოველი, ძმები ნინუები, ჩხეიძე, წეროძეები, მაჭარაძე, მერაბიშვილი, სართანია, თელია, არჩვაძე, მაღრაძეები, ფირცხალავა, სადაგაშვილი და სხვანი.

პირველი გაფიცვა რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ორგანიზაციულად მოწყობილი და ჩატარებული ხდება 14 დეკემბერს 1898 წელს და თავდება ამავე თვის 21-ს. ამავე წელს პირველ მაისს ერთი ამხანაგის ბინაზე თავს იყრის 25 მუშა და აქ დასაწყისს აძლევენ პირველი მაისის დღესასწაულს.

შემდეგი დიდი გაფიცვა იქვე ხდება 1899 წელს. ამავე წელსვე ეწყობა კერძო ბინაზევე მეორე მაისობა, სადაც მონაწილეთა გადმოცემით თავს იყრის უკვე 75 კაცამდე.

1900 წელს პირველი მაისობა იმართება ნაძალადევის მარილიან ტბასთან. აქ უკვე თავს იყრის 500 ამხანაგი. ამართულ იქნა წითელი დროშა არაქელა ოქუაშვილის მიერ. პირველ სიტყვას ამბობს ლადო კეცხოველი (პირველი არალეგალური სტამბის დამაარსებელი ბაქოში და მოკლული 1903 წელს მეტეხის ციხეში, იმიტომ, რომ მან გაბედა ფანჯრიდან გადმოხედვა). მღერიან რევოლიუციონურ სიმღერებს, სდებენ ფიცს მარქსის და ენგელსის სურათების წინაშე,—უშიშრად ემსახურონ მუშათა განთავისუფლების საქმეს. აქვე გადაწყდა მომავალი მაისობა გაიმართოს თბილისის შუაგულ ალაგას და მისცენ მას დიდი პოლიტიკური ხასიათი.

მოახლოვდა 1901 წლის პირველი მაისი. არაქელა ოქუაშვილმა გამონახა და გაამზეურა სარდაფში შენახული შარშანდელი წითელი დროშა.

სხვა ამხანაგებმა სოფლიდან ჩამოატანინეს ერთი ურემი შინდის ჯოხები.

ამხანაგ კურიერის დედამ იკისრა ჯოხებით დატვირთული ურემის შუა ბაზარში გაყვანა, სადაც ის ვითომ ჯოხებს ჰყიდის

პირველი მაისი მაშინ მოხდა ჩვენებურ 18 აპრილს. ვინაიდან ეს დღე საქმის დღე იყო, დემონსტრაცია გადადებულ იქნა 22 აპრილისათვის—კვირისათვის. გათენდა დემონსტრაციის კვირა დღე—პირველი მაისი.

შინდის ჯოხებით სავსე ურემი უკვე დანიშსთავაზობს, მაგრამ ისე ძვირად აფასებს, რომ არავინ ყიდულობს. ამისათვის ქალი სრულებითაც არ სწუხს. ის სხვებს ელის. მისი მუშტრები ფულს არ დაიშურებენ.

დემონსტრაციის დასაწყისი 12 საათით. არსენალში ამ დროს ყოველდღე ისვრიან ზარბაზანს დღესაც დემონსტრაციის დასაწყისი ნიშანი— ზარბაზნის ხმაა.

ათი საათიდან დაეტყო ბაზრის ახლო-მახლო ქუჩებს არაჩვეულებრივი მოძრაობა. გამოჩნდენ ჯოხების მუშტრებიც. ურემთან მდგომ ჯოხების გამყიდველ ქალსაც საქმე გაუჩნდა მუშები კოხტად შავ ხალათებში გამოწყობილნი და წითელი ყვავილით გულზე, ჯგუფ-ჯგუფად მიადგენ ურემს.

სხვებს რომ მანეთს უფასებდა ჯოხს, ამათ მუქთად აძლევდა. რჩევა-დარიგებასაც არ აკლებს:

— ბილეთ ჯოხები, შვილებო, და იქით წადით. იქ დგანან ჩვენები.

— თქვენ კი—მეორე მხარეს გაიარეთ!—ეუბნება ის მეორე ჯგუფს.—ერთად ჯერ ნუ შეჯგუფდებით... ჯერ კიდევ ადრეა. მხოლოდ თორმეტი დაიწყო ესაა...

— ბევრი დაგრჩა, დედი, კიდევ ჯოხები?—ჩაულაპარაკეს ახლად მოსულმა შავხალათიანებმა და, რაკი ნახეს, იქ არავინ უცხო არ იდგა, ჩასჩურჩულეს: ბევრი მოვიდენ, დედი, ჩვენები?

— ბევრი, შვილო, ბევრი! ღმერთმა გამრავლოთ! აი, ვერა ხედავთ—ცოტა-ღა დარჩა ჯოხები? ბილეთ და გასწით ბაზრისკენ...

შეიარაღდა შინდის ჯოხით მუშები. წითელ დროშას ჯიბეში მაგრად ხელს უჭერს არაქელა. ასე ჰგონია, მთელი ქვეყანა ჯიბეში უდევს.

გავარდა 12 საათის ზარბაზანი. იგრიალა შუა ბაზარში შექუჩულ ამხანაგებში „მარსელიეზის" ხმამ. ააფრიალა არაქელამ წითელი დროშა. გაჩნდა უცბათ „ტაბურეტკა". გაჩნდა გრძელი ტარი დროშისათვის... წარმოითქვა სიტყვები—მოკლედ და მკაფიოდ... და დემონსტრაცია გაემართა ალექსანდროვის ბაღისკენ...

არ სძინებია მტერსაც. პოლიცია-ჟანდარმები ჯარით კიდევ ღამე ჩამალულიყვენ ახლო-მახლო სახლების ეზოებში... ისინიც მზად იყვენ. წითელი დროშის აფრიალება და რევოლიუციონური სიმღერა—გამოდგა მტრის თავდასხმას ნიშნათ.

ხმალამოღებული უთვალავი მტერი გარს შემოერტყა დემონსტრანტებს. ისინი იწევდენ წითელი დროშისაკენ.

მაგრამ, არც ისე ადვილი იყო დროშასთან მისვლა. მას იცავდენ მაგარი და გამოცდილი ხელები. ამუშავდა შინდის ჯოხები პოლიციელების ზურგებზე. არა ერთი და ორი ყაზახი გადმოვარდა ცხენიდან.

წითელ დროშასთან კი ბრძოლა სწარმოებს. დემონსტრანტები ბაღისკენ მიიწევენ... მათი რიცხვი მცირდება. ზოგს იჭერენ, ზოგი მიწაზე გდია დაჭრილი. ჯარს კი ემატება და ემატება. არაქელა, კოლა ვიგირბინი, ლავრენტი მამალაძე, ტოტონაშვილი და სხვები კიდევ მაგრად არიან. დროშას მტერს არ ანებებენ. მამალაძემ ჯოხს ხელი გაუშვა და რევოლვერი ამოიღო ჯიბიდან. მან კიდევ ორიოდე პოლიციელი გააგორა, მაგრამ თითონაც მძიმედ დაჭრილი დაეცა მიწაზე. დაიჭირეს: არაქელა, ვიგირბინი, ტოტონაშვილი, მამალაძე და სხვები. ბევრმა ჯოხები დაყარა და თავს უშველა.

ასე დასრულდა პირველი მაისობა-დემონსტრაცია თბილისში. ბევრმა ამხანაგმა ამოჰყო თავი ციხეში და ზემოდასახელებული ოთხი ამხანაგი შემდეგ კატორღაშიც კი გადაასახლეს.

მთავრობამ თავი გამარჯვებულად გამოაცხადა. ბევრმა პოლიციელმა ჯილდოც მიიღო.

მეორე მხრით, დემონსტრაციაში მონაწილე მუშებიც თავს გამარჯვებულად სთვლიდენ. თვით ისინიც კი, რომლებიც ციხეში ისხდენ, კმაყოფილი იყვენ დემონსტრაციით.

დღეს, ოცდაექვსი წლისთავზე, ჩვენ ვუქმობთ ამ დიდებულ დღესასწაულს ისევ ერთად, ისევ ამხანაგურად, მეგობრულად. დღეს ჩვენ ყველანი ისევ ჩვენი ძველი, უტყუარი წითელი დროშის ქვეშ ვართ თავმოყრილი.

ამ წერილის დასასრულ შემომაქვს წინადადება: შუა ბაზარში, იქ, სადაც ამ ოცდაექვსი წლის წინად აფრიალდა წითელი დროშა, იქ, სადაც პირველად დაიღვარა ჩვენი ამხანაგების სისხლი; იქ, სადაც თბილისის მუშებმა ამ ოცდაექვსი წლ. წინათ მრავლად იგემეს მტრის მათრახი, ხმალი და ტყვია,—აღიმართოს ძეგლი. ხოლო მარილიან ტბის ნაპირას, 1900 წლის სახსოვრად, დაიდგას შესაფერი წარწერით პატარა ქვა მაინც.

ს. დოლიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აჭარისტანი

წყალსადენი სოფლად

ბათომი, 30 აპრილი. აჭარის წყალთა მეურნეობის სამმართველო ახლო ხანში შეუდგება წყალსადენის გაყვანას სოფ. ანგისსა, ადლიასა და თაფილ - ოღლში (ბათომის მაზრა), რომლებიც სასმელი წყლის დიდ ნაკლებობას განიცდიან. ახალ წყალსადენების საერთო სიგრძე იქნება 8 კილომეტრი. (ადს)

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 30 აპრილი. ნავთსადგურს დიდი გამოცოცხლება დაეტყო. „აზნეფტისა და „გროზნეფტს" გარდა ნავთსადგურში დგას უცხოეთის 10 გემი, მათგან 6 ნავთის საზიდი.. თავდება „აზნეფტის" დატვირთვა, რომელიც 30 აპრილს წაიღებს ჰამბურგში 5.000 ტონა მაზუთს. (ადს)

მთავარ საავადმყოფოს გაფართოვება

ბათომი, 30 აპრილი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შეუდგა მთავარ რესპუბლიკანურ საავადმყოფოს გაფართოვებას. გახზრახულია თვალის სამკურნალო და ნერვიულ ავადმყოფობათა განყოფილების გახსნა. სწარმოებს შენობის შეკეთება და ახალი სპეციალური კორპუსის მიდგმა, 20 საწოლის მოსათავსებლად. (ადს)

ქურთების გადასახლება

ბათომი, 30 აპრილი. სახკომსაბჭოს დადგენილებით ჩაქვის რაიონიდან ქობულეთის მაზრის სოფ. შუაგულში გადასახლებული იქნება 120 ქურთის ოჯახი, რადგან მათი საქონელი დიდ ზიანს აყენებდა ჩაქვის კულტურულ პლანტაციებს. (ადს)

წერილები

უნდა მოვაწყოთ მთიულები

(თელავიდან)

ცივ-გომბორის კალთებზე, ტყეში, იქა-ის გაფანტულან ფშავლების, ოსების და უმთავრესად ხევსურების პაწაწინა სოფლები. დაახლოვებით 40 ვერსის მანძილზე ერთი 40 სოფელი იქნება წამოჭიმული: ნიგური, თეთრ-წყლები, სეროდანა, სალებელი, ხველიანდრო, ნადივარი და სხვა რომლებიც ხშირად სულ 3—4 კომლისგან შესდგებიან.

მიუვალი ადგილები, უგზოობა საშუალებას არ იძლევიან როგორიმე კულტურული გავლენა მოახდინონ ამ სოფლებზე. თავის-თავად ცხადია, რომ აქ არ არსებობს სკოლები, კოოპერატივები, ძნელია საქიმო დახმარების მიწოდება, აგროდახმარება და სხვა. სიბინძურე, ჭუჭყი, ექიმბაშობა, ცრუმორწმუნეობა, ბოსტნის ყვავილებივით ჰყვავიან აქ და სპობენ მოსახლეობას.

მთავარი დარგი მეურნეობისა მესაქონლეობაა და მერძეობის პროდუქტის გასაღებით უფრო ირჩენენ თავს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ კარაქი, ყველი კეთდება პრიმიტიული წესით, საქონელს მოვლა არა აქვს, არ იციან და ამიტომ ეს მთავარი დარგი ძლივს ასულდგმულებს მოსახლეობას. კარგი კიდევ, რომ ნადირი არ გაწყვეტილა ტყეში. უამისოთ, ვინ იცის, რამდენად უფრო ძნელი იქნებოდა ცხოვრება ფშავხევსურეთში. საერთოდ ხევსურის ოჯახში რომ მიხვიდეთ, გაეცნოთ მის ყოფა-ცხოვ.—გეგონებათ, რომ მე-17 საუკუნ. გადავარდით. ამას კარგად გრძნობს ფშავ-ხევსურთა ახალგაზრდობა, რომელიც ძალიან მოყვარულია სწავლა-განათლების და კულტურისაკენ მიილტვის.

საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, ხევსურების შეჯგუფების საკითხი, ადგილობრივ ხელისუფლების მიერ მორიგ ამოცანად იყო ცხობილი. ეს მით იყო საჭირო, რომ ხევსურების ასე დაქსაქსვა ტყეებში, სადაც ყველა წყაროები და კახეთის გაღმა მხარის მდინარეების სათავეა, ძალიან ანადგურებდა და სპობს ტყეს. ამ მოვლენას კი რა მოსდევს, ეს უკვე კარგათ იამა კახელმა ხალხმა: არ გაივლის წელი, რომ მდინარე თურდომ ან კისის-ხევმა არ წალეკოს სახნავ-სათესი, ბაღ-ბოსტანი, ვენახი და ხშირად არ წაიღოს მთელი მეკომურები თავიანთი ქონებით. მაზრის ხელისუფლებამ გადაწყვიტა თეთრ-წყლების მიდამოებში ხევსურების მოქუჩება.

ამას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ზოგიერთ შეძლებულმა ხევსურებმა, რომელთაც აქა-იქ ბევრი საძოვრებიც აქვთ და გატეხილი სახნავი მიწებიც, რომელნიც ერთგვარი გავლენით სარგებლობდნენ ხალხზე და მომხრენი იყვნენ ძველი ადათ-ჩვეულებებისა. მათ ეშინოდათ დამორჩილებული და მონა-მორჩილი ხალხი არ გასხლტომოდათ ხელიდან. მეორეს მხრივ, მიწის მოწყობის დროს მათ ჩამოეჭრებოდათ მიწებიც. წავიდნენ უმაღლეს მთავრობაში და შეაჩერებინეს საქმე.

ეხლა, 19 მარტს, თელავის მაზრის საბჭოების მეხუთე ყრილობაზე, ხევსურების წარმომადგენლებმა დაბეჯითებით მოითხოვეს: „გამოგვიყვანეთ ტყიდან; მოგვეცით სკოლები, კოოპერატივები, აფთიაქი და სხვა. ნუ უგდებთ ყურს გოგოჭურებს და სხვა ჩვენ კულაკებს". სამაზრო ყრილობამ გაიზიარა ეს აზრი და დაადგინა: „მოწყობილ იქნას ხევსურები". იმედია, ამის შემდეგ მაინც არაფერი შეაჩერებს ამ საქმეს.

ალაზნელი.

თეატრიც გვექნება

(ზ. მუხრანი, დუშეთის მაზრა)

სიდიდით მუხრანი მაზრაში პირველი სოფელია, მცხოვრებთა რიცხვი ათას კომლს აღწევს. საქართველოს გასაბჭოებამდის, ეს სოფელი უკულტურობაში ლაფავდა სულს. ჰქონდა ერთი სამ განყოფილებიანი სკოლა, სამი მასწავლებლით, სადაც დაიარებოდა 30-50 ბავშვი.

ერთი წიგნსაცავ-სამკითხველო, რომელშიც წიგნები არც კი იყო. სოფელს არ ჰქონდა თეატრი და კლუბი. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეიდანვე მდგომარეობა არსებითად შეიცვალა:

დღეს გვაქვს საბავშვო ბაღი,— რომელშიაც არის მასწავლებელი 2 და ბავშვი 60. ოთხწლიანი შრომის სკოლა 9 მასწავლებლით 400 ბავშვით. სოფლის ახალგაზრდობის სკოლა 4 მასწავლებლით და 400 ბავშვით. სულ 15 მასწავლებელი და 500 ბავშვი.

ნაცვლად 3 მასწავლებლის და 40 მოწაფისა, დღეს გვყავს 15 მასწავლებელი და 500 მოწაფე.

გვაქვს კარგად მოწყობილი სათემო სამკითხველო, წიგნების და ჟურნალ-გაზეთების სათანადო რაოდენობით.

დღეს თეატრი მოთავსებულია ყოფილ მემამულის, მუხრანსკის სარდაფში. ეს შენობა სათეატრო მუშაობისათვის მეტად შეუფერებელია. დარბაზი პატარაა და ძლივს იტევს 100 მაყურებელს, სცენა ვიწროა, რომელსაც არა აქვს: საპირფარეშო, დეკარაციის და რეკვიზიტის შესანახი ადგილი. დარბაზში საშინელი სინესტის და შმორის სუნი სდგას. აქ ზამთარზაფხულ გამუდმებით ცივა.

დარბაზში დაგებულია ფილაქანი. ხშირია შემთხვევა, როდესაც ქვევრის პირზე აგური ტყდება და მაყურებელს ხიფათი ელის. ამგვარ პირობების გამო შენობაში სიცუფთავის დაცვა ყოვლად შეუძლებელია.

ამრიგად ჩვენს თემში ბევრია გაკეთებული, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტია. პროფკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ და სახალხო სახლის აშენების საქმე უახლოეს ამოცანად დაისახა. ამ მიზნით 19 მარტს თავის გაერთიანებულ კრებაზე მან გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა თეატრის საამშენებლო ფონდის შექმნა 3.000 მანეთის ფარგლებში. ვფიქრობთ ეს საკითხი დროული და მომწიფებულია. იმედია ამ მიზანსაც ადვილად მივაღწევთ.

ელიოზოვი.

უმართებულო ბრალდება

ჩვენი გაზეთის მე-80 №-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სუფსიდან (გურია), რომლის ავტორი ბრალს დებდა ტეხნიკოსებს დ. ქურხულს და ზ. ბაქრაძეს, თითქოს ეს უკანასკნელნი ყოველდღე ქეიფობდენ და აგრეთვე უდიერათ ეპყრობოდენ მუშებს.

ამ საქმის გამოსარკვევად დანიშნული იყო კომისია, რომლის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ არც ერთი ბრალდება სიმართლეს არ შეეფერება.

ჩვენი ნაკლი

(ქ. ლანჩხუთი, გურია)

გასულ წელს მოწინავე მუშაკების მიერ დაარსებული იქნა „ლანჩხუთის პროფკავშირთა კლუბი". გვეგონა, რომ ეს კლუბი მაინც დაიწყებდა კულტურულ მუშაობას, მაგრამ იმედები გაგვიმტყუნდა. ის დღეს მოგვაგონებს ყავახანას. არავითარ მუშაობას აქ ადგილი არა აქვს. მასში ვერ იპოვი ვერავითარ ჟურნალ-გაზეთებს გარდა იმისა, რომ იქ არის ნარდი,,კარტი და ლოტო.

3 წელია დაიწყო საბავშვო ბაღის შენება, მაგრამ არაფერი გაკეთებულა, ტყუილად ცდება მიწა. აქაურ ხალხის კულტურული გასართობი დროის ტარება სადგურის ბაქანზე გასეირნებაა და მატარებლის შეხვედრა.

არა ერთხელ იყო გაზეთის ფურცლებზე ამას წინათ აღნიშნული ქოხ-სამკითხველოების უმოქმედობა და კულტმუშაობის სისუსტე. გვეგონა ახალი საბჭო მაინც მიაქცევდა ამას ყურადღებას, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს.

საბჭოს მიერ გამოყოფილი კულტსექცია ჯერ-ჯერობით არავითარ მუშაობას არ ეწევა.

ვ. წე—ლი.

წითელ ჯარში

თბილისის გარნიზონის წითელარმიელთა მეშვიდე [illegible] კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა მოუნდა [illegible] და დემეტრაშვილის [illegible]. [illegible] გამოვიდნენ წითელარმიელ[illegible] [illegible] მსვლელობას [illegible] წითელარმიელთა და უმცროს მეთაურთა დატვირთვა სხვადასხვა დავალებებით.

შეეხენ რა სკოლის გარეშე მუშაობას, გამოსთქვეს ის აზრი, რომ საჭიროა ამ მუშაობას დაეთმოს მეტი დრო, რადგან იგი აძლევს წითელარმიელთ სოფლად გამოსადეგ ცოდნას.

აღნიშნულ იყო აგრეთვე ბიბლიოთეკებში წიგნების სიმცირე ქართულ ენაზე, მეტადრე სამხედრო დარგისა, რაც აბრკოლებს მეცადინეობას. ნაკლებათ არის აგრეთვე ისეთი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია ახლად წერა-კითხვა შესწავლილთათვის.

ნაკლთან ერთად კამათში მონაწილეებმა აღნიშნეს მიღწევებიც.

ამხ. კვირიკას და დემეტრაშვილის საბოლოო სიტყვების შემდეგ, კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები მოხსენებების ირგვლივ, რითაც დასრულდა კონფერენციის მუშაობა.

მეცადინეობა ქიმიაში

ზამთრის პერიოდის განმავლობაში ჯარის ნაწილები ქიმიას თეორეტიულად გადიოდენ.

წითელ-არმიელნი ეცნობოდნენ სიტყვიერად სხვადასხვა გაზების მოქმედებას, საშუალებებს მათთან საბრძოლველად, ქიმიურ ომის წარმოებას და სხვა.

ეხლა, როდესაც დამთავრებულია საზამთრო სწავლება და შეიძლება გასვლა ველად, დაიწყო წითელ-არმიელთა პრაქტიკული მეცადინეობა ქიმიაში.

ველად მოწყობილია მიწური სახლები. აქ ხდება ქიმიური აღრჩოლება და ქიმიური „ნათვლა".

ყოველდღიურად წითელ არმიელნი, შეიარაღებულნი ნიღბებით, მიდიან სამეცადინო მინდვრებისაკენ, რომ უფრო ნათლად გაიცნონ გაზების მოქმედებას.

მიწურ სახლებში უშვებენ სხვადასხვაგვარ მომწამლულ გაზებს; წითელ არმიელი, შეიარაღებულ ნიღაბით, შედის სახლში, სადაც მან უნდა დაჰყოს რამოდენიმე ხანი მოწამლულ ჰაერში.

იქვე არის ექიმი, რომელიც უჩენს დახმარებას იმათ, ვინც რაიმე მიზეზის გამო მოიწამლება გაზით.

რათა წითელ არმიელთ ჰქონდეთ წარმოდგენა, თუ როგორ მოქმედებს ორგანიზმზე ცოცხალ ორგანიზმზე. მიწურებში უშვებენ ძაღლებს და კატებს, რომლებიც მყისვე იხოცებიან. ამის შემდეგ ექიმი სჭრის მათ და ნათლად უჩვენებს არმიელებს, თუ როგორ ცვლილებას განიცდიან ფილტვები გაზების გავლენით.

მიწურებში ხდება აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციების „ქიმიური ნათვლა".

17 აპრილს „მონათლენ" (ცენტრ. პარტსკოლის კურსანტები, კომკავშირის ზოგიერთი ორგანიზაციები, ცეცხლის მქრობელი რაზმის მომუშავენი, სულ რიცხვით 300 კაცი.

ი.

ძვირფასი კულტურა

წელს მანდარინების ბაღების გაშენებას კერძო გლეხურ მეურნეობაში ეძლევა ფართე ხასიათი. მუშაობას ამ მიმართულებით აწარმოებენ როგორც სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებები, ისე საკრედიტო ამხანაგობები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. მარტო აჭარის „წარმოკავშირმა" საგაზაფხულო სეზონის დამდეგს ქობულეთის სანერგეებიდან დაარიგა 50 ათასი ცალი მანდარინის ნერგი.

მანდარინის ნერგები სოფლებში გასავრცელებლად ქობულეთის და ჩაქვის სანერგეებიდან შეიძინეს აგრეთვე ზუგდიდის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებმა.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ზუგდიდის მაზრაში მანდარინების ბაღების გასაშენებლად თავის საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით გლეხებს მისცა გრძელვადიანი სესხი 12 ათასი მანეთის რაოდენობით სასოფლოსამეურნეო ბანკის იმავე განყოფილებამ ჩაის პლანტაციების გასაშენებლად გლეხობას საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

მოსე ცხოიძის ხსოვნას

კომპარტიის ძველ ბოლშევიკურ გვარდიას კიდევ გამოაკლდა ერთი თავდადებული მებრძოლი — ამხ. **მოსე ცხოიძე**, რომელიც გამოსასალმა სიცოცხლეს თვითმპყრობელობის და ქართული მენშევიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში „შეძენილმა" ჭლექმა.

მოსეს რევოლიუციური ბუნება განსაკუთრებით გამოსჭვივოდა უკანასკნელი რვა-ცხრა წლის განმავლობაში, როცა გაძვალტყავებულ მის ორგანიზმში სამუდამოთ დაიბუდა განუკურნებელმა სენმა: სწორეთ ამ ხანებში იწვოდა იგი ნამდვილ რევოლიუციური ცეცხლით ჩვენი საერთო საქმისათვის.

ვინ იცის (ან და უფრო სწორეთ—ძველ რევოლიუციონერებში ვინ არ იცის), რა განიცადა ამხ. მოსემ თავის რევოლიუციურ ბრძოლის გრძელ მანძილზე: დევნა, ციხეები, განსაკუთრებით ჯოჯოხეთური ქ. ნიკოლაევის კატორღა, ცარიზმის საშინელი და გაუთავებელი „ეტაპი", „ცოცხალთა საფლავი" — გაყინული ციმბირის უზარმაზარი უდაბნო, კიდევ დევნა და კიდევ ციხეები მენშევიკურ საქართველოში... მიუხედავათ ამისა, ამხ. მოსე არა თუ ვერ გასტეხა, ვერ დააბუნა, ვერ გალუნა გაწამებულმა სიცოცხლემ, არამედ პირიქით—კიდევ უფრო გააკაჟა და „გააჯიუტა" იგი, ვინაიდან კიდევ უფრო და უფრო შესძულდა ფეოდალურ - ბურჟუაზიულ — „დემოკრატიული" რეჟიმი, უფრო და უფრო ღრმათ შეიგრძნო მისი ძირფესვიანათ ამოფხვრის საჭიროება და კომუნისტური იდეალისათვის თავზე ხელაღებული ბრძოლის აუცილებლობა.

რევოლიუციური ფანატიზმი, პროლეტარული გულწრფელობა, ნამდვილი ამხანაგობა-მეგობრობა, გურული იუმორი - ხუმრობა, გადამდები მხიარულება, რიხი, „ლარლილი", მხნეობა, გულგაუტეხელობა, იმედიანობა, გაბედულობა, — აი ის თვისებები, რისთვისაც გვიყვარდა ჩვენ იგი.

მასში განხორციელებული იყო ძველი რევოლიუციონერის ორი უდიდესი ღირსება: უანგარობა და საზოგადო საქმისათვის თავდადება.

ღარიბი გურული გლეხის შვილი, ფაცხაში სიმწრით გამოზრდილი, მშობლიურ ანაბანას ძლივს მცოდნე, სიჭაბუკეში გადატყორცნილი შავი ზღვის პორტებზე სამუშაოთ, ამხ. მოსე დიდი გატაცებით დაეწაფა მარქსის რევოლიუციურ მოძღვრებას და მალე გახდა თავდადებული ხელმძღვანელი ადგილობრივ მუშათა მასებში.

მშვიდობით მოსე! შენ ვერ დაგივიწყებენ შენი თანამებრძოლნი, მეგობარ - ამხანაგები, რომელნიც განაგრძობენ ეკლიანი გზით სიარულს საბოლოო გამარჯვებამდე.

თ. კალანდაძე.

საქართველოს ტყეები

(ტყის დღის გამო)

ჩვენში ბევრი ტყე უკვე მოისპო, ან ჩვენ თვალწინ ისპობა. ეს გარემოება იმდენად სცვლის ჩვენი ქვეყნის შეხედულობას, ტყეების ხასიათს და მის შემადგენლობას, რომ ცოტა ხნის შემდეგ ვეღარც კი წარმოვიდგენთ—ჩვენ ქვეყანას რა სახე ჰქონდა ახლო წარსულში. დაცვა ისეთი ჯიშისა, რომელიც წინად გავრცელებული იყო ბევრ ქვეყნებში და ეხლა კი მხოლოდ საქართველოში გადარჩა (და თუ დაცული არ იქნება, ჩვენშიაც მოისპობა), დიდი და ფასდაუდებელი სამეცნიერო საქმეა. ამისთანა ჯიშები საქართველოში ბევრია. აგრეთვე დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ იმ პირვანდელ მრავალსაუკუნიან ტყეებს, რომელიც ზოგიერთ ადგილას გადაგვირჩა. ამ გადარჩენილ ჯიშებს მარტო სამეცნიერო მნიშვნელობა როდი აქვთ,—მათ ხშირად აგრეთვე დიდი სამეურნეო მნიშვნელობაც აქვთ.

ძალიან ხშირად ისპობა მეტის-მეტი ძვირფასი ჯიში, რომლის მოსპობა დიდი დანაკლისია ჩვენი სატყეო მეურნეობისათვის. ასეთია წაბლი, რომლის ტყეები საკვირველი სისწრაფით ნადგურდება. ეს ხე ჩვენი ტყეების უძვირფასეს ჯიშს ეკუთვნის თავის მარდი ზრდით, მაგარი, ლამაზი და ფრიად გამძლე მერქნით, თავის გემრიელი და ნოყიერი ნაყოფით, რომელსაც შეუძლია პურის მაგივრობა გასწიოს; ასეთივეა ურთხელა-უთხოვარი, რომლის ფრიად გამძლე, ლამაზი და წითელი მერქანი სავალიუტო საქონელს შეადგენს; სავალიუტო საქონელს იძლევა აგრეთვე ოდესღაც ფრიად გავრცელებული, ეხლა კი ნახევრად მოსპობილი ძვირფას მერქნიანი ჯიში—ბზა; ძვირფას ჯიშს ეკუთვნის აგრეთვე მარდი მოზარდი ძელქვა, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით ისპობა. დიდი ღირსებები აღმოაჩნდა ელდარის ფიჭვს, რომელიც სამაგალითოდ იტანს უწყლო და ხმელ ჰავას და ნიადაგს. ამ ჯიშების გადარჩენას არამც თუ მარტო მეცნიერება გვიკარნახებს, არამედ თვით პრაქტიკული მოსაზრებანიც.

დაცული ბუნების ძეგლების საშუალებით შესაძლებელი იქნება ამ ჯიშების ზრდა-განვითარების პირობების შესწავლა. მათ მაგალითებზე იქნება დამყარებული ამ ჯიშების მეურნეობის წარმოება,, ხელოვნური და ბუნებრივი გატყეების შესაძლებლობა, მერქნის თვისებების და მისი გამოყენების საშუალების შესწავლა და [illegible] და სხვ.

ჩვენი ჯიშებით დაინტერესებული არიან არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერნი, არამედ უცხოეთის მეცნიერებიც, რომელნიც იშვიათი ჯიშების შესასწავლად არა ერთხელ [illegible]ვიან ჩვენ ქვეყანას და არა ერთხელ ეწვე[illegible] შემდეგშიაც.

ელდარის ფიჭვი.

ქვევით მოვიყვანთ იმ ტყის კორომების, ჯიშისა და ადგილების მოკლე სიას, რომელიც [illegible]ბის ძეგლად უნდა იყოს ცნობილი. [illegible] ბუნების ძეგლად ცნობილი იყოს ელდარის ფიჭვი, რომელიც ივრის მარჯვენა მხარეს, [illegible] არის მთებზე [illegible]რის გავრცელებული. ეს [illegible] მით არის შესანიშნავი, რომ იზრდება ახლა მეტის-მეტად ხმელ და ხრიოკ მთაზე, 450 მეტრის სიმაღლიდან 600 მეტრამდის. აქ მას უჭირავს 3—4 კილომეტრი სიგრძე და ნახევარი კილომეტრი სიგანე არე. ამ არეზე ფიჭვი თითო-ოროლა ხეთ სდგას 500—1000 ცალამდე. სხვა ქვეყნებში ეს ჯიში არსად მოიპოვება. სიმაღლე ხეებს მცირე აქვთ, ის არ აღემატება 12—15 მეტრს, ალბათ ნიადაგისა და ჰავის სიხმელის გამო. მისი დიამეტრი 40—60 სანტიმ. ძლივს აღწევს. ხეები მრუდე, დატოტვილი და დაკოჟრებულია. იმ პირობებში, რომელშიაც ფიჭვი თავის სამშობლოში იზრდება, შეუძლებელია, რომ მას უკეთესი შეხედულობა ჰქონდეს, მაგრამ უკეთეს პირობებში ფიჭვი ალბათ უფრო მარდი მოზარდი უნდა აღმოჩნდეს და სწორე ტანისაც გაიზარდოს, ეს ასეც არის. თბილისის ხმელ ჰავას ის კარგად იტანს და აქ უფრო კარგადაც იზრდება, ვიდრე თავის სამშობლოში.

ჩვენი მიწსახკომის სატყეო განყოფილება ამ ფიჭვის გავრცელებას ენერგიულად შეუდგა,—ელდარში შეგროვილი თესლიდან ზრდის ნერგებს და ავრცელებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ამნაირი ცდით შესაძლებელი იქნება ამ ფიჭვის თვისებების შესწავლა. ელდარის ფიჭვი ამნაირად ახალ სამშობლოს იპოვის. მაგრამ, რასაკვირველია, ფრიად სასურველია ამ ჯიშის შენარჩუნება ელდარის ველზე, იქ, სადაც ეს იშვიათი ჯიში აღმოჩენილი იყო. ამიტომ ელდარის ფიჭვი ბუნების ძეგლად უნდა იქნას ცნობილი.

ბიჭვინთის ფიჭვი.

საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილია მეორე ჯიშის ფიჭვი, რომელიც აგრეთვე მხოლოდ საქართველოში იზრდება. ეს **ბიჭვინთის ფიჭვია.** იგი ბიჭვინთის სრუტეს ირგვლივ ხშირ, მაღალ და სწორეტანიან კორომში იზრდება. კორომის სივრცე არ აღემატება 200 ჰექტარს. ეს ფიჭვიც, როგორც ელდარის ფიჭვი, გადარჩენილია გეოლოგიურ ხანიდან: თავის გირჩებით და წიწვებით ეს ჯიში ძალიან წააგავს ელდარის ფიჭვს, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ელდარის ფიჭვი ხმელ ჰავასა და ნიადაგს შეეგუა, ბიჭვინთის ფიჭვი კი—ზღვის რბილ ჰავას.

ეს ფიჭვი თუმცა ბუნების ძეგლად არის ცნობილი, მაინც მას არა ჰქონდა შესაფერი დაცვა. საქონელი სძოვდა, ნებადაურთველად სჭრიდენ, მოუვლელობის გამო გაჩენილი იყო კანიჭამია ხოჭო. ამ ჯიშის გადასარჩენად საბჭოთა აფხაზეთის ხელისუფლება შესაფერ ზომებს ღებულობს.

ურთხმელა

კახეთში **ბაწარას ხეობაში**, ალაზნის მარჯვენა მხარეს, აღმოჩენილია **ურთხმელნარი** (უთხოვნარი) მოედნით 400 ჰექტარამდე. საქართველოში ეს ჯიში თუმცა კარგათ გავრცელებულია, მაგრამ კორომის სახე მხოლოდ ბაწარის ხეობაში აქვს. დანარჩენ ადგილებში თითო-ოროლა ხეების სახით სხვა ჯიშებთან არის შერეული. უთხოვარი უწინ (გეოლოგიურ ხანაში) მთელ ევროპაში იყო გავრცელებული, მაგრამ იქ ბევრგან უკვე მოისპო, გადარჩენილია ინგლისში რამდენიმე დიდი (2000 წლის) ხნის ხეები, რომელიც აქ ბუნების ძეგლად არის ცნობილი. როგორც შევიტყვეთ, აჭარისტანში აღმოჩენილია ფრიად დიდი, მსხვილი და მრავალსაუკუნიანი ურთხმელა, დიამეტრით სამ მეტრამდე. ბაწარის ხევის ურთხმელნარი, როგორც იშვიათი ბუნების ძეგლი არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა და თვით მსოფლიო მასშტაბით, უნდა დაცული იყოს. დაცვას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები უთხოვარს წმინდა ჯიშათ სთვლიან და მისი მოჭრა დიდ ცოდვათ მიაჩნიათ. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ამ კორომის გადარჩენა; ეს ჯიში ყველგან მოისპო იმის გამო, რომ უთხოვარს მეტად ძვირფასი, ლამაზი და ფრიად გამძლე მერქანი აქვს.

ბოყვი.

სიღნაღის სატყეოში, **ლაგოდეხის აგარაკში**, 1912 წელს გამოყოფილი იყო მდინარე ლაგოდეხის და ახტალის ხეობა, მოედნით 8.500 ჰექტარამდე, და ის ცნობილი იყო ბუნების ძეგლად. აქ აკრძალულია საქონლის ძოვება და უფასოთ ხე-ტყის გაცემა. ამ ბუნების ძეგლში დასაცავია ბოყვი, რომელიც მხოლოდ ალაზნის გაღმა იზრდება (საქართველოს გარეშე ეს ჯიში გვხვდება აგრეთვე ნუხის და ლენქორანის ტყეებში), წაბლი და ის იშვიათი მცენარეები, რომელნიც ნაპოვნი იყო მხოლოდ ლაგოდეხის ხეობაში და შეადგენენ გეოლოგიურ, მესამე ხანიდან დარჩენილ, მცენარეებს (ეს მცენარეები დედამიწის ზურგზე სხვაგან აღარსად გადარჩა).

შავი ტყე

ბორჯომის საკურორტო მამულში, ლომის მთის სიახლოვეს, ნაკვეთი „შავი ტყე" ძევს. კორომის არე 24 ჰექტარს უდრის. იგი შესანიშნავია თავის სიხშირით და მეტად მსხვილ (დიამეტრი 2 მეტრამდე) ნაძვებით და სოჭებით. აღმოსავლეთ საქართველოში ამაზე დიდი ხნის და საუკეთესო ნაძვნარი აღარსად არის გადარჩენილი. ზოგიერთი ხე 500—600 წლ. მეტისა იქნება, ხეების სიმაღლე 40 მეტრს აღემატება. ჩვენი ქვეყანა ორმოცი-სამოცი წლის წინად ჯერ კიდევ ფრიად მდიდარი იყო თავის უღრანი, მრავალსაუკუნიანი ტყეებით. ამისთანა ტყის კორომები ამ მოკლე ხანში თითქმის ყველგან მოისპო. შემდეგში თუ არ დავიცავთ ამ ბუნების ძეგლს, ნიმუშათაც აღარსად დაგვრჩება ამისთანა ტყეები. ჩვენი ჩამომავლობა, რომელსაც ალბათ დაუტოვებთ მოკორტნილ ბუჩქნარს, ვერც კი წარმოიდგენს, რა ტყეები ყოფილა საქართველოში. შავ ტყეს, თუ კი ის შესაფერად იქნება დაცული, უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობაც ექნება. სასურველია ამ ძეგლის შემოღობვა და შიგ მუდმივი სანიმუშო არეს გამოყოფა, სადაც სამეცნიერო დაკვირვება უნდა სწარმოებდეს. იმავე დროს ბუნებრივი პირობები ხელუხლებლივ უნდა იყოს დაცული.

ნალვრევის ტყე.

ბორჯომის საკურორტო ტყეში, სოფ. დაბას გვერდით, ნაკვეთი „ნალვრევი" ძევს. ნაკვეთი ფრიად ხშირ და კარგად შენახულ ნაძვნარსოჭნარ ტყეს წარმოადგენს. მთა, რომლის კალთებზე ეს ტყე შეფენილი არის, ადვილად იშლება და ირეცხება; ნიადაგს აქ მხოლოდ ტყე იჭერს, ნალვრევის ნამქვლევები დიდად სურათს წარმოადგენს, იგი კარგად მოსჩანს როგორც ცემიდან, ისე ლიბანიდან. ტყის ნაკვეთი ნალვრევი, მოედნით სამას ჰექტარამდე, კარგათ არის დაცული, რადგანაც სამი მხრივ ძნელად გადასავალი საზღვრებით არის შემოზღუდული. „ნალვრევის" ნიადაგი იმდენად ადვილად და სისწრაფით ირეცხება, რომ უფრთხილესი სატყეო მეურნეობაც კი აქ დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ამ კორომის დაცვით და ბუნების ძეგლად გამოცხადებით ჩვენ საუკეთესო და იშვიათი სიხშირის სოჭ-ნაძვნარი კორომები შეგვრჩება. რადგანაც საზღვრები ამ კორმს სამი მხრით თითქმის გადაუვალი აქვს, ამიტომ მისი დაცვაც დიდ ხარჯებსაც არ მოითხოვს.

სახეცვლილი ფიჭვი

გარე-კახეთის სატყეოში (თბილისის მაზრა), **მარიამჯვრის აგარაკში**, დიდ ინტერესს წარმოადგენს ერთ-ერთი ხევი, რომელზედაც ფიჭვი იზრდება. ეს ფიჭვნარი მით არის შესანიშნავი, რომ ჩვეულებრივი შეხედულების ფიჭვის გარდა, აქ თითქმის ფიჭვების მესამედს არაჩვეულებრივი სახე აქვთ: ბევრია ნახევარბურთი[illegible], პირამიდალური და სხვა შეხედულების ფიჭვები. სახეცვლილი ფიჭვი იშვიათად გვხვდება სადმე, თუ ის სადმე არის, ისიც ერთ რომელიმე თავისებურობით განირჩევა, აქ კი ფიჭვმა იჩინა მეტის-მეტი მრავალფეროვანი ცვალებადობა. ეს ხევი, მოედნით 30—40 ჰექტარი, ბუნების ძეგლათ უნდა იყოს ცნობილი, შემოღობილი და შესაფერად დაცული. მეცნიერების თვალსაზრისით იგი დიდ ინტერესს წარმოადგენს.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ჩვენში ისეთი ტყის ჯიშები იზრდება, რომელიც სხვაგან იშვიათია, ან უფრო ხშირად არ არის. ამისთანა ჯიშებს ეკუთვნის წაბლი, ძელქვა, ბზა, მთის მუხა გურიაში, ცხმაზა გურიაშივე, უხრავი (შავი რცხილა), კევის ხე, დათვის თხილი, ტვია (ანუ ღვია) და სხვ.

წაბლი

ფრიად სასურველია **წაბლის** საუკეთესო კორომი სადმე გამოიყოს და ბუნების ძეგლად გამოცხადდეს. მართალია ეს ჯიში უცხო ქვეყნებში და ჩვენში, დასავლეთ საქართველოში, მთის დაბალ და შუა კალთებზე და აღმოსავლეთ საქართველოში ალაზნის გაღმა ხშირად გვხვდება, მაგრამ წაბლის ხე ან დაბერებულია, ან მრუდე გადაბერებული და დაფუღუროებული არის მხოლოდ გადარჩენილი, ესეც იმიტომ, რომ ამნაირი ხეების გამოყენება ალბათ შეუძლებელი იყო. რომ წინად საქართველოში ხშირი ყოფილა სწორე, მსხვილი და მაღალი ტანის წაბლნარი, ამას მოწმობს ბევრ ადგილას გადარჩენილი წაბლის ხის სახლები. წაბლის მოსპობას ხელს უწყობს მისი მეტის-მეტად გამძლე და ლამაზი მერქანი. მაგრამ, საუბედუროდ, თუ არ იქნება რაიმე ღონისძიება მიღებული, შეიძლება წაბლი სრულიად მოისპოს ჩვენს ტყეებში, რადგანაც მოზარდ წაბლს ჭიგოთ და ხარათ ხმარობენ; ხშირია ისეთი შემთხვევებიც,, როცა ცოცხალ ხის ქერქს აძრობენ, რის შემდეგ ხე ძირიანად ხმება და ამონაყარის უნარიანობას ჰკარგავს. ხალი ტყის მეურნეობა მოითხოვს, რომ არამც თუ დაცული იყოს ის, რაც არის, არამედ ხელოვნურად იყოს გაშენებული ყველგან, სადაც კი მისი გაშენება შეიძლება, ან სასურველია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წაბლი საუკეთესო ტყის ჯიშს ეკუთვნის თავისი მარდი ზრდით, სამაგალითო გამძლე, მაგარი და ლამაზი მერქნით და თავისი გემრიელი და ფრიად სასარგებლო ნაყოფით. დათესვით და დარგვით იგი ხელოვნურად უნდა გაშენდეს. სასურველია, ჩვენი გარეული წაბლის გაუმჯობესება, ამისათვის შეიძლება თესლი უცხო ქვეყნიდან (საფრანგეთიდან) გამოვიწეროთ, სადაც უკვე აშენებენ მარდ-მოზარდ წაბლს, გემრიელი და მეტად მსხვილი ნაყოფით. მაგრამ ჯერ-ჯერობით უნდა დაცული იყოს ის მოზარდი წაბლის კორომები, რომელიც მცირე არეებით იზრდება ტყიბულის, წაბლარის-ხევის და სხვ. აგარაკებში. ფრიად საჭიროა, თუ ყველგან არა, ტყიბულის აგარაკში მაინც წაბლარი ცნობილი იყოს ბუნების ძეგლად, აქ შეიძლება გამოიყოს 30—40 ჰექტარამდე წაბლარი და შემოიღობოს ის. მის დასაცავად ზომები მალე უნდა იქნას მიღებული.

ძელქვა

შესანიშნავ და იმავე დროს ფრიად იშვიათ ჯიშს **ძელქვა** ეკუთვნის. ძელქვა მარდი მოზარდი ხეა, გამძლეა და დიდი ხანი ცოცხლობს. გავრცელებულია ჩვენში უმთავრესად ქუთაისის მაზრაში ბარში და მთის კალთებზე ქვეითა მხარეს. ძელქვა საკვირველი სისწრაფით ისპობა და მის მაგიერ ახოები ფართოვდება. გადარჩენილია მცირე არეებზე ვარციხის და აჯამეთის აგარაკში, ისიც ახალგაზრდა ხეები. ძელქვა უფრო ხშირად მუხასთან იყო შერეული, თუმცა წმინდა კორომებშიაც იზრდებოდა. თითოოროლა მაღალი და მსხვილი ხე ზოგიერთი სოფლის სიახლოვეს გადარჩა, მაგალითად, ჩხარის რაიონში, სოფ. სიქთარუაში, თვით ქუთაისში და სხვ. სასურველად მიგვაჩნია ვარციხის ან აჯამეთის აგარაკში გამოიყოს 10—20 ჰექტარი ძელქვნარი და ბუნების ძეგლად იყოს ცნობილი.

ბზა

დასავლეთ საქართველო ნახევარ საუკუნის წინ ჯერ კიდევ მდიდარი იყო ბზით. ჩვენს დროში ამ ჯიშის მოზრდილი კორომები თითქმის ყველგან მოისპო. საკვირველიც არ არის, რადგანაც **ბზა** ფრიად ძვირფას, სავალიუტო საქონელს იძლევა; ჩვენში არ იყო ამ ჯიშის რიგიანი მეურნეობა,—ბზას სჭრიდენ ყველგან, სადაც კი ადვილი მისადგომი იყო, საბაზრო ზომის ბზა იზრდებოდა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ბზარნარი გოგნის აგარაკში, შორაპნის და ქუთაისის მაზრების საზღვარზე და აფხაზეთში, მეტადრე ბზიბის ხეობაში. ბზა ფრიად მძიმეთ იზრდება, 15—20 სანტიმეტრის (3—4 ვერშოკის) სიმსხოს და 5—6 მეტრის (7—9 არშინს) სიმაღლეს 200—300 წელს ძლივს აღწევს. ჩვენი აზრით, სასურველი იქნება 50 ჰექტარამდე გამოიყოს საუკეთესო ბზის კორომი გოგნის აგარაკში და ბზიბის ხეობაში და ეს ადგილები ბუნების ძეგლად იყოს ცნობილი. თუ თავის დროზე არ იქნება ეს ზომა მიღებული, შეიძლება ცოტა ხანში ბზა აქაც მოისპოს და შემდეგისათვის მისი ნიმუშიც კი აღარ დაგვრჩეს. ისტორიული ცნობებით, საქართველოდან საზღვარგარეთ (საბერძნეთში, გენუაში და სხვ.) გადიოდა ბზა მე-10—12 საუკუნოებში. ბზა მაშინ ზღვის პირას იზრდებოდა, ეხლა კი შეგვრჩა მიუდგომელი და ზღვიდან დაშორებულ ადგილებზე.

მთის მუხა

გურიის სატყეოში მუხუტას აგარაკის ჩრდილოეთ ნაწილში იზრდება ფრიად იშვიათი ტყის ჯიში— **მთის მუხა (პონტის მუხა)**, რომელსაც ბუჩქის სახე აქვს და 3—4 მეტრის სიმაღლეს ძლივს აღწევს. მისი ფოთოლი წაბლს წააგავს. რადგანაც მთის მუხის მერქანი საშენებელ მასალად არ გამოდგება, ამიტომ მას ჯერ-ჯერობით მოსპობა არ ემუქრება. მისი პატარა კორომები აჭარაში და აფხაზეთშიაც არის. სასურველია გურიაში, სადაც იგი შედარებით კარგ კორომს ჰქმნის, 10—15 ჰექტარის მოედანზე ამ მუხის ბუნების ძეგლი გამოიყოს და შემოიღობოს.

ჯერ-ჯერობით აქ ჩამოთვლილ ჯიშებით შეიძლება ვიკმაროთ. შემდეგში იშვიათ ჯიშების დასაცავათ სასურველი იქნება გამოყოფილი იყოს თანდათან შემდეგი ჯიშების კორომები: ცხმაზა (გურიაში), დათვის თხილა (ბორჯომის ან ბორჩალოს რაიონში), უხრავის (ბორჯომის რაიონში), კევის ხე, ან სალსალაჩი და მაღალტანიანი ღვია ან ტვია (იგივე ფანქრის ხე)—შირაქის სატყეოში. ეს ხეები იშვიათ ჯიშებს ეკუთვნიან და ფრიად ძვირფასი მერქანიც აქვთ. მათ დაცვას ექნება არა მარტო სამეცნიერო, არამედ გამოყენებითი მნიშვნელობაც. ზოგი მათგანი, როგორიც არის კევის ხე და ღვია, ფრიად ხრიოკ, ცხელ და მშრალ ნიადაგზე იზრდება, და ამიტომ ხმელ სატყეო მეურნეობისათვის ფრიად გამოსადეგნი არიან.

დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვით, რომ აქ ჩამოთვლილ ჯიშებით ამოიწურება ჩვენი ტყის ძვირფასი და იშვიათი ჯიშების შემადგენლობა, ვინაიდან ჩვენი ტყეები ჯერ შესწავლილი არ არის.

უნდა დავიცვათ ხის ცალკე ჯგუფები

წინათ, ხანამ სარწმუნოებას თავის ძალა ჰქონდა, მოსახლეობა ეკლესიების და სალოცავების ირგვლივ პატარ-პატარა ტყის კორომებს იცავდა, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ დღესასწაულების დროს კორომების ქვეშ თავი შეეფარებინათ. საქართველოში, მეტადრე მის აღმოსავლეთ ნაწილში, ზოგიერთ ადგილას მხოლოდ ეს კორომები-ღა გადარჩა. კორომები ცოცხალი მოწმეა მისი, რომ აქ ოდესღაც ირგვლივ ტყე იზრდებოდა. ბევრგან ამ სალოცავებმა და ხატებმა უკვე დაჰკარგეს თავისი ძალა და მნიშვნელობა, სამაგიეროდ მათ გარშემო კორომებს არ დაუკარგიათ და არც დაჰკარგავენ თავის მნიშვნელობას. ეს კორომები მაჩვენებელია მისი, რომ მოტიტვლებულ, გადამხმარ და უდაბნოთ გამხდარ მიდამოების ტყით ამწვანება შესაძლებელია. ამავე კორომების საშუალებით შეგვიძლია შევისწავლოთ, რა ჯიშების გაშენება შეიძლება, და უფრო მიზანშეწონილია ამ ათუ იმ რაიონში. ამიტომ ამ კორომების დაცვა საჭიროა, რისთვისაც იგი ბუნების ძეგლად უნდა იყოს ცნობილი.

ბუნების ძეგლად ცნობილი უნდა იყოს არამც თუ მარტო კორომები, არამედ შესანიშნავი თავის სიდიდით, ხნოვანებით, ან ისტორიული მოგონებით **ცალკე მდგომი ხეები**, როგორც ეს ხდება ევროპაში. ჩვენში ბევრგან უკვე მოისპო ამისთანა ძეგლები და, თუ არ იქნება თავის დროზე შესაფერი ზომები მიღებული, მოისპობა დანარჩენი ხეებიც. ამიტომ უნდა იყოს მიღებული ყოველივე ზომები, რომ გადარჩენილ იქნეს დანარჩენი ხეები, რისთვისაც საჭიროა მათი აღრიცხვა და ბუნების ძეგლად გამოცხადება.

ალპიის მინდვრები

ტყის კორომების და ხეების გარდა, ბუნების ძეგლად უნდა იყოს ცნობილი ისეთი სამაგალითო ან **სანიმუშო** ადგილები, რომელთაც სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ, რომელნიც განიცდიან ადამიანის, საქონლის მიზეზების გამო დიდ ცვალებადობას, თუ ასე გაგრძელდა, ისინი დაჰკარგავენ თავის პირვანდელ ბუნებრივ სახეს. ასეთ ადგილებს ეკუთვნის ალპიის მინდვრები, წყავნარი, შქერნარი, მაჰალვერნარი, ძეძვნარი და სხვ. მცირე არეები ამ ადგილებისა უნდა დაცული იყოს, რადგანაც მათ მოსპობასთან ერთად, ისპობა, როგორც ის მცენარეები, რომელნიც მათ სდევს, აგრეთვე ის ცხოველებიც, რომელნიც შიგ ბუდობენ. მოვიყვანთ ერთ პატარა მაგალითს. გურიაში აგარაკ ბახმაროს ირგვლივ ალპიურ საძოვრებში ღორებმა საძოვრები ათხარეს და მოსპეს ბევრი ისეთი მცენარეები, რომელნიც თავის ფესვით მრავლდებოდა. რადგანაც საქონლის ძოვის გამო აქ ჰყვავის ნაყოფიერდება მხოლოდ ეკლიანი მცენარეები, რომელსაც საქონელი ვერას აკლებს, ამიტომ ათხრილ და ამნაირად დასათესად მომზადებულ ადგილზე ითესება ეკლიანი მცენარეები, ალპიური საძოვრები კი ჰკარგავენ თავის სახეს. მაგრამ უფრო ხშირად ამ ათხრილ ადგილს, წვიმის წყალი რეცხავს და ხევებსა და კლდეებს აჩენს.

პატარა-პატარა არეები (ზოგან საკმარისი 2—5 ჰექტარი), თუ ისინი ცნობილი იქნენ ბუნების ძეგლად, საშუალებას მოგვცემენ შევისწავლოთ ხელუხლებელი ბუნება და ის ცვლილება, რომელიც ადამიანს და მის საქონელს შეაქვს დანარჩენ ადგილებზე. ამ მიზნით უკრაინაში სტეპების (მინდვრების) უცვლელად გადასარჩენად გამოყოფილია რამდენიმე ათასი ჰექტარი (ტავრიდის გუბერნიაში, დნეპროვის მაზრა), აქვე, უკრაინაში, ბუნების ძეგლად არის ცნობილი „ასკანია ნოვა".

პროფ. ს. ქურდიანი.

ელდარის ფიჭვი

ელდარის ველზე, შირაქის სატყეოში. გადაღებულია 1927 წ.

ფასების დაკლება ტრამვაის ბილეთებზე

რამდენიმე ხნის წინათ თბილისის აღმასკომის კომუნალურ სექციამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც მიენდო ტრამვაის ტარიფის შემცირების საკითხის დამუშავება.

ამ კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ ტრამვაის დირექტორმა ამხ. ფარნიევმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა და გამოიმუშავა შემდეგი გეგმა ტრამვაის ტარიფის შემცირებლად ტრამვაით სამგზავრო წლიური სახელობითი ბილეთებით, რომლებიც დღეს ღირს 220 მანეთი, ეღირება 120 მანეთი წლიური უსახელო ბილეთები, რომლებიც ღირდა 440 მანეთი, ეღირება 180 მანეთი.

თვიური სააბონემენტო (30 ფურცლიანი) წიგნაკების ფასი 1 მ. 50 კაპეიკიდან შემცირდება 1 მ. 20 კაპეიკამდე. წიგნაკები მიეცემა როგორც დაწესებულებებს, აგრეთვე კერძო მოქალაქეებს. კომისიის დასკვნით შემცირებული იქნება აგრეთვე ჩვეულებრივ ბილეთების ტარიფი, ზოგიერთ მარშრუტებზე, როგორიც არის მე-3, 4 11 და 12 მარშრუტები (სადგური-თავისუფლების მოედანი, სადგური-რიყე). ამ მარშრუტებზე 15 კაპიკის ნაცვლად (პირდაპირ) დაწესებული იქნება სამგზავროთ 10 კაპიკი, ამას გარდა განზრახულია სასაკლაოსაკენ მიმავალ რონოდებზე ბილეთების ფასი დაკლებულ იქნას 5 კაპიკამდე (ეხლა არის 10 კაპ.).

კომისიის დასკვნას ამ დღეებში განიხილავს კომუნალური სექცია და თბილისის საბჭო, რის შემდეგ ტრამვაის ახალი ტარიფი გატარდება ცხოვრებაში.

ტრამვაის ახალი ხაზი

ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა შუა ბაზარში დაიწყო.

გუშინ, 30 აპრილს, ნაშუადღევს, თავისუფლების მოედნიდან შუა ბაზარში ახლად გაყვანილ ტრამვაის ხაზზე პირველად იქნა გაშვებული ტრამვაი.

ტრამვაის ეს ხაზი თავისუფლების მოედნიდან სომხის ბაზარში გავლით უერთდება ანოხოვთან ორთაჭალაში მიმავალ ლიანდაგს.

ჯერ - ჯერობით ტრამვაის რონოდა ივლის ერთ ხაზზე. ახლო ხანში გაყვანილი იქნება მეორე ხაზი და მაშინ ამ მიმართულებით იმუშავებს რამდენიმე რონოდა.

ახალი გზის გაყვანის გამო მიმოსვლა იწარმოებს შემდეგი მიმართულებით: ლენინის ქუჩა —(საბებიო ინსტიტუტიდან დაწყებული) თავისუფლების მოედანი - რიყე - ორთაჭალა. მთელი გზა გაიყოფა ორ უბნად; პირველი უბანი: ლენინის ქუჩიდან - თავისუფლების მოედნამდე; მეორე უბანი: თავისუფლების მოედნიდან ორთაჭალამდე.

ახალი ქარხანა

ს. მ. უ. ს. მიერ გადაწყვეტილია თბილისში აგებულ იქნეს გაერთიანებული დიდი ლითონის ნაწარმოებთა დასამზადებელი ქარხანა. ახალ ქარხანაში გაერთიანებული იქნება ლითონტრესტის კუთვნილი რამოდენიმე ქარხანა. ქარხნის ასაგებ ადგილის გამოსარკვევად ს. მ. უ. ს. მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე აირჩია ადგილი დიდუბეში, მაუდის ფაბრიკის გვერდით.

გუშინ მოსკოვიდან მიღებულ იქნა ცნობა, რომ ახლო ხანში აღნიშნული საკითხის დაწვრილებით შესასწავლათ, თბილისში ჩამოვა საკავშირო ს. მ. უ. ს. სამრეწველ - საგეგმო განყოფილების კომისია. აღნიშნული კომისია დაათვალიერებს ლითონის ტრესტის ყველა იმ ქარხნებს, რომლებიც უნდა იქნენ გაერთიანებული დიდუბის ქარხანაში. კომისია გამოარკვევს აგრეთვე, თუ რა ახალი მოწყობილობების შეძენა იქნება საჭირო ახალი ქარხნისათვის.

შემნახველი სალაროები

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ამიერ-კავკასიის ცენტრალური შემნახველ სალაროს გამგემ ამხ. საკიანმა შემნახველ სალაროების მუშაობის შესახებ აცნობა შემდეგი: ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში ითვლება 453 შემნახველი შრომის სალარო, რომლებშიაც ირიცხება 24.303 წევრი. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში სალაროების წევრთა რიცხვი გაიზარდა 59 პროცენტით (მანამდე ითვლებოდა 15.281 წევრი). მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ყველა სალაროებში ითვლებოდა ანაბარები 1.417.877 მანეთის რაოდენობით; 1 აპრილისათვის ეს თანხა გაიზარდა 2.316. 645 მანეთამდე, ე. ი. 63 პროცენტით.

ცალკე რესპუბლიკების მიხედვით შემნახველ სალაროებში ითვლებოდა: 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის—საქართველოში: 232 შრომის სალარო 8.257 წევრით და 558.248 მან. ანაბარებით; აზერბეიჯანში: 127 სალარო, 5231 წევრით და 749.269 მანეთით; სომხეთში: 82 სალარო, 1793 წევრით და 110.360 მანეთით.

ხოლო მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის: საქართველოში—237 სალარო 13.103 წევრით და 926.132 მანეთით, აზერბეიჯანში: 130 სალარო 8.516 წევრით და 1.203.547 მანეთით; სომხეთში: 86 სალარო 2.685 წევრით და 186.963 მანეთის ანაბარებით.

პროცენტულად ამ ნახევარი წლის განმავლობაში ანაბარების რაოდენობა გაზრდილია: საქართველოში 74 პროც., აზერბეიჯანში — 57 პროც. და სომხეთში—56 პროცენტით.

სალაროების წევრთა სოციალური შემადგენლობა მთელ ამიერ-კავკასიაში ასეთია: წევრთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს შეადგენს მუშები; 58 პრ.—მოსამსახურეები, 3 პროცენტს გლეხები, 5 პროც. დაწესებულებები და სხვ.

2.316.645 მანეთიდან სალაროებში მუშებს შეუტანიათ მთელი თანხის 15 პროცენტი, მოსამსახურეებს—44 პროც., დაწესებულებებს 24 პროცენტი; ყველაზე ნაკლები აქვს შეტანილი გლეხებს—1 პროცენტი.

ღამის გასათევი სახლი

თბილისის აღმასკომის ტეხნიკურ კომისიაში განხილულ იქნა პროექტი თბილისში ღამის გასათევ სახლის აგების შესახებ.

პროექტის თანახმად სახლი უნდა იყოს ორ სართულიანი და უნდა დაიტიოს 250 კაცი.

სახლი უნდა აშენდეს რკინისგზის სამმართველოს ახლოს.

სახლის აშენების ღირებულება გამოანგარიშებულია 200.000 მანეთის ფარგლებში. ეს თანხა უკვე გადადებულია.

პროექტში განხილვის დროს შეტანილ იქნა ზოგიერთი შესწორებები; იგი უმთავრესად შეეხო შემდეგს:

დასაძინებელი ოთახები, როგორც პირველი ისე მეორე სართულში უნდა იყონ მიმართული მზისაკენ. სახლში უნდა იყოს სპეციალური ოთახი ავადმყოფთა იზოლიაციისათვის. აგრეთვე უნდა მოეწყოს სადეზინფექციო ოთახი იქ ვატარდებიან ყველა კლიენტები, რომელთაც ჩამოერთმევათ ტანისამოსი და რომლებიც მიიღებენ სუფთა საცვლებს და დაიძინებენ. მეორე დღეს მათ კვლავ დაურიგდებათ თავისი, უკვე გასუფთავებული ტანთსაცმელები.

მასიური ექსკურსია

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ც. გ. კულტგანყოფილება ორშაბათს, 2 მაისს, მართავს მცხეთაში დიდ მასიურ ექსკურსია-გასეირნებას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს დაახლოვებით 1000-მდე კაცი.

ექსკურსიისათვის მუშკოოპი აწყობს საკვებ პუნქტებს. ფიზკულტურის წრეები მოაწყობენ სხვადასხვა თამაშს და შეჯიბრებას.

მონაწილეობას იღებენ კავშირის სამხატვრო წრეები.

შესაკრებ ადგილად დანიშნულია სადგური, მოედანზე, დილის 9 საათზე. მატარებელი გავა სრულ 10 საათზე.

ექსკურსია უკან დაბრუნდება მცხეთიდან საღ. 5 საათზე.

ექსკურსიის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად მოწვეულია ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილების საექსკურსიო ბიუროს გამგე ამხ. ქშონზერი.

შავი ზღვის რკინის გზა

შავი ზღვის რკინისგზა ამჟამად მიყვანილია ზუგდიდამდე. მუშაობა გზის გასაგრძელებლად ამჟამად შეჩერებულია.

იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია გზის გაყვანის გაგრძელების საკითხი, ჩვენს თანამშრომელს მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულმა შავი ზღვის რკ. გზის აღმშენებლობის ხელმძღვანელმა და საქ. გზატკეცილთა სამმართველოს უფროსმა ინჟ. ა. გ. კაციტაძემ შემდეგი აცნობა:

შავი ზღვის რკინისგზის ზუგდიდის იქით გაყვანის საკითხი მთლიანად არის დამოკიდებული ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების საკითხზე.

ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების საკითხი საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიაში პრინციპიალურად მიღებულია და ეხლა ის უნდა განიხილონ საკავშირო ს. მ. უ. საბჭოში.

თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, შეუდგებით გზის გაყვანას ოჩემჩირემდე, საიდანაც ტყვარჩელისაკენ ცალკე შტო იქნება გაყვანილი.

დიდი შანსებია იმისა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების საკითხი დადებითად გადაწყდება.

გზის ზუგდიდში გაყვანის საკითხი უკვე გადაწყვეტილია ცენტრში. ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოში შემუშავებულია ამ საქმის სპეციალური ხარჯთაღრიცხვა. ზუგდიდში გზის გასაყვანად საჭირო იქნება დაახლოვებით 1.850.000 მანეთი.

აქედან მუშაობის დასაწყებათ უკვე გადადებულია 200.000 მანეთი.

უკვე დაწყებულია გამოკვლევითი სამუშაოების წარმოება.

ზაჰესის ენერგიაზე

გუშინ საღამოს ნავთლუღის რაიონის გამანათებელი ქსელი გადაყვანილ იქნა ზაჰესის ელდენზე.

ამრიგად 30 აპრილის საღამოს ჟამს თბილისის მთელი გამანათებელი ქსელი გადავიდა ზაჰესის ენერგიაზე. ქალაქს ელდენს აწვდის პირველი და მესამე ტურბინი. მეორე და მეოთხე ტურბინები საბოლოოდ მზად იქნებიან 15 მაისისათვის.

საქართველოს ცაკში

რამდენი დაიხარჯა სოც. უზრუნველყოფის საქმეზე.

საქართველოს ცაკის სოც. უზრ.-ყოფის განყოფილებამ 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან (ექვს თვეში) 1927 წლის პირველ აპრილამდე სოც. უზრუნველყოფის საქმეზე (პენსიებზე, დახმარებებზე და თბილისში არსებულ საინვალიდო სახლების შესანახად) დახარჯა 124.673 მანეთი და 66 კაპეიკი.

დახმარება საბავშვო სახლს.

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ ლეჩხუმის საბავშვო სახლს მისცა დახმარება ხუთასი (500) მანეთი.

ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად.

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ გასული თვის (აპრილის) პირველ რიცხვებში რევოლიუციის, სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პირებისათვის და ომის ინვალიდებისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად გაუგზავნა გორის სამაზრო აღმასკომს: 2.196 მანეთი, დუშეთის სამაზრო აღმასკომს—1.068 მანეთი, ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს—1.098 მანეთი, ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომს—840 მან., ქუთაისის სამაზრო აღმასკომს—2.964 მან., შორაპნის სამაზრო აღმასკომს—3.588 მან., სიღნაღის სამაზრო აღმასკომს—1.452 მან., თელავის სამაზრო აღმასკომს—834 მან., რაჭის სამაზრო აღმასკომს—354 მან., ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს—2.130 მან., სენაკის სამაზრო აღმასკომს—1.386 მან., ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს—588 მან. და ახალციხის აღმასკომს—216 მანეთი.

კონფერენციები

ახლო ხანში ყველა პროფკავშირების ხაზით ჩატარებული იქნება საწარმოო და ეკონომიური კომისიების კონფერენციები სამეურნეო მუშაკების მონაწილეობით.

კონფერენციების მოწვევის მიზანია საწარმოო თათბირების მუშაობის დეფექტების გამორკვევა და სამეურნეო მუშაკებთან ერთად კონკრეტიულ ღონისძიებების გამომუშავება ამ თათბირების მუშაობის გასაცხოველებლად.

კონფერენციებზე განხილული იქნება აგრეთვე საკითხი ჯილდოების მიცემის შესახებ გამომგონებლებსა და საქმიანი წინადადებების ავტორებისათვის.

კონფერენციები მოწვეული იქნება: ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში—5 მაისს, მკვებავების კავშირში—18 მაისს, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირში—10 მაისს, ხის დამამუშავებელთა კავშირში—9 მაისს, კომუნალურ მუშაკთა კავშირში—4-6 მაისს და მელითონეთა კავშირში—3 მაისს.

კონფერენციები უკვე ჩატარებულ იქნა ქიმიკოსთა, მეტყავეთა და მედსანშრომის კავშირებში.

კომუნალურ მუშაკთა ყრილობა

მეექვსე სხდომა.

გუშინ, 30 აპრილს, შესდგა ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობა და სარევიზიო კომისია.

ცენტრალურ გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: დ. მარიამიძე, ლ. თავდგირიძე, გ. ბეჟანიშვილი, ვ. იტრიევი, ომაროვი, თევზაძე, გედევანიძე, ემელიანოვი, თრმოცაძე, თათარაშვილი, არველაძე, ჟურავლიოვი, არაბიძე, ქანთარია, ავაქოვი, ს. ელბაქიანი, ჯღამაძე, ტერ-არუთინოვი, გაბაშვილი, ხაჩატუროვი, თუმანიშვილი და ახმეტელაშვილი.

კანდიდატებად: ვარნაზოვი, გასპაროვი, თელერაშვილი, ბახმეტოვი, ვართანოვი, გვილავა, გამრეკელი და ერგემლიძე.

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: ამხ. შვაცმანი, მეგრაბიანი და წერეთლიშვილი.

კანდიდატებად: რაზგოევი და შაუტაშვილი.

გუშინვე შესდგა ახალი ცენტრალური გამგეობის სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მარიამიძე, თავდგირიძე, ბეჟანიშვილი და ომაროვი.

ქრონიკა

პირველ მაისის წინა დღით

გუშინ დილიდან მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა სამზადისი პირველ მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად. საბჭოთა, პარტიულ პროფესიონალური და საზოგადოებრივი დაწესებულებათა შენობები შემკულ იქნენ ყვავილებით, გირლიანდებით—და ელექტრონის აფერადებული სანთლებით. საღამოს მთელი ქალაქი გაშუქდა ზაჰესის ძლიერი ელდენის ფერადული სინათლით.

ბოტანიკური ბაღის გვირაბის გახსნა

დღეიდან ბოტანიკური ბაღის გვირაბი გახსნილია დილიდან ვიდრე საღამოს 7 საათამდე.

საფეიქრო სინდიკატის რწმუნებული

საბჭოთა კავშირის საფეიქრო სინდიკატმა თავის რწმუნებულად ამიერ-კავკასიაში დანიშნა ამხ. რატუშევი.

ამხ. რატუშევი უკვე ჩამოვიდა თბილისში და შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას.

თათბირი პირველი მაისის ჩატარების შესახებ

გუშინ პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა კავშირის ც. გ., კლუბების, სამხატვრო და დრამატიულ წრეების, ს. კ: პ: (ბ) და ა. ლ. კ. კ. რაიკომების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული იქნა პირველი მაისის ზეიმის ჩატარების დაწვრილებითი გეგმა.

ექსკურსია ქალაქ-გარეთ

ხვალ მცხეთაში მიემგზავრება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის წევრთა მასიური ექსკურსია ამხ. ქშონზერის ხელმძღვანელობით.

ექსკურსანტებს მიყვება მსახიობები, გუნდები და ფიზკულტურის წრეები. ექსკურსია თბილისში დაბრუნდება საღამოს.

პირველი დახმარების წრეები

საქართველოს წითელი ჯვარი თბილისში და სამაზრო ქალაქებში ხსნის პირველი დახმარების წრეებს.

მოწვეულნი არიან სპეციალური ლექტორები ექიმებისაგან. თითოეულ წრეში იმეცადინებს 50-მდე მსმენელი მუშა-მოსამსახურეებისა და აქტიურ გლეხებისაგან.

თბილისში დაარსდება—16 წრე და სამაზრო ქალაქებში—42.

თბილისის აღმასკომში

◆ **ხეების დარგვა ქუჩებში.** კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა დიდი ქუჩების ორივე მხარეებზე დაარგოს ხეები.

◆ **კლუბების მოწყობა სკოლებთან.** საზაფხულო არდადეგების დროს განზრახულია მაზრის სკოლებში მოეწყოს დროებითი კლუბები. სადაც გლეხებისათვის გაიმართება კინო-სურათების ჩვენება. წარმოდგენები და ლექცია-საუბრები.

◆ **მანგლისის ელსადგურის** გასაფართოებლად აღმასკომმა გადასდო 20.233 მანეთი.

◆ **წყალსადენი სოფლად.** სოფ. ლელუბანში (ავჭალაშია) წყალსადენის გასაყვანად გადაიდო 2.000 მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ექიმბაშობასთან ბრძოლის მიზნით** ჯანსახკომმა მაზრებში მომუშავე ექიმებს დაავალა ზაფხულის განმავლობაში სისტემატიურათ მოაწყონ გლეხებისათვის ლექცია-საუბრები.

◆ **აბორტების წინააღმდეგ.** ჯანსახკომი იმუშავებს დადგენილებას, იმ ექიმების პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც გააკეთებენ აბორტს აუცილებელ საჭიროების გარეშე.

◆ **სამალიარიო რაზმები.** ჯანსახკომი დასავლეთ საქართველოში და კახეთში აგზავნის ექიმების რაზმებს მალარიასთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

◆ **დახმარება ლენინაკანს.** ა.-კ. სას.-სამ: ბანკმა ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიიღო 250.000 მანეთი ლენინაკანის მაზრის საჭიროებისათვის.

◆ **სესხი.** აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სესხად გასცა 2.797.000 მანეთი.

რადიო-გადაცემის პროგრამა 1 მაისისათვის

◆ **მოხსენება პირველი მაისის შესახებ:** რუსულ ენაზე საღ. 7-დან—7½ საათამდე, ქართულ ენაზე—7 ნახ.—8 საათამდე, სომხურ ენაზე—8-დან 8½ საათამდე.

◆ **„ტეხნიკური კონსულტაცია“**—საღ. 8½-დან 8 საათ. და 50 წუთამდე.

◆ **„ადს“-ის ინფორმაცია**—საღ. 8 საათ. და 50 წუთიდან—9 საათ. და 10 წუთამდე.

◆ **კონცერტი** ღამის 9 საათ. და 10 წუთიდან—11 საათამდე.

კრებები და მოხსენებები.

◆ **თბილისის საბჭოს განათლების სექციის სხდომა.** სამშაბათს, 3 მაისს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია განათლების სექციის სხდომა აღმასკომის დარბაზში. დღის წესრიგი: კომისიების წევრთა არჩევნები, მოხსენება სკოლებში საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობის შესახებ, სასკოლო შენობათა შეკეთების საკითხები და მიმდინარე საკითხები.

◆ **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგი საჯარო სხდომა შესდგება სამშაბათს, 3 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათზე საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში. წესრიგი: სერ. ჯიქიას მოხსენება—„ხმოვანთა ასიმილიაციის შემთხვევები იმერულსა და გურულში“ და ვარ. თოფურიას მოხსენება: „აფხაზურ ელემენტებისათვის სვანურში“.

◆ **ცენტრალურ საინჟენერო ბიუროში.** ხუთშაბათს, 5 მაისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ინჟენერ-ტეხნიკოსთა საერთო კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძის მიერ წაკითხული იქნება მოხსენება „სრულიად საქართველოს მე-3 საინჟენერო ყრილობის შესახებ“.

◆ **ნადი „ელდენი“-ს გამგეობა,** წესდების 78 მუხლის თანახმად, იწვევს წევრების საერთო არაჩვეულებრივ კრებას 3 მაისს, საღამოს 7 ს. კრება შესდგება გამგეობის კანტორაში, თავისუფლების მოედანი—ყოფ. თამამშევის ქარვასლა, დარბაზი № 30308.

შემთხვევები

◆ **მკვლელობა.** 22 აპრილს, საღამოს 10 საათზე სოფ. მუღანლოში მოკლული იქნა ნოვრუზ დილან-ოღლი. მკვლელი ყული მართუზოღლი, აბათ აბაზ-ოღლი და ირზა ალული ასანოღლი შეპყრობილნი არიან.

◆ **ქურდობისათვის** 29 აპრილს შეიპყრეს მიხეილ ბაბაიანცი.

◆ **მეურნეების გაქურდვა.** 29 აპრილს შეიპყრეს ფირუზა აბელის ძე მარტიროზოვი, რომელსაც ბრალდება მაგისტრალის ქუჩაზე მდებარე გომურში მეურმეების გაქურდვა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 29 აპრილს ალასლანოვის ქ., № 28, გაქურდეს იოსებ აჯიბაბუდოვის ბინა, წაიღეს 150 მ. ნივთ.

◆ ამავე დღეს აჯამეთის ქ., № 6, გაქურდეს არუტან მასქუტიანცის ბინა.

◆ **რკ. გზის თბ. სადგურზე** მოქ. აჭრონ ოგანესიანცისთვის პალტოს მოპარვისათვის შეიპყრეს ნიკოლოზ თეოფილეს ძე გუდიაშვილი.

◆ **ქურდობის განზრახვისათვის** დააპატიმრეს თედორე ჩავერდოვი.

◆ **სხვადასხვა ქურდობის ჩადენისათვის** შეიპყრეს მანუკა სარქისიანცი.

◆ **ცოლის მოკვლა.** 27 აპრილს საღამოს 6 საათზე სოფ. მარტყოფში ვანო ბაბეთიშვილმა ხანჯლით მოკლა თავისი ცოლი.

უმუშევართა აღრიცხვა

შრომის სახ. კომისარიატის ცნობით, საკავშირო შრომის კომისარიატმა გამოსცა ახალი დადგენილება შრომის ბირჟაში უმუშევართა აღრიცხვის შესახებ. ეს დადგენილება ვრცელდება ამიერ-კავკასიის და, კერძოთ, საქართველოს შრომის ბირჟებზედაც. დადგენილების ძალით, შრომის ბირჟებში აღრიცხული უნდა იქნან შემდეგი კატეგორიის უმუშევრები: კვალიფიციური მუშაკები, რომელთაც შრომის ბირჟაში აღრიცხვამდე უმუშავნიათ დაქირავებით უკანასკნელ წლის განმავლობაში, თუგინდ ერთი თვე. არაკვალიფიციური პირები, რომელთაც შრომის ბირჟაში აღრიცხვამდე უკანასკნელ წლის განმავლობაში უმუშავნიათ არა ნაკლებ ექვსი თვისა; მუშა-მოსამსახურეთა შვილები (არა უმეტეს 21 წლისა); სპეციალურ სასწავლებლების კურსდამთავრებულნი; სეზონური მუშები (მუშაობის სტაჟის მიუხედავად)

შრომის ბირჟის აღრიცხვაზე აყვანილი უმუშევრები შრომის ბირჟაში უნდა გამოცხადდენ წელიწადში ორჯერ: 1 იანვარს და 1 ივლისს. სამუშაოზე გაგზავნის დროს უპირატესობა ეძლევა პროფკავშირის წევრებს და იმ უმუშევრებს, რომლებიც სამუშაოზე გაგზავნის მხრივ გათანასწორებული არიან პროფკავშირის წევრებთან.

აგროდახმარება

საქ. მიწად - მოქმედების კომისარიატმა სასოფლო მეურნეობის დარგში გეგმიანი მუშაობის წარმოების მიზნით მაზრებზე მიამაგრა აგრონომები, რომელთაც ევალება ყველა სამაზრო ორგანიზაციების აგრო-კულტურული მუშაობის შეთანხმება, დახმარების გაწევა ადგილობრივ ორგანოების გეგმიანი მუშაობისათვის, მაზრებში სასოფლო - სამეურნეო საჭიროებათა გამოაშკარავება და სხვ.

ბამბის თესვა

კახეთში უკვე დაიწყო ბამბის მცენარის თესვა, წელს კახეთში დათესილ იქნება სულ 1.200 დესეტინა, თბილისის მაზრაში 1.500 დესეტინა, ბორჩალოს მაზრაში 3.000 დესეტინა და დასავლეთ საქართველოში 2.000 დესეტინა. დასავლეთ საქართველოში ბამბის მცენარის დათესვას ხელს უშლის გამუდმებული წვიმები. ბამბის საჩვენებელი მიწის ნაჭრები 120 ადგილას დახნულია და ნაწილი უკვე დათესილია. ითესება „კინგის“ ჯიშის ბამბის მცენარე. არც ერთ მებამბეობის რაიონში ინვენტარი საკმარისი რაოდენობით არ მოიპოვება.

ხელოვნება

ხელოვნების მუშაკთა კავშირის შუამდგომლობა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე, რომ რუსთაველის თეატრის სცენის დამსახურებულ ტეხნიკოსს და მემანქანეს კონდრაშევს მიეკუთვნოს „შრომის გმირის“ სახელი.

მუშა-მსახიობის ჯაბაურის იუბილე.

მუშა-მსახიობის ჯაბაურის სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავის შესრულების გამო, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა გადაუხადოს მას იუბილე. იუბილეს მოსაწყობად გამოყოფილ იქნა საინიციატივო ჯგუფი.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა, რათა მსახიობ ჯაბაურს მიეკუთვნოს რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობის სახელი.

ხელოვნებათა სასახლე.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირმა იჯარით აიღო შენობა, სადაც ეხლა მოთავსებულია თეატრი „მინიატიურ“-ი (ყოფ. „ჩემო“-ს სახლში, რუსთაველის პროსპექტზე). ამ შენობაში კავშირი ხსნის ვანო სარაჯიშვილის სახელობის ხელოვნებათა სასახლეს.

კავშირის კლუბი უკვე გადავიდა ახალ შენობაში. ეხლანდელ რუსულ თეატრიდან „მიუსიკჰოლლ“-იდან კავშირი ადგენს შრომის კოლექტივს, რომელმაც ხელოვნებათა სასახლის ადმინისტრაციასთან ხელშეკრულება უნდა დასდოს ამ შენობის იჯარით აღების შესახებ.

აჭარისტანის (ბათუმი) სახელმწიფო აკადემიური დრამის გასტროლები ქუთაისში.

აჭარისტანის სახელმწიფო დრამის გასტროლები ქუთაისში შესდგება 6 მაისიდან 12 მაისამდე სამხატვრო ნაწილის გამგის და მთავარი რეჟისორის აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით. რეპერტუარი: ს. ტრეტიაკოვის „იღრიალე ჩინეთო“ და ნ. შიუკაშვილის—„ამერიკელი ძია“; დადგმები აკ. ფალავასი, „სამეგრელოს მთავარი ლევან“—ყოფ. ვახტ. მჭედლიშვილის სახელობის მოსკოვის ქართული დრამ. სტუდიის დადგმით.

ხსენებულ დადგმათა დეკორაციები, ტანისამოსები, ბუტაფორია და რეკვიზიტი უკვე გადაგზავნილია ბათუმიდან ქუთაისში. დასი იკრიბება ქუთაისში 5 მაისს დილით.

დასს თან მოჰყვება საკუთარი ორკესტრი ბათუმიდან ვ. კორშონის დირიჟორობით.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ხოშიკას წიგნი.** რედაქციამ მიიღო ხოშიკას წიგნი „ინფორმაცია“—„შრომის“ გამოცემა. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს 28 კაპ.

◆ **საჩვენებელი საღამო.** 4 მაისს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ამავე კონსერვატორიის საკომპოზიციო კლასის სტუდენტთა საჩვენებელი საღამო.

◆ **ცნობილ რუსი პიანისტი ბოროვსკის ორი** კონცერტი გაიმართება 6 და 7 მაისს ოპერის თეატრში.

◆ **ახალგაზრდა პიანისტის ანდრო ხვანიძის** კონცერტი გაიმართება 3 მაისს კონსერვატორიაში.

◆ **ვანო სარაჯიშვილის და ლადო მესხიშვილის** ძეგლების ასაგებათ ხელოვნების განყოფილებამ გადასწყვიტა შექმნას სპეციალური ფონდი.

◆ **რუსთაველის დრამის სეზონი დაიხურება** დღეს. მიდის „ზაგმუკ“.

◆ **პროლეტარულ მწერალთა ანთოლოგია.** ამ დღეებში გამოვა პროლეტარულ მწერალთა ანთოლოგია.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** სამშაბათს, 3 მაისს, სახალხო არტისტის ვანო ფალიაშვილის ხელმძღვანელობით რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან. კონცერტში მონაწილეობენ: ინაშვილი, ანდღულაძე, მრავალი, ცირეკიძე, გერმისაშვილი, ა. ხოფერია.

◆ **კოტე მაყაშვილის ავადმყოფობა.** ქართველ ხელოვანთა კულტკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი მესამე თვეა ავადაა. ექიმების აზრით ავადმყოფს გრიპი გაურთულდა და გადაექცა მუცლის ტიფათ, ჯირკვლების ანთებათ და მშრალ პლევრიტათ.

◆ **უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ** 4 მაისს რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი საღამო.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** ორშაბათს, 2 მაისს, საღამოს 5 საათზე, კომკავშირელ მწერალთა წრეში შესდგება მორიგი ლიტ. კრება. განხილული იქნება ლიტ. მასალები.

◆ **წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით.** ზალიკო ქიქოძის სახელობის შინამრეწველ ქალთა საინსტრუქტორო სკოლის მოწაფეთა ექსკურსიის სასარგებლოდ 4 მაისს თბილისის მუშათა თეატრში დადგმული იქნება წარმოდგენა—„რობერტ ტიმ“.

◆ **სურათების გამოფენა.** დღეს, 1 მაისს, გაიხსნება თბილისის მხატვართა სურათების გამოფენა, რუსთაველის გამზირი, № 34. გამოფენილია ორმოცი მხატვრის სურათები.

სასამართლო

მკვლელობა

გუშინ დასრულდა წინასწარი გამოძიება გორდაძის საქმეზე.

დ. გორდაძე ირიცხებოდა მეითე მილიციის უფროსად.

ა. წ. იანვრის თვეში გორდაძე მილიციელ ამაშუკელთან და სხვა ამხანაგებთან ერთად მიპატიჟებული იყო სტუმრად მოქ. ბებურიშვილთან (ანტონოვის ქ. № 45).

შეზარხოშების შემდეგ ამაშუკელმა ამოიღო რევოლვერი და უნდოდა გაესროლა ჭერში. გორდაძე ემუდარებოდა მას არ გაესროლა რევოლვერი.

ბოლოს გორდაძემ უთხრა ამაშუკელს:

— რევოლვერი დამალე, თორემ ეხლავე მოგკლავო.

ამაშუკელმა უპასუხა მას.

— თუ ვაჟკაცი ხარ მესროლეო.

მაშინ გორდაძემ ამოიღო რევოლვერი და მოკლა ამაშუკელი.

გორდაძე დააპატიმრეს.

წინასწარი გამოძიების დროს გორდაძემ თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა მძიმე შეურაცხყოფის ნიადაგზე.

ოჯახური ტრაგედია

დიმიტრი მიხაილოვი (მანგლისში მცხოვრები) დიდი ხანია ეარშიყებოდა **თამარა გ-ძეს**, მაგრამ ქალი მას არ თანაუგრძნობდა. მაშინ დიმიტრიმ გადასწყვიტა შური ეძია თამარაზე და მიმართა „შუამავლობის ხერხს“. ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა უშოვნა მას საცოლო.

ანნა დევიცინნა. ქალის დედ - მამის ინიციატივით, მიხაილოვმა ცოლათ შეირთო ანნა, წინააღმდეგ ქალის სურვილისა. ქალს კი უყვარდა წითელ არმიელი მოქ. **სერგო დობრინსკი.** რამოდენიმე თვეების შემდეგ მიხაილოვს ცოლი გაეყარა.

გავიდა ხანი და ცოლ - ქმარი შერიგდა.

ამის შემდეგ ისინი მიდიან კინოში, სადაც ანნა ხვდება თავის შეყვარებულს ს. დობრინსკის. ქალი სტოვებს ქმარს და დობრინსკის ხანგრძლივათ ესაუბრება. დობრინსკიმ ანნას შეფიცა სიყვარული და მისცა წინადადება გაშორებოდა ქმარს. ანნა დათანხმდა.

ამის შემდეგ ქალი ეუბნება ქმარს:

— მე მივდივარ ავიოქიმიის წიგნების ჩასაბარებლადო.

ქმარი ემუდარებოდა ცოლს არ წასულიყო მიუხედავათ ამისა ქალმა მაინც დააპირა წასვლა. ამ დროს მოვიდენ ქალის დედა, დები და სხვ.

ქალის დედა ეუბნება სიძეს (მიხაილოვს).

— შენ ვაჟკაცი არ იქნები, თუ არ მოჰკლი ორივეო.

ამ სიტყვებზე გაუგულისებულმა მიხაილოვმა მოჰკლა ცოლი.

მიხაილოვი დააპატიმრეს.

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულმა მიხაილოვმა მკვლელობა ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს, რისთვისაც მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

გამოწვევა

მე, აკაკი მახათაძე, ვიწერ სამი თვით „ახალ გაზრდა ბოლშევიკს“ და ვიწვევ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემდეგ ამხანაგებს, რათა მათაც გამოიწერონ აღნიშნული ჟურნალი.

ბ. შენგელიშვილი, ს. ცეცხლაძე, მ. კავთელაძე, [illegible] შ. მოდებაძე, ფ. ლაგაძე, კ. ბუხრაშვილი, ი. კილაძე, დ. ბლუაშვილი, ტ. გორგაძე, ი. კაპანაძე, კ. ფუტკარაძე, კ. შარიქაძე, ნ. ჯორჯიკია, მ. ბრეგვაძე, თ. ცინცაძე, პ. აბესაძე, შ. ძიძიგური, მ. შარიქაძე, ბ. ბაზღაძე, გ. მღვდელაძე, ერ. კაციტაძე, ამ. კაშია, გ. მათითაიშვილი, ს. მახარაშვილი, ბ. კაპანაძე, ს. შავლაყაძე, დ. გულოვი, დ. დეკანოიძე, თ. ჩიჩანიძე, ი. ბურჯანაძე, არ. გოცაძე, ვ. ლომთათიძე, გ. ლეჟავა, ა. ფურცელაძე, ე. ქავთარაძე, ე. ღვალაძე, ა. ნიქაბაძე, პ. ბუხნიკაშვილი, ა. თხელიძე, ი. ფოფხაძე, დ. ფერაძე, მ. პაქსაშვილი, კ. სუთიძე, ღვედელაძე, ნ. ჯიხვაშვილი, გ. კაპანაძე, პ. დურმიშიძე, ი. ბარამიძე, გ. კაპანაძე, ს. მარგველაშვილი, მ. ვაშაძე, ნ. ჯორბენაძე, ტ. ბერიშვილი, დ. აბაშიძე, ტ. აბაშიძე, ზ. სოფრომაძე, ა. ბრეგვაძე, მ. სამყურაშვილი, ზ. თელია, კ. სტურუა, სანებლიძე, ვ. ხარჩილაძე.

პარტიული კალენდარი

ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება 3 მაისს, საღამოს 6 საათზე, აგიტპროპის გამგის ამხ. თათარიშვილის კაბინეტში; სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დოლობერიძე, კანდელაკი, ძარიბეკოვი, ბუდილიევი, მახარაძე, ქელიძე, სახაროულიძე, სტურუა, მიქაძე, სნეგირევი, [illegible], შუშანია, მუშიშვილი, ჩერქეზიშვილი, არუთინოვი, ორაგველიძე და [illegible].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ა. თქუაშვილს, ვლადიმერ ჯაიანს, შალვა ერეკლის ძე ჰეიშვილს გამოცხადდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის გამზირი, 24, მესამე სართ., ოთახი № 12) 3 მაისს 9 საათზე.

ამხ. ვარლამ ჭკუასელს და კორფილე მამფორიას წინადადება ეძლევათ სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ცეკას სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირკელიასთან. თუ ხსენებული ამხანაგები იმყოფებიან მაზრაში, ვთხოვთ შეგვატყობინონ მისამართი.

განცხადებები

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე უდროოდ გარდაიცვალა საკ. კ.პ. (ბ) საკონტროლო კომისიის წევრი საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ 30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა ცეკას პრეზიდიუმის წევრი საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს. დასაფლავების დროის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული

საქ. კ. პ. (ბ)-ის თბილისის კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი.

ამხ. ლადო ქავთარაძე

საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიონის კომიტეტი იუწყება, რომ 30 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს.

ა. კ. ს. ფ. ს. რ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა. კ. ს. ფ. ს. რ.-ის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 30 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა ა. კ. ცაკის წევრი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა საქ. ცაკის წევრი საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქ. კ. პ. (ბ)-ის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

რასაც ღრმა მწუხარებით იუწყება თბილისის მუშა-გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო იუწყება, რომ 30 აპრილს გარდაიცვალა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის სარაიონო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 30 აპრილს ქალაქ თბილისში გარდაიცვალა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს.

საგზაო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საგზაო კომიტეტის წევრის, საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიონის კომიტეტის მდივნის

ამხ. ლადო ქავთარაძე

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს.

საუბნო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა საუბნო კომიტეტის წევრი, საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

რუსიკო და ალექსანდრე ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე უდროოდ გარდაიცვალა პირველის ქმარი და მეორესი მამა

ლადო ქავთარაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს.

მეცნიერება და ტეხნიკა

მეცნიერება ბოროტმოქმედებებთან ბრძოლაში

ანტროპომეტრია და დაქტილოსკოპია

აღმოსავლეთ აზიის ერებმა უკვე მრავალი საუკუნეების წინათ იცოდენ, რომ თვითეულ ადამიანს აქვს საკუთარი ბუნებრივი უდავო ბეჭედი—მისი თითის ანაბეჭდი.

ჩინელები, იაპონელები, ინდოელები მრავალი საუკუნეების წინათ სარგებლობდენ თითების ანაბეჭდით, რომელიმე საბუთზე ხელის მოსაწერათ ან მის დასადასტურებლად. იქ, სადაც ოდესღაც ძველი ნინევია იყო, ახლა კი მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი, გათხრების დროს იპოვეს დიდძალი თიხის დაფები, რომლებზეც ხელისმოწერასთან ერთად, აღმოჩნდა ანაბეჭდი იმ პიროვნების თითის, რომელმაც გასცა „დოკუმენტი“. ეს ამტკიცებს, რომ ძველმა ასირიელებმა და ბაბილონელებმა იცოდენ, რომ თითის ერთგვარი ანაბეჭდი არ არსებობს.

ევროპაში დაქტილოსკოპიის (დაქტილოსკოპია ეწოდება თითების ანაბეჭდების საშუალებით ადამიანის პიროვნების გამორკვევის წესს) მნიშვნელობა შეიგნეს უფრო გვიან—მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. მეცნიერების გამოჩენილმა მოღვაწეებმა გამოარკვიეს, რომ თითის ბოლოებზე კანის სურათი უცვლელი რჩება ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და არასოდეს არ შეიძლება აღმოჩენილ იქნეს თითების ორი ერთგვარი, მსგავსი ანაბეჭდი. ეს აღმოჩენა მოწმობდა იმას, რომ დაქტილოსკოპია უდიდეს მნიშვნელობას მოიპოვებს ბოროტმოქმედებებთან ბრძოლაში, თუ მოხერხდა თითის ანაბეჭდების დალაგება შესაფერი სისტემით, თვალსაჩინო და ადვილი რეგისტრაციის მიზნით.



სურ. 1. ორი ფოტოგრაფიული სურათი გადაღებული ორ სხვადასხვა მეტად მსგავს პიროვნებათაგან. მხოლოდ მათი დიდი თითების ანაბეჭდები ამტკიცებენ, რომ სურათები ეკუთვნის ორ სხვადასხვა კაცს.

მუშაობა ამ სისტემის შესამუშავებლად გაცხოველებით მიმდინარეობდა, როცა ბერტილიონმა (პარიზი) წამოაყენა პროექტი განსაკუთრებული გაზომვის სისტემისა, რომელიც, მისი სიტყვით იძლეოდა ბოროტმოქმედის პიროვნების ადვილად და სისწორით გამორკვევის საშუალებას. ბერტილიონი ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ადამიანის ძვლები, ოცი წლის ჰასაკის შემდეგ, არ იცვლება და რომ თითეულ ადამიანს აქვს განსაკუთრებული ზომის სხეულის ნაწილები. ისარგებლა რა წინანდელი მეცნიერების შრომებით, მან შეიმუშავა სისტემა, რომელიც ადამიანის ტანის, თავის და სხეულის ცალკე ნაწილების გაზომვით შესაძლებლად ხდიდა ადამიანის ერთგვარი ინდივიდულური პასპორტის შედგენას. ამავე დროს, მან საჭიროდ აღიარა, რომ სისხლის სამართლის პოლიციის ალბომებში შეკრებილი ბოროტმოქმედთა ფოტოგრაფიები განაწილებული ყოფილიყო არა ალფაბეტის, არამედ მათი სხეულის ნაწილების გაზომვის შედეგების მიხედვით.

ეს სისტემა 1882 წ. შესამოწმებლად შემოღებული იქნა პარიზში, 1888 წ. კი საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალური წინადადება მისცა პოლიციას, რომ მომავალში ამ სისტემით ესარგებლნა.



სურ. 2. თითის ანაბეჭდი (ძალიან გადიდებულია).

რადგან ანტროპომეტრია (სხეულის გაზომვა) ბერტილიონის სისტემის მიხედვით შემოღებულ იქნა მთელ რიგ ქვეყნებში, ყველას ეგონა, რომ დაქტილოსკოპია სამუდამოდ არის დასამარებული. მაგრამ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ბერტილიონის სისტემა არა თუ რთულია, შედარებით, არამედ არც იმ დადებითი შედეგებს იძლევა, რომელსაც მისგან მოელოდენ. ამასთან ერთად, გამოირკვა, რომ ერთ და იმავე პიროვნებათა სხეულის განმეორებითი გაზომვის დროს, ადგილი აქვს უმნიშვნელო სხვაობას გაზომვის პირველ და უკანასკნელ შედეგებს შორის. ქალებისა და მცირეწლოვანთა მიმართ ბერტილიონის სისტემა სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა და ამის გამო ბოროტმოქმედთა მნიშვნელოვანი პროცენტის აღრიცხვა ანტროპომეტრიის საშუალებით შეუძლებელი შეიქნა.

იმ ხანებში ინგლისის მთავრობამ მეცნიერ **ფრენსის გალტონს** დაავალა მოხსენების შედგენა ბერტილიონის სისტემის შესახებ. გალტონმა მოისურვა გაეცნო ბოროტმოქმედის პიროვნების გამორკვევის სხვა სისტემებით და ამ მიზნით წერილი მისწერა თავის დროზე გამოჩენილ მეცნიერ **ჰერშელს**, დაქტილოსკოპიის მომხრეს. ინგლისის მთავრობამ გაიზიარა გალტონის აზრი და წინადადება მისცა სისხლის სამართლის პოლიციას ანტროპომეტრიასთან ერთად ესარგებლნა აგრეთვე დაქტილოსკოპიით.

განსაკუთრებით ხელსაყრელი შედეგები, რომლებიც დაქტილოსკოპიის საშუალებით იქნა მიღებული, ამტკიცებდენ, რომ მისი სახით ნაპოვნი იქნა მეტად მარტივი და ამავე დროს საიმედო საშუალე ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად. დაქტილოსკოპიური კოლექციები, შეკრებილი სხვადასხვა ქვეყნებში, შესდგებიან რამოდენიმე ათას ანაბეჭდისაგან. სურათები იმნაირი სისტემით არის დალაგებული, რომ საჭირო ანაბეჭდის მონახვა მოკლე დროის განმავლობაში უზრუნველყოფილია. ეს კოლექციები უდიდეს დახმარებას უწევენ სამძებრო ორგანოებს ბოროტმოქმედებათა აღმოჩენაში.

რაც შეეხება თვით ტეხნიკას დაქტილოსკოპიისას, იგი ძლიერ მარტივია. თითების კარგი ანაბეჭდის მისაღებათ საჭიროა ლითონის თხელი ფირფიტა, ოდნავ დაფარული გრაფიტით ან სტამბის საღებავით ანდა ბეჭდის ბალიში. თითს დებენ საღებავით დაფარულ ან ფირფიტაზე ან ბალიშზე და შემდეგ ქაღალდზე, რომელზეც რჩება ანაბეჭდი. რაც შეეხება ბოროტმოქმედების მიერ ბოროტმოქმედების ადგილას დატოვებულ თითების ანაბეჭდებს, ისინი ხშირად ძლიერ ბუნდოვანია. ამიტომ მათ ჯერ „აშკარავებენ“, „აძლიერებენ“ და შემდეგ ადარებენ დაქტილოსკოპიური კოლექციის ანაბეჭდებს.

თუ ბოროტმოქმ. პიროვნების გამორკვევის დროს საჭირო ანაბეჭდი არ აღმოჩნდება, ბოროტმოქმედის მიერ დატოვებული ანაბეჭდის ასლებს გზავნიან სხვა ქალაქებში იქაურ კოლექციებში მოსაძებნათ.

დანიის მეცნიერმა **გაკონ ერგენსენმა** 1922 წელს შეიმუშავა სისტემა, რომელიც შესაძლებლად ხდის არაჩვეულებრივად საიდუმლო წესით ბოროტმოქმედის ყველა ნიშნების შეკრებას.

აი ნიმუში ერგენსენის ერთი შიფრისა. მისი სისტემით გადაცემულ დეპეშას ასეთი სახე აქვს: a(18)1(1/36)7(19), в114½2/5. ერგენსენის შიფრის მიხედვით, ამ დეპეშის შინაარსი ასეთია: ტანი—მაღალი, თმა—წაბლისფერი, წარბები—პატარა, ცხვირის ფუძეს სიღრმე—პატარა, ცხვირის პროფილი—ჩაზნექილია და ტალღისებური, ცხვირი—ოდნავ აწეულია ზევით, ტუჩების სიმაღლე—მცირე, ქვედა ტუჩი—დაშვებული, პირი—პატარა.

ბოროტმოქმედთა შორ მანძილზე გამოცნობის საკითხი უკვე დიდიხანია აინტერესებდა მეცნიერებს, მაგრამ მხოლოდ ერგენსენმა მოახერხა მისი გადაჭრა თავისი შიფრით. რადიოკავშირის განვითარებამ უსათუოდ შეუწყო ხელი ერგენსენის შიფრის გავრცელებას.

მთვარეზე გაფრენის ახალი პროექტი

ახალგაზრდა ავსტრიელმა გამომგონებელმა **მაქს ვალიერმა** შეადგინა ახალი რეაქტიური (მაშხალის მოქმედების პრინციპზე აგებული) საჰაერო გემის პროექტი. ვალიერს თავისი პროექტი მეცნიერულად აქვს დასაბუთებული.

მაქს ვალიერის აზრით, პირველი ნაბიჯი სამყაროს სივრცის დაპყრობის გზაზე იქნება გაფრენა დედამიწის ერთი პუნქტიდან მეორეში, მაგრამ არა ჰაერით, არამედ ორასი მილის (მილი 1¾ ვერსი) სიმაღლეზე. ამ სიმაღლეზე დაძლეული იქნება დედამიწის მიმზიდველობის ძალა და ეს გარემოება, ჰაერის მეტად მცირე წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, შესაძლებლად გახდის სათში 500 მილის (870 ვერსი) სისწრაფის მიღწევას. მანქანა ისე უნდა იქნას აგებული, რომ სრულიად დამოუკიდებელი იყოს ჰაერისაგან, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, მისი (ჰაერის) ნაკლებობისაგან.



ვალიერის რეაქტიური გემი წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტას. მაშხალები აქ მოთავსებული არიან მანქანის ფრთებში და ანვითარებენ ბიძგების სისტემას. მაშხალებში მოთავსებული იქნება სპეციალურად დამზადებული განსაკუთრებით ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება. გემს სივრცეში მართავენ სპეციალური ტიპის ჟიროსკოპის (ბზრიალას მაგვარი მოწყობილობის (საშუალებით). მგზავრები მოთავსებული იქნებიან ჰერმეტიულად დახურული საკანში, სადაც ჰაერს ხელოვნურად სწმენდენ. გათბობაც გემში ხელოვნურია. უკანასკნელი ცნობებით, ყველა დაბრკოლებები ამ მიმართულებით დაძლეულია და ახლა ცდიან სპეციალური სახის სათბობ მასალას.

პირველი ცდა, რომლის მოხდენას აპირებს მაქს ვალიერი მიმდინარე ზაფხულში, ეს იქნება გაფრენა ჩვეულებრივი ტიპის აეროპლანზე, რომელიც მომარაგებული იქნება მაშხალებით. ჩვეულებრივ აეროპლანზეც მაშხალები ფრთებში იქნება მოთავსებული.

თუ ცდა წარმატებით დასრულდა, ვალიერს განზრახული აქვს ცვლილებების შეტანა აპარატში, რომელსაც ფაქტიურად მაშხალის სახე ექნება.

ამის შემდეგ მორიგ ამოცანად დაისმება გაფრენა მთვარეზე.

ზღვის ფსკერზე

წყალყვინთვის საქმე უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში არაჩვეულებრივად განვითარდა. 1875 წ. ადამიანი პირველად დაეშვა ზღვის ფსკერზე. მაშინ მას თან ჰქონდა მჟავბადით სავსე ყუთი. წყალქვეშ ადამიანი ძლებდა იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ჰყოფნიდა მჟავბადის მარაგი. შემდეგ გამოგონებულ იქნა სპეციალური წყალქვეშ საყვინთავი აპარატი, რომელიც მომარაგებული იყო მილით. ამ მილით წყალქვეშ მყოფს აწვდიდენ წმინდა ჰაერს. ამ აპარატში დროთა ვითარებაში შეტანილ იქნა მრავალი გაუმჯობესებანი.



აქ მოყვანილ სურათზე ნაჩვენებია წყალყვინთვის ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევა—წყალქვეშა ტანკი. ტანკზე დადგმულია პროჟექტორი და იგი მიმაგრებულია ყველა ხელსაწყოებით, რომლებიც საჭიროა წყალქვეშ სამუშაოთ.

ელექტრო-სადგური

უდინამომანქანოთ

ორმა ამერიკელმა მკვლევარმა, რომლებიც ცდებს აწარმოებდენ ელექტრო-ტეხნიკის დარგში, ამ რამოდენიმე ხნის წინათ დაამზადეს ახალი სისტემის ელექტრონული აპარატი, რომელიც იძლევა ენერგიას 40 ოთახის გასანათებლად. აპარატი წარმოადგენს პატარა ელექტრო-სადგურს, რომელშიც ელექტრონის წარმომშობი მანქანები შეცვლილია განსაკუთრებული თერმიული ერთეულებით, რომლებიც ბატარეების სახით არიან განაწილებული.

ეს თერმიული ერთეულები შესდგებიან მეტად იაფ და გავრცელებულ ლითონების ნარევიდან, რომელიც თვით გამომგონებლებმა აღმოაჩინეს. ეს ნარევი მოთავსებულია განსაკუთრებულ ცილინდრში, რომელიც დადგმულია ქურაზე, ცილინდრის გასათბობათ ხმარობენ გაზს, ნავთს ან ქვანახშირს. „თერმიული ორთქლების“ (ასე უწოდებენ ცილინდრში მოთავსებულ მასას) გათბობის დროს წარმოიშობა ელექტრონული ენერგია. ეს ხდება იმ განსხვავების გამო, რომელიც არსებობს ნადნობის შემადგენელ სხვადასხვა ლითონების ტემპერატურებს შორის. თვით პრინციპი ელექტრონული ენერგიის გამოწვევისა სხვადასხვა ლითონების ტემპერატურების სხვაობის საშუალებით ცნობილი იყო ჯერ კიდევ ასი წლის წინათ, მაგრამ მხოლოდ ახლა იქნა გამოყენებული პრაქტიკულად. ახალ „ელექტრო სადგურს“, ე. ი. ელექტრო-ენერგიის წარმომშობ ფეჩ-ბატარეას და განმანაწილებელ დაფას იმდენივე ადგილი უჭირავს ოთახში, როგორც პატარა მაგიდას. მთელი „ელექტრო-სადგური“ დაჯდა მხოლოდ 80 დოლარი (160 მანეთი).

გემების მართვა რადიოთი

ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა პირველად გამოიყენეს რადიო გემების სამართავად. ამ გემებზე არც ერთი სულიერი არსება არ მოიძებნებოდა და გემი მოძრაობდა მხოლოდ იმის საშუალებით, რომ მის მანქანებზე შორ მანძილიდან მოქმედებდენ რადიო-ტალღების საშუალებით. იყო შემთხვევა, როცა გერმანიის წყალქვეშა ნავი, რომელსაც რადიოთი მართავდენ, გამოჩნდა ინგლისის სანაპიროებთან, დაეჯახა ნაპირს და ააფეთქა იქვე ახლო მოთავსებული სამხედრო საწყობები.

ამის შემდეგ საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში შეუდგენ შორ მანძილზე რადიოთი გემების მართვის საიდუმლოების შესწავლას და მოკლე ხანში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს.

ამ უდიდესი ტეხნიკური მიღწევის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე რადიოსადგურიდან გაგზავნილ უხილავ რადიოტალღებს მოძრაობაში მოჰყავთ სხვადასხვა მექანიზმები. ასე, მაგალითად, ცენტრალური ელექტროსადგურიდან შეიძლება დამხმარე ქვესადგურების მანქანების მართვა.

სამხედრო მიზნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შორ მანძილიდან ავტომობილების, ჰაეროპლანების და გემების მართვას. საფრანგეთში ამჟამად დამზადებულია სამხედრო ჰაეროპლანები, რომლებზეც არავინ ზის, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ფრონტიდან მიცემულ ბრძანების თანახმად, ისინი თავს ესხმიან მტერს და ჰყრიან ბომბებს. ამერიკაში მოახდინეს წარმატებით დასრულებული ცდები ჯავშნოსანი გემების მართვისა რადიოს საშუალებით. წარსული წლის ზაფხულში, ინგლისის ფლოტის მანევრების დროს, რადიოთი მართავდენ ჰაეროპლანებსა და სამხედრო გემებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ინგლისელმა ინჟენერმა **კასტელპენმა** მოაწყო რადიო-ნავი, რომელიც ნაჩვენებია აქვე მოყვანილ სურათზე. სურათზე სჩანს გემი, საიდანაც იგზავნება ელექტრომაგნიტური ტალღები. ელექტრომაგნიტურ ტალღებს რადიონავზე იღებს ნავის წინანაწილზე დადგმული ჩარჩოსებური ანტენა, საიდანაც ტალღები გადაიცემა მეტად რთული კონსტრუქციის მანქანებზე. მექანიზმს მოძრაობაში მოჰყავს ნავის მოტორი და საჭე.



საქ. კ. პ. (ბ) რკინის გზის მთავარ სახელოსნოების კოლექტივის ბიურო იუწყება, რომ 30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე თბილისში უდროოდ გარდაიცვალა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

დამწუხრებული შალვა გომართელი აცნობებს ამხანაგებს და მეგობრებს რომ 30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისთვის დაუვიწყარი ამხანაგი, ერთად ერთი მეგობარი და ბიძის შვილი

ლადო სიმონის ძე ქავთარაძე

რკინის გზის საავადმყოფოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 30 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივანი

ამხ. ლადო ქავთარაძე

საქ. კ. პ. (ბ) რკინის გზის მთავარ სახელოსნოების სამჭედლო-საამქროს უჯრედი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის კომიტეტის მდივნის, უჯრედის წევრის

ამხ. ლადო ქავთარაძის

უდროოდ გარდაცვალებას—30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათ. თბილისში.

მამა სიმონი, დედა მატრონა, ძმა ვიქტორი და დები ნინო, ანნა და ნატალია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ 30 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე ქალაქ თბილისში გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ლადო ქავთარაძე

დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს 4 მაისს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ.

მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 28 აპრილს სოფ. ხიდისთავში გარდაიცვალა კომპარტიის ძველი წევრი დაუღალავი ენერგიული ამხანაგი

მოსე ცხოიძე

დასაფლავება მოხდება სოფელ ხიდისთავში 3 მაისს. ნ. 1097 2—2

საქ. კომპარტიის (ბ) გურიის სამაზრო კომიტეტი

აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 28 აპრილს, სოფ. ხიდისთავში გარდაიცვალა ორგანიზაციის წევრი

ამხ. მოსე ცხოიძე

დასაფლავება მოხდება სოფელ ხიდისთავში 3 მაისს. ნ. 1097 2—2

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 28 აპრილს, სოფ. ხიდისთავში გარდაიცვალა თავდადებული მუშაკი კომპარტიის ძველი წევრი

ამხ. მოსე ცხოიძე

ნ. 1097 2—2

კომპარტიის წევრები ანდრო დოლიძე, თეოფილე ჩიჩუა, გრიგოლ მგალობლიშვილი, თედორე დოლიძე, ვარდენ კალანდაძე, ტარასე მგალობლიშვილი, ვალერიან გოგიბერიძე, ანდრო კალანდაძე, იასონ ჯორბენაძე, გრიგოლ სარჯველაძე, ს. მეგრელიშვილი, ი. ხომერიკი, ნ. ზამბახიძე, ელ. კალანდაძე, დ. ბლაგიძე, ნიკიფორე მელიმანაძე, მიხაკო მეგრელიძე ვარლამ ერქომაიშვილი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ სოფ. ხიდისთავში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 28 აპრილს, გარდაიცვალა მათი თანამებრძოლი კომპარტიის ძველი წევრი ამხანაგი

მოსე ცხოიძე

დასაფლავება მოხდება სოფელ ხიდისთავში 3 მაისს. ნ. 1097 2—2

კომუნისტური პარტიის წევრები სამსონ ჭანიშვილი, ნინა ფოცხიშვილი, ნოე ქერქაძე, აკაკი სიხარულიძე, თეოფილე სიამაშვილი, ტასია სიამაშვილი, კონსტანტინე ცინცაძე, სეფე ცინცაძე, აბრამ სოსელია, აკაკი მეგრელიძე, მონასე სიამაშვილი, მიხაკო მათითაშვილი, ელისაბედ ლომთათიძე, ფილიპე კალანდაძე, მიხაკო კალანდაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხ. მეგობრებს რომ სოფ. ხიდისთავში (გურია) ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 28 აპრილს გარდაიცვალა

მოსე ცხოიძე

დაკრძალვა მოხდება სოფელ ხიდისთავში 3 მაისს. 2574

კომუნისტური პარტიის წევრები მიხეილ ოკუჯავა, ბუდუ მდივანი, თედორე კალანდაძე, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე, ნიკო კიკნაძე, პარმენ ცინცაძე, გერმანე კვაჭაძე, ბენო კალანდაძე, დადათიკო ლორქიფანიძე, ლევან მიროტაძე, გალაქტიონ ნუცუბიძე, დიმიტრი გოჩალეიშვილი, ვალია ბახტაძე, ვარდენ კალანდაძე, თეოფილე ჩიჩუა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ სოფ. ხიდისთავში (გურია) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 28 აპრილს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, იშვიათი ამხანაგი

მოსე ცხოიძე

დაკრძალვა მოხთება სოფ. ხიდისთავში 3 მაისს 2568

კომუნისტური პარტიის წევრები: გრიშა გოგოტიშვილი, რამიდონ კალანდაძე, მიხეილ მეგრელიძე, ალექსანდრე დუმბაძე, ერასტო ჩიგოგიძე, ირაკლი ხუხუა, ნატაშა ლომთათიძე, სიმონ [illegible], მოსე მეგრელიძე, ნინა კალანდაძე, ა. გორგასლიძე, გრამიტონ სვანიძე, მოსე ცინცაძე, ანდრო ლომია, ვასო დონაძე, ელ[illegible] კალანდაძე, [illegible] ფაყაიშვილი, დათიკო ჯაყელი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ სოფელ ხიდისთავში (გურია) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 28 აპრილს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი

ამხ. მოსე ცხოიძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. ხიდისთავში 3 მაისს 1927 წელს. 2569

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ალათი, მეუღლე ნინა პატარა თინათი, ძმები ვიქტორ და კოლია ცოლშვილით, და ალისა ქმრით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 2 მაისს ვერის ახალ სასაფლაოზედ გადახთილი იქნება პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

ვასო ნიკოლოზის ძე ფრუიძის

გარდაცვალებიდან ექვსი თვის აღსანიშნავათ. 2567

სამშაბათს 3 მაისს, დღის 12 საათზე ქალ. ქიათურაში მღვიმევის მონასტერში ძვირფასი და დაუვიწყარი

გოგონა

წერეთელი—გამრეკელის

სულის მოსახსენებლათ გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც ვაუწყებთ გულდამწვარი მშობლები ნაპა სოლომონის ძე და ნინო დავითის ასული წერეთლები, ქმარი სიმონ (ბუტია) ალექსანდრეს ძე გამრეკელი, დები ქიჭინა თათეიშვილისა ქმარით ვარლამით, და ფაჩუ, ძმები: კუკური და სოსიკო, ბიძები და ბიცოლები, და ბაბუა დავით ქვარიანი. 2577

„კომუნისტი“

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. **ხაშურში**—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკი**—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. **ბათომი**—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. **ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძე.
11. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. **ოზურგეთი**—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათვის
13. **თელავი**—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. **სიღნაღი**—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აფხაზეთისათვის.
17. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. **ოჩემჩირი**—ადამიასთან
19. **სად. ბორჯომი**—) რ. თარგამაძესთან
20. **ბორჯომ-ბაღი**—)
21. **ცხინვალი**—ვახილი ფავლენიშვილთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშვალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

0—1 „კომუნისტი“ მთავარი კანტორა

სახელმწიფო დრამა

ორშაბათს, 2 მაისს, პაროდია მთელს სეზონზე

„კონტრამაროჩნიკების სასარგებლოდ“

„ამერიკელი ძია“ 3 პარტერში

ახალი დადგმა უცაბედად. მეიერხოლდისებური, ნემიროვიჩ-დანჩენკოსებური, სტანისლავსკისებური და ვახტანგოვისებური. ახალი ინტერმედია; ანკეტა „ამერიკელ ძია“-ზე საქართველოს დიდებულთა აზრი „ამერიკელ ძია“-ზე. ახალი კუპლეტები. ორ-ორი მსახიობი თითო როლში. შეშლილი ოფელია, ლამარა, იჩო, თოროლვაი, გამლეტი, გორაციო, აბიმილქი, ზერსიბანი, ილტანი, ბელნაიდი, ჰამლეტის მამის აჩრდილი, „ენგლანდის“ კომანდა და სხვანი „ამერიკელ ძია“-ში. „ფაიფ-ო-კლოკი“ არშაკ მინაიჩთან. ეტნოგრაფიული საღამო ამერიკელ ძიას საპატივცემლოდ; მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ყველა კონტრამარკები და მუდმივი შესასვლელი ბილეთები გაუქმებულია. ნ. 1106

ცირკი

დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით

ტელ. 16—67

1—1 ნ. 1103

დღეს, 1927 წლის პირველ მაისს სადღესასწაულო სანახაობანი, სიცილის საღამო! შერჩეული პროგრამა მონაწილეობს მთელი შემადგენლობა დამსახ. არტისტის ლეო ტანტის ხელმძღვანელობით. დღეს უკანასკნელად

შეთქმულება დედოფლის შეთქმულების წინაამდეგ

ლეო ტანტის პაროდია. მონაწილეობენ ყველა პაროდისტები. გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი. ჭიდაობს 4 წყვილი; ყველა ჭიდაობა გადამწყვეტია. პირველი **წითელი ნიღაბი—კანდელაკი**, მეორე **როშჩინ გურსკი**, მესამე **კ. სკარბე—კლემ. ბულ**, მეოთხე **ვ. შულც—ლეში** თუ ნიღაბი წინა დღეს წაქცეულ იქნა მაშინ დღეს იჭიდავებს უნიღაბოთ.

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

1-ლ მაისს, ქ. თბილისში

რუსთაველის პროსპექტზე ყოფ. გაგენის მაღაზიის შენობაში

გაიხსნება

ს ხკინმრეწვის

ფოტო-კინო-მაღაზია

ნ. 1011 2—1

ქალ. თბილისის მეხუთე რაიონის არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 მაისს დილის 10 საათზე კლ. ცეტკინის ქუჩაზე (ყოფ. ელისაბედის) № 152

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება პურის არაყი და ამხანაგობა „ტრიოხგორნოეს“ არაყის სახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნები მთელი მოწყობილობით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექციაში ზემოაღნიშნულ მისამართით.

ნ. 1109

აპოლლო ტელ. 7—61.

არსასტო ტელ. № 19—22.

სოლეი ტელ. 20—44.

დარბაზი ტელ. 14—03.

0—24 ნ. 1099

ხვალ ორშაბათიდან

ახალი შესანიშნავი სურათი

ორმოცდა 41 ერთი

პროტოზანოვის დადგმა

ხვალ უკანასკნელად თბილისში

„დათვის ქორწილი“

მთავარ როლებში: ეგერტ, მალინოვსკაია, როზენანი.

„ორი მონადირე“

დადგმა: წუწუნავასი, ოპერატორი: ზაბოზლაევი

მთავარ როლებში: კალანდაძე, გელოვანი, მიქაბერიძე.

ანონსი: ამ დღეებში „მის-მენდ“.

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების, ფლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—16

ორშაბათს 2 მაისს, დასაწყისი ნაშუადღევის $12\frac{1}{2}$ ს.

დოლი და რბენა

შემდეგი დოლი: 8, 15, 22 და 29 მაისს. ნ. 1007

დაიბეჭდა და ურიგდება მხოლოდ ხელისმომწერთ, ტეხასის შტატის უნივერსიტეტის პროფ. ხენეის

ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია

(ფიზიოკრატებამდე) ფ. 1 მ. 50 კ., ხელმოწერით—1 მ.

იბეჭდება (2 ტომად, I გამოვა ივნისში, ხოლო მეორე—ივლისში) პარიზის უნივერსიტ. პროფესორების შარლ-ჟიდის და შარლ-რისტის

ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია

(ფიზიოკრატებიდან ჩვენამდე). ხელისმოწერით 7. მ. 50 კ. დაჯილდოებულია მორალურ და პოლიტ. მეცნ. აკადემიის მიერ, ავტ. ნებადართული თარგ. უკან. ფრანგ. გამოცემიდან იასონ გაბილაის რედაქციით. I ტომში შევა: 1) კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დამაარსებლები და 2) მოწინააღმდეგენი; II ტომში: 1) ლიბერალიზმი, 2) ლიბერალიზმის დისიდენტები და 3) ახალი მოძღვრებანი.

გრძელდება ხელისმოწერა: 1) უნივერსიტ. ქ., № 4, ი. გაბილაისთან, 2) სრულ. საქ. მწერ. კავშირის წიგნის მაღაზიაში, რუსთველის გამზ. № 8,—აქვე იყიდება: ვობლის „სტატისტიკა“, თევზაიას „კერძო და საზ. მეურნეობა“, 3) სახ. უნივ. ალმასბიუროში—გრ. ხვიჩიასთან, 4) სოც.-ეკონ. ფაკულტ. 2-ე კურსის სტუდ. ალ. ქარაბაკთან. ამ ჟამად ხელისმომწერს შემოაქვს 3 მან. დანარჩენი 1 და 2 ტ. მიღებისას. ვინც 8 მან. 50 კაპ. ერთად შემოიტანს,—წიგნებს კოლენკორის ყდით მიიღებს.

ფოსტით ფული და წერილი ასე უნდა გამოიგზავნოს: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 4, იასონ გაბილაიას. ხელისმომწერთ ხენეის წიგნი დაუყოვნებლივ გაეგზავნება. იბეჭდება მხოლოდ 1000 ცალი. მაღაზიებში არ გაიყიდება. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოითხოვეთ პროსპექტი.

დააჩქარეთ ხელისმოწერა! ნ. 1078 3—1

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა“-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალის ფასი
1 წლით . . 10 მან.
½ წლით. . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

2428 25—12

სამტრედიის რაიონში

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერა

მიიღება შემდეგ პირებთან

1) ქალ. სამტრედიაში—ლასა გოგელიასთან (რკ. გზ. კიოსკში).
2) მოძრაობის დარგში (რკ. გზ. სამკითხველოში) მ. წულაიასთან.
3) საყუდში—ს. ქავთარაძესთან.
4) საჭილაოს ხე-ტყის ქარხანაში—დ. თელიასთან.
5) დიდ ჯიხაიში—გ. ბიბილეიშვილთან.

4—1. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუხჰალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

საბუხჰალტრო კურსებ გათავებულებისათვის განვითარება ხდება

პრაქტიკულათ

უმაღლეს საკომერციო კურსების პროგრამით საბანკო, საფაბრიკო, საკოოპერატივო, და სხვა სპეციალურ ბუხჰალტერიაში.

მიღება სწარმოებს მაისის 3-დან მდივანთან, ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პროსპექტი № 66 და კურსების გამგე იოვანე ზაქ-ძე ტერ-სტეფანოვთან, 1 თუმანოსის ქ. № 13

2573

კინო-**არსასტო**

ორშაბათიდან 2 მაისიდან

უკანასკნელად

თბილისში

საუკეთესო სურათი

„დათვის ქორწილი“

დადგმა: ეგერტის

მთავარ როლებში:

მალინოვსკაია, ეგერტი, როზენელ.

ნ. 1110

ბორჩალოს სამაზრო დამზღვევი პუნქტი

ამით იუწყება, რომ თანახმად საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1925 წლ. 30 იანვრის თარიღით და საბჭოთა კავშირის შრომის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატების ინსტრუქციის 1926 წლ. 30 აგვისტოს თარიღით, სოციალურ დაზღვევისათვის გაწერილ გადასახადის შემოუტანელ ნაწილის დასაფარავად 1927 წლ. 5 მაისს, დილის 10 საათზე, ბორჩალოს მაზრის სოფ. ჩათახში

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ჩათახის თუჯის-სადნობი ქარხნის ქონება, რომელიც შესდგება 1710 ფუთ ჩამოსხმულ თუჯისაგან, 7629 ფუთ გადაკეთებულ თუჯისაგან და 1858 ფ. კაჟიან თუჯისაგან. სულ 11197 ფუთი, შეფასებული გასასყიდათ 19034 მან. 90 კაპეიკათ.

ნ. 1108. ბორჩალოს დამზღვევი პუნქტი.

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 7 მაისს ა | წ. დღის 1 საათზე ვანქის შეს. № 9, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სარქისა ეგორის-ძე ამზიანცის უძრავ ქონებას: სამ სართულიან სახლის ნახევარ უფლებას, რომელშიაც მოთავსებულია ცხრა საცხოვრებელი ოთახი, სამი სამზარეულო, აშენებულია აგურით და დახურულია თუნუქით. სახლი ეს შეფასებულია 2700 მან. (ნახევარი უფლება) იაზია ნაზარ-ოღლის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბ. სახ. სას. მიერ 28 მარტს ა | წ. თარიღით № 1001 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა სამ. სამ. საპრ. კოდ. 311 მუხ. დაცვით. 2570

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე სახლი № 16 დანიშნულია 16 მაისს 1927 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ბიქტორ ბეგლარის-ძე ანჯაფარიძის ერთი ორ სართულიანი ქვითკირის სახლის, მდებარის იმავე ქუჩაზე, რომელიც შესდგება 12 საცხოვრებელი ოთახისაგან, სამი სამზარეულოსაგან და ორი ხის საკუჭნაოსაგან, აგებულის საერთო მიწაზე ზომით 300 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული 5000 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შაფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1101

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლო აღმარულებელი კ. ქამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 8 აპრილს 1927 წ. დღის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოფელ ალბულახში სოფელ ალბულახის საზოგადოების მოძრავ ქონებას ორი ბუღა ხარებს შეფასებულს 140 მან. ალექსანდრე ლიაპუშკინის დაილია სტაფილოვის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ალბულახ-ასურეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 12 აპრილს 1927 წ. თარიღით № 989 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2575

ქალაქ ქუთაისში

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერა მიიღება

1. ჟურნალ გაზეთების კანტორაში—**მინა ს. ტყაბლაძესთან.**
2. რკინიგზის კიოსკი მ. ლალაძე—**ი. ხახალაშვილთან.**
3. ბაღდათის პროფ-სამდივნო—**შავგულიძესთან.**
4. დეპო—**ნიშნიანიძესთან.**
5. დნ | 1—**გუგუნავასთან.**
6. სადგურ ტყიბული—**აბაიშვილთან.**
7. სადგურ ხრესილის—**ადგილკომში.**
8. სადგურ გელათი—**ჩოჩუასთან.**
9. სადგურ რიონის ადგილკომში—**გოცირიძესთან.**

ნ. 1100 3—1

ა. წ. 8 მაისს, დილის 9 საათზე

მუშკოოპი მართავს

საჯარო ვაჭრობას

მთავარ საწყობში (კირკის ქ. № 7) დეფექტიურ საქონელზე და ავეჯეულობაზე. ყველა ცნობა საჯარო ვაჭრობის შესახებ მსურველებს შეუძლიან მიიღონ იქვე ყოველ დღე გარდა უქმე დღეებისა დილის 9 ს.—12 ს. და საღამოს 7 ს.—9 ს. ამხ. იოსებაშვილთან მე-2 სართულში.

ნ. 1105

ბუხჰალტერიის სახელმძღვანელო

სამრეწ.—ეკონომ. (კომერციული) განათლების დამხმარე კომიტეტის მიერ გამოცემულია ა. ნ. ინწკირველის წიგნი

„ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები“

იყიდება წიგნის მაღაზია „განათლება“-ში ლენინის ქ. № 6. **ფასი 2 მანეთი.** პროვინციიდან გამოწერა არა ნაკლებ ათი ცალისა ზემოაღნიშნული კომიტეტის მისამართით

3—1 ტროცკის ქ. № 20 ნ. 1095

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს

რომ ის 4 მაისს ა. წ. დღის 2 საათზე, ბესიკის და მთის შესახ. № 5—3 მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილი ესტატეს ძე ლომაძის უძრავ ქონებას: სამ სართულიან სახლს, რომელშიაც მოთავსებულია 32 საცხოვრებელი ოთახი და 5 სამზარეულო. სახლი ეს შეფასებულია 8000 მ. თამბაქოს ტრესტის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 5 მარტს ა. წ. თარიღით № 720, გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა, ს. სამ. საპ. კოდ. 311 მუხ. დაცვით.—საჯარო ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან.

2584

ბამდელი

სამი წლის ბავშვთან, საჭიროა რეკომენდაცია.

წყნეთის ქ. № 6, ბინა 2.

2872

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

დავკარგე პირადობის მოწმობა და ნუსხა მოცემული ზუგდიდის მაზრის მილიციის სამმართველოდან ამბაკო ციმიტიას სახელზე, ჩ. გ. 1103

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 100473, კონსტანტინე ვლადიმერის ძე ჩიკოიძეს სახელზე, ჩ. გ. 2564

დავკარგე ხელოვნების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი ლადო კავსაძის სახელზე, ჩ. გ. 2581

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი, ლეონტი ხუჭუას სახ. ჩ. გ. 2580

დავკარგე სახლის ნასყიდობის ბარათი ფედოსი მენაბდის სახელზე, ჩ. გ. 2589

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა გაბრიელ ალაჯანოვის სახელზე, ჩ. გ. 2583

დავკარგე აღრიცხვის ბარათი ვასილი იაკობის ძე ფასურიშვილის სახ. ჩ. გ. 2585

დავკარგე პირადი წიგნაკი № 1929 რაჟდენ ივანეს ძე რუხაიას სახ. ჩ. გ. 2586

დავკარგე პირადობის მოწმობა №134 თეოფანე თეიმურაზის ძე ქარცხიას სახელზე, ჩ. გ. 2586

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 2467, ლია ფურცელი, სამხედრო სა ღრიცხვო ბარათი და სახ. უნივერსიტეტის მოწმობა, სიმონ აბესაძეს სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე პირადობის მოწმობა—შალვა შიმკანის ძე დათიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2566

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 199—ბიკტორ ბერძენიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2565

დავკარგე მე-2-ე ქართულ დივიზიის პარტკომისიის მიერ გაცემული საკანდიდატო ბარათი № 388, პირადობის მოწმობა გაცემული მე-4 ლეგიონიდან და სამხედრო სკოლის დამთავრების მოწმობა სერგო ალექსანდრეს ძე პატარქალიშვილის სახ. ჩ. გ. 2578

დავკარგე პირადობის მოწმობა №207 კოსტა სიჭინავას სახელზე, ჩ. გ. 1002

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.